ერეკლე ლუკაშვილი

ჩვენი ასვლები მწვერვალებზე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
1ᲒᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 56

ჩვენი ჯგუფი

1904 წელს საგანგებოდ ჩავედი შვეიცარიაში მწვერვალებზე ასასვლელად, ოღონდ მარტო ვარ და მთასვლელობაში გამოუცდელი. თანამგზავრებს ვეძებ პირველი ნაბიჯის გადასადგმელად, მაგრამ არავის ვიცნობ, არავინ მიცნობს ამ ლამაზ ქალაქ ინტერლაკენში, სადაც ზაფხულობით თავს იყრიან მთელი ქვეყნის ალპინისტები, აგერ იმ თოვლ-ყინულით დაფარულ მწვერვალების ასაღებად, ასე მედიდურად, მრისხანედ და მიმზიდველად რომ დაგვცქერიან ზემოდან.

ამ ფიქრებში ვიყავ, როცა ქუჩაში დავინახე მიმავალი კაცი, რომელსაც გულზე და ზურგზე დაკიდებული ჰქონდა დიდი ასოებით დაწერილი განცხადება: რომ დღეს საღამოს 8 საათზე ინტერლაკენის თეატრში გაიმართება რუსი სტუდენტების თვითშემოქმედები კონცერტიო.

მაშ წავალ ამ კონცერტზე და იქნებ იქ ვინმე გავიცნო მთასვლელობის მსურველი; ორი კაცი მჭირდება ჯგუფის შესადგენად.

ვზივარ დარბაზში და ყურადღებით ვაკვირდები შემსრულებლებს. აი გადმოდგა კონცერტის წამყვანი და გვაცნობა, რომ კონსერვატორიის სტუდენტი დაუკრავს ვიოლინოზეო.

ამ სიტყვებზე მარდად გამოვიდა სცენაზე თმახუჭუჭა შავგვრემანი ახალგაზრდა ვაკაცი და მოხდენილად შეასრულა ჩქარი სკერცო. მომეწონა ეს ახალგაზრდა მარდი მოძრაობით, მსუბუქი ტანადობით და თითების სწრაფი თამაშით.

კონცერტის მეორე განყოფილებაში გამოვიდა რუსულ ხალათში გამოწყობილი მეორე სტუდენტი და აუჩქარებლივ; ღრმა გრძნობით და დიდი განცდით წაიკითხა ლექსები.

საიმედოდ მეჩვენა ეს შესახედავად მძიმე და დინჯი კაცი. კონცერტის დასასრულს აივანზე მოვნახე ორივე; მთვარის შუქზე უმზერდნენ თოვლიანი მწვერვალების დიდებულებას.

გამგზავრება

სანამ პირველხარისხოვან მწვერვალებს ავიღებდით, გადავწყვიტეთ ჩვენი ძალების სასინჯად ასვლა დოზენჰორნზე.

ჩვენი მიზანია, დღეს 1904 წლის 17 ივლისს მზის ჩასვლამდე ავაღწიოთ დოზენის ქოხს, აშენებულს მარადიულ თოვლის ხაზზე 2880 მეტრის სიმაღლეზე, იქ ვათიოთ ღამე, ხვალ დილით ავიდეთ დოზენჰორნის მწვერვალზე, შემდეგ გადავლახოთ გუგლის მყინვარი და საღამომდე მივაღწიოთ გუგლის ქოხს მყინვარის გადაღმა მხარეზე.

ასეთი იყო ჩვენი გეგმა.

საღამოს 5 საათი შესრულდა, როდესაც გავიარეთ მეტად ლამაზი ჩანჩქერი — რაიხენბახი, რომელიც ორმოცი მეტრის სიმაღლიდან ვარდნილი ძირს წვრილ მხეფებად და ბურუსად იქცევა... აქ კარგა ხანს შევჩერდით და ვტკბებოდით მისი სილამაზით. ნეტავი არ დაგვეკარგა ძვირფასი დრო! მაგრამ რა ვიცოდით გამოუცდელებმა, რომ ამის გამო ღამე გარეთ დავრჩებოდით.

ერთ ადგილას შორიდან დავინახეთ მაღალი კლდის ქვეშ ვიღაც უცნობი, რომელსაც გრძელი კომბალი ეჭირა ხელში და თითქოს ვიღაცას ელოდებოდა.

— მეცხვარე იქნება, — თქვა ნაუმმა.

—ცხვარი რომ არსადა სჩანს, — მივუგე მე.

— მესტვირეა, — გადაწყვიტა სიმონმა, — ეგ კომბალი მაგისი სტვირია.

ჩვენ გაგვეცინა.

ამ დროს უცნობმა დაგვინახა, პირზე თავისი „კომბალი“ მიიდო და გაისმა საღამურის საუცხოო ხმა, რომელსაც კლდეები ბანს აძლევდნენ.

უნებლიეთ ვუკელით ნაბიჯს, ბოლოს სულაც გავჩერდით ამ უცნობ მესტვირესთან და ვუსმენდით მომხიბლავ ჰანგებს.

— ფული უნდა ვაჩუქოთ, — წაგვჩურჩულა მთაში ნავალმა სიმონმა. ნასიამოვნებმა იმდენი ფული ვაჩუქეთ, რომ გაოცებული შვეიცარიელი კიდევ დიდხანს განაგრძობდა დაკვრას, თუმცა ჩვენ კარგა ხნის გაშორებული ვიყავით.

საათს დავხედე. გვიანდებოდა.

აგერ მაღლა არწივის ბუდესავით გამოჩნდა უკანასკნელი სასტუმრო მთაში.

ექვსი დაიწყო, ჩვენ კი ნახევარი გზაც არ გაგვიელია.

— ბოდიში! არ იცით, რა ჰქვია აგერ იმ მაღალ მწვერვალს? — შევეკითხე რუსულად, რომ გამება მათთან ლაპარაკი.

— იუნგფრაუ, — მიპასუხა ორივემ ერთად და უურადღებით დამაკვერდნენ, —რუსი ხართ?

— არა, ქართველი.

— მთასვლელი?

— ჯერ არა.

გავეცანით ერთმანეთს. ერთ მათგანს სიმონი ჰქვია. იგი სწავლობს ბერნის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე, 25 წლისაა და უკვე რამდენჯერმე ყოფილა ალპებზე, მეორეს კი — ნაუმი. იგი 23 წლისაა, სწავლობს ვენის კონსერვატორიაში.

ასვლა შტოკჰორნზე

ჩემს ახალ ნაცნობებს გამოვუტყდი, რომ შვეიცარიაში საგანგებოდ ჩამოვედი მწვერვალებზე ასასვლელად და თანამგზავრებს ვეძებ-მეთქი.

— მაშ თუ აგრეა, — მომიბრუნდა სიმონი, — ჯერ სცადეთ აგერ იმ ახლობელ მწვერვალზე ასვლა. მაღალი არ არის, ხოლოდ 2.660 მეტრია, სამაგიეროდ კლდოვანია, დიდებული გადასახედია მწვერვალიდან, მზის ამოსვლაც იქ საუცხოო სანახავია.

— რამდენი საათი დაგვჭირდება მწვერვალამდე?

— ოთხი საათი.

— ხვალვე წავიდეთ! — წამოვიძახე აღტაცებით.

მეორე დღეს გამოვიცვალეთ ფეხსაცმელები, მოვიმარჯვეთ ჯოხები, ჯიბეში ცოტა რამ საგზალი ჩავიწყეთ და მთვარიანი ღამით გავუდექით გზას, რომ გარიჟრაჟზე მწვერვალზე აგვესწრო.

— რას წარმოვიდგენდი, რომ ამ შუაღამისას მწვერვალზე გავწევდი! — იცინის სიმონი, — სულ თქვენი ბრალია, ქართველო! — თან მასწავლის: — მძიმედ იარეთ, აუჩქარებლივ. თანაბარი ნაბიჯით, მაშინ შესძლებთ მთელი საათობით შეუსვენებლივ სიარულს. ნაბიჯი გულისცემას შეუფარდეთ!

მთელი ღამე ვიარეთ, ამინდი ხელს გვიწყობდა და დილის რიჟრაჟზე ავაღწიეთ შტოკჰორნის კლდოვან მწვერვალს...

მთელი ქვეყანა ხელის გულივით გადაგვეშალა თვალწინ: ცაში ატყორცნილი ალპების თოვლიანი მწვერვალები, ქვევით მდელონი, ლურჯი ტბები და მწვანე ველები.

ო, თვალწარმტაცო სანახაობავ, შენი მნახველი ვინ არ გახდება მთასვლელი!

ჩვენი მოწყობილობა

შემდეგ მწვერვალზე ასე იოლად ვერ ავიდოდით. ამიტომ ალპიურ მოწყობილობის შესაძენად ჩავედით შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში და ერთ საათში თავიდან ფეხებამდე გამოვეწყეთ: ვიყიდეთ ლურსმიანი ფეხსაცმელები, ზურგჩანთა, ორბეტრიანი რკინის წვეტიანი შინდის ჯოხი (ალპენშტოკი), თითის სიმსხო თოკი, სიგრძით 30 მეტრი, წრიალები მოლიპულ თოვლზე სასიარულოდ და მწვანე სათვალეები.

ჩანთაში ჩავალაგეთ კონსერვები, ჩაი და შაქარი, შოკოლადი და ნამცხვარი, ყველი, ძეხვი და წვენის მშრალი ფხვნილი. სპირტის სადუღარი თავისი ემალის ჩაიდნით და ჭიქით, სამგვერდიანი დასაკეცი ფარანი თავისი სანთლებით, თამბაქო, ასანთი, ჭრილობის შესახვევები და სხვა წვრილმანი. ჩანთა პირამდე გაიესო და 20 კილოს იწონიდა, მაგრამ ჩვენი მოწყობილობა მაინც არ იყო საკმარისი: ვერ შევიძინეთ ვერც კარავი და ვერც საძილე ტომრები, რომლებიც ჩვენი სტუდენტური ჯიბისათვის მიუწვდომელი გამოდგა, რამაც შემდგომ ბეტისმეტად შეგვაწუხა.

ამავე მიზეზით ვერ დავიქირავეთ ვერც გზის მცოდნე გამყოლები და ვერც ტვირთის მზიდავები.

სამაგიეროდ გვქონდა ალპების საუკეთესო რუკები, სადაც ზედმიწევნით ნაჩვენები იყო მთის ბილიკები, ქოხები, მყინვარები და მწვერვალები.

საყურადღებო ჩვენს ასვლებში სწორედ ის იყო, რომ ჩვენ დავდიოდით უგამყოლოდ, როგორც თვითმოქმედი ჯგუფი. თორემ ის მწვერვალები, რომლებსაც ჩვენ დიდის გაჭირვებით და ხიფათით ვიღებდით, სხვებს არც თუ ისეთი დიდი განცდებით აუღიათ. ან რა გაუჭირდებოდათ მდიდარ უცხოელებს? გამყოლებს ისინი თოკით აჰყავდათ და ჩამოჰყავდათ.

— რამდენია კიდევ სავალი დოზენის ქოხამდე? — ეკითხე სიმონს.

— ოთხი საათი იქნება.

— მაშ ღამე მოგვისწრებს ამ უცნობ მთებში!

შევჩერდით და ვმსჯელობთ, როგორ მოვიქცეთ. ყველაზე უკეთესი იქნება, ღამე თავი შევაფაროთ ამ უკანასკნელ სასტუმროს, რომლის აივანზე უცხოელები გადმოდგარან, ფერბინდებით გვიცქერიან და ერთმანეთს რაღაცას ეუბნებიან.

მაგრამ ღამის თევა ხუთი ფრანკი ღირს სულზე. ჩვენ კი სამთავეს, დავითვალეთ, და ოცი ფრანკი ძლივს აღმოგვაჩნდა.

— მთელი ჩვენი კაპიტალი ერთი ღამის გათევაში? — ბურტყუნებს ნაუმი. ერთი ღრმად ამოვისუნთქეთ და სასტუმროს გვერდი ავუქციეთ. გაკვირვებული უცხოელები ინგლისურად რაღაცას გვიყვირიან, მზეზე გვითითებენ, გვიანი არისო, მაგრამ ჩვენ ყური არ ვათხოვეთ და აუჩქარებლივ განვაგრძეთ გზა ჩვენი მძიმე ჩანთებით.

ღამის თევა მთაში

ო, რა ძალიან ბნელა! ეს რა უღრანი კლდეებია? სადა ვართ, სად მოვყევით ამ შუალამისას?

ხუთ ნაბიჯზე ერთმანეთს ძლივს ვარჩევთ. სიბნელეში მიმართულება დავკარგეთ და ფარნის საშუალებით მივდივართ მაღლა, იქითკენ, სადაც მყინვარებში მთის ქოხი გვეგულება.

უნებურად ფეხი ქვას წაეკარი, იგი ხმაურით დიდხანს სადღაც მიექანებოდა.

— უფსკრულია? — კითხულობს შეშინებული ნაუმი.

— ეშმაკმა იცის, — ბურტყუნებს სიმონი.

აქეთ-იქით მივანათე ფარანი, მაგრამ შუქი ათიოდ ნაბიჯზე სიბნელეში ინთქმება.

ამ დროს მოულოდნელად გაიელვა და ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, გეგონებოდათ, ცა ინგრევაო. ამოვარდა ქარი, დაუშვა წვიმა და ჩვენც მივაშურეთ ერთ გამოშვერილ კლდეს.

— მეხი კლდეებს ეცემა! — გვიყვირის ნაუმი. საჩქაროდ დავშორდით კლდეს და უპატრონო ბავშვებივით ჩამოვახვედით ჩანთებზე, თან მჭიდროდ მივეკარით ერთმანეთს და თავზე სამივემ სიმონის წამოსასხამი გადავიხურეთ. ჭექა-ქუხილმა იმატა.

— რკინა! რკინა! — დაიყვირა უცბად ნაუმმა.

— რაშია საქმე? რის რკინა? — ვეკითხებით შემკრთალნი.

— მეხი დაგვეცემა, მეხი!

სწრაფად იხდის ხაუში დალურსმულ ფეხსაცმელს. ჩვენც საჩქაროდ გავიხადეთ და პირქვე დავალაგეთ გამოშვერილი ქვის ქვეშ. იქვე დავალაგეთ ჩვენი წერაყინები, რკინის წვეტიანი ჯოხი და წრიაპები.

ფეხშიშველები გამოვიქეცით ჩანთებთან და კრუხებივით მობუზულები ზედ დავსხედით, თან წამოსასხამი გადავიფარეთ.

უზომოდ დაქანცულებს ჩაგვეძინა, მაგრამ ხან ერთი გადაკოტრიალდება ჩანთიდან, ხან მეორე და ამ წვიმაში წამოსასხამს გვაძრობს თავიდან. ხან ვიცინით, ხან ვჯავრობთ.

— გამყოლი რომ გვყოლოდა, ამ ყოფაში არ ჩავარდებოდით, — ბუზღუნებს ნაუმი.

— მერე და სადა გვქონდა ასი ფრანკი? ან იქნებ მამაშენი ბანკირია? — ამბობს სიმონი.

— გამყოლი რომ გვყოლოდა, — ვამშვიდებ მე ორივეს. — ჰაშინ მთაში არ შემოგვაღამდებოდა და დღიურშიც ვერაფერს ჩავწერდით.

— რას ბუტბუტებ, ირაკლი? რად იშვერ ხელებს ზეციკენ? — მეკითხება გაოცებით სიმონი.

— ფრაცს ვდებ, თავის დღეში ფეხი აღარ შევდგა მთაზე!

როგორც იყო, დასრულდა ეს დაუსრულებელი წამების ღამე. ოდნავ ინათა თუ არა, მაშინვე შევუდექით გზას, ზევით, ქოხისკენ.

ჩემი გადარჩენა

მზე რომ შუბის წვერზე ამოვიდა, მივადექით თოვლის ხაზს, რომელიც აქ 2.400 მეტრის სიმაღლეზე იწყება. აქ ჩემი გამოუცდელობით კინაღამ მარცხი შეგვემთხვა. თოვლი მეტად დაქანებული იყო, მაგრამ მე ვითომდა თავისი გამოსაჩენად, ბასზე ასვლა პირდაპირი ხაზით ვარჩიე, ამხანაგებმა კი, როგორც წესია, გვერდით აუარეს.

როგორც იქნა შუაგზამდე მივედი. გამოუცდელობით წრიაპები არ გავიკეთე და ამ თოვლის დაქანებულ ფერდობზე საფეხურებსაც ვერ ვჭრიდი, რადგან წერაყინის მაგივრად

ხელში მეჭირა ალპენშტოკი, რომელიც მართალია წეტიანია და კარგად ერჭობა თოვლში, მაგრამ საფეხურების საჭრელად გამოუსადეგარია.

დავრჩი შუაგზაზე. ეს იყო ჩემი პირველი გამოცდა მთაში, და ცოდვა ალიარებული სჯობია, — ფერი მეცვალა, ისე შევკრთი, რომ ველარც ზევით წავედი, ველარც ქვევით. თითქოს ჩემდა შესარცხვენად ამ დროს ზემოდან გამოჩნდა მთასვლელების ჯგუფი, და მათ შორის — ვაი თავო! — ერთი ახალგაზრდა ქალი. ჩემს ზემოთ გაჩერდნენ და ინგლისურად რაღაცას მიყვირიან.

სიმონმა მოიხსნა თავისი გრძელი თოკი და შეეცადა მისი წვერი ჩემსკენ გადმოესროლა. ამასობაში მოსწყდა ზემოდან მოყინული ქვა და პირდაპირ ჩემსკენ დაეშვა.

— თავს უშველე! — მიყვირის სიმონი შეშინებული.

მაგრამ მე ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შემიძლია. თოვლი ისეთი დაქანებულია და თან ისეთი მაგარი, რომ ფეხს ძლივს ვიკიდებ.

ყველანი სულგანაბულნი მიცქერიან.

ჯოხი, რაც ძალი და ღონე მქონდა, თოვლში ჩემ წინ ჩავარჭე და ორივე ხელით დავებღაუჭე. ქვა დაეჯახა ჯოხს და ხტუნვით უფსკრულისაკენ გაექანა. თავი შევიმაგრე, მაგრამ შიში კი დიდი გამოვიარე.

ინგლისელები ახმაურდნენ, გადააბეს თავისი თოკი ჩვენს თოკს, გამაგრდნენ ზევით, გადმომიგდეს წვერი და საერთო ძალ-ღონით ამწიეს ზემოთ.

დარცხვენილი, გაფითრებული ვიდექი მთასვლელების წინ. ინგლისელი ქალიც ყურადღებით მიცქეროდა. ვაი სირცხვილო!

— ყოჩაღად მოიქეცით, წინ რომ ჯოხი ჩაირჭეთ, — მეუბნება ინგლისელი და თან მასწავლის, რომ ამისთანა თოვლზე ასვლა პირდაპირი ხაზით არ შეიძლება: თოვლი იმდენად დაქანებულია, რომ შეიძლება ადამიანის სიმძიმისაგან მოსწყდეს და ჩამოზვავდეს.

— საიდანა ხართ?

— კავკასიიდან.

— ო, კავკასია, კავკასია! — ამბობს ინგლისელი აღტაცებით. — მე ვიყავი სვანეთის მთებში!

— უგამყოლოდ ნუ დადიხართ! მთას ხუმრობა არ უყვარს! — მითხრა ინგლისელმა და თავისი თანამგზავრებითა და გამყოლით ძირს დაეშვა, ჩვენ კი ზევითკენ განვაგრძეთ გზა.

ალპიური ქოხი

დილის 9 საათი იქნებოდა, როდესაც კედელივით შვეულ პიტალო კლდეს მივუახლოვდით.

— გზას ავცდით, გზა დაგვებნა, — იძახის ნაუმი, — ამ შვეულ კლდეზე ეშმაკიც ვერ ავა...

აბოვიღე რუკა.

— არა, სწორი მიმართულებით მივდივართ, აი დახედეთ შავ ხაზს, — და ვაწოდებ ამხანაგებს რუკას, თან დურბინდით ვუცქერი იმ კლდეს. თოკივით გაბმული რალაც შევნიშნე და, მართლაც, როდესაც კლდეს მივადექით, დავინახეთ ზემოდან ჩამოკიდებული ჯაჭვი, რომლითაც ჩვენი ბარგი-ბარხანით ავცოცდით დოზენის ქოხთან.

ყურადღებით ვათვალიერებ ალპიურ ქოხს, რომელზედაც ბევრი რამ წამიკითხავს, ხილვით კი პირველად ვხედავ. წარმოიდგინეთ თოვლიან მთებში აშენებული ფიცრული ქოხი, სიგრძით აბე 15 ნაბიჯი, სიგანით შვიდი. წინა კედელში ორი ფანჯარაა, შუაში კარი. უკანა კედელთან მთელ სიგრძეზე გაბნეული ტახტია, რომელიც ფარდით ორ ნაწილად არის გაყოფილი — ქალებისა და კაცებისათვის. ტახტზე დაფენილია ჩალით სავსე ლეიბები, ბალიშები და ქეჩის საბნები. ტახტის წინ ქეჩის ფლოსტები. შუაში გრძელი მაგიდა, ზედ საწერი მოწყობილობით. მაგიდაზე დევს მაგარ ყდაში ჩასმული სქელი დავთარი, სადაც მთასვლელები სწერენ თავის გვარს,

აღნიშნავენ რომელ მწვერვალზე მიდიან, ვინ ჰყავთ გამყოლები და მწვერვალიდან საით აპირებენ დაშვებას. ეს ცნობები საჭიროა მათ მოსანახად, თუ ვინიცობაა გზაში მარცხი შეემთხვათ და დანიშნულ ადგილს დროზე ვერ მიაღწიეს.

ამ ფართო ოთახის ერთ კუთხეში კედელზე დაკიდებულია გადასარჩენად საჭირო ალპიური თოკი და წერაყინები, კუთხში წამლებია და შესახვევები. იქვე დგას დიდი სკივრი. ავხადე თავი და სახტად დავრჩი: სკივრი თავამდე სავსე იყო მრავალნაირი კონსერვებით, ზედ წარწერილი ფასებით. სკივრის თავზე მიკრული იყო განცხადება სამ ენაზე, სადაც ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად ეწერა, რომ ნაყიდი საზოვაგის ღირებულება მთასვლელმა უნდა ფოსტით გადაუგზავნოს ქალაქ ბერნში ამა და ამ მაღაზიის პატრონსაო.

ძალიან გაგვიკვირდა, რომ სკივრი „თვითონ ვაჭრობდა“. ჩვენც „ვიყიდეთ“ თევზის კონსერვები და საფასური (ხუთი ფრანკი) გადავეცით სიმონს ბერნში გადასაგზავნად.

მეორე კუთხეში რკინის ღუმელი დგას და აქვე აყუდებულია შეშის პატარა-პატარა გუდურები. ფასიც ზედ აწერია: ცალი კონას სამი ფრანკი, დიდს ხუთი.

ქოხს დარაჯი არა ჰყავს და ყველაფერი მთასვლელის პატიოსნებაზეა მინდობილი.

დოზენჰორნის მწვერვალზე

მეორე დღეს დილა ადრიან შევუდექით გზას დოზენის მწვერვალისკენ. ჩემი თანამგზავრები წინ წავიდნენ. მე კი ბზის დიდებული ამოსვლით გატაცებული, ჩამოვრჩი და ამიტომ მარტო მომიხდა გავლა დაქანებულ ყინულზე, რომლის ქვეშ პირლია ვეშაპივით გაწოლილიყო შავი ნაპრალი. უფსკრულის დანახვაზე, მართალია, თავბრუ არ მეხვევა, მაგრამ ბაინც თვალი მოვარიდე ამ სახიფათო ადგილს.

— რატომ აგიხსნიათ თოკი? — ვკითხე ამხანაგებს გულისწყრომით, როდესაც დავეწიე უფსკრულის იქით.

— ერთი ჩვენთაგანი რომ ჩავარდნილიყო, მეორესაც თან ჩაიტანდა ამ დაქანებულ ყინულზე, — მიპასუხა სიმონმა ჩიბუხის წევით.

— შენ არ გეშინოდა იმ უფსკრულზე? — მეკითხება ნაუმი.

— მეშინოდა.

ჰოდა მაშ ერთად ვიაროთ, მგონი, გზას ავცდით, თორემ ნაკვალევს ვნახავდით სადმე.

საბედნიეროდ, აქედან მწვერვალამდე სახიფათო ადგილები აღარ შეგვხვედრია და შუადღის სამ საათზე ყიყინით ავედით დოზენის ლამაზ მწვერვალზე, რომელიც თოვლით არის დაფარული და მოყვანილობით მეცხვარის ფაფახსა ჰგავს.

არავითარ დაღლილობას არა ვგრძნობდით. აღტაცებულნი ამ პირველი გამარჯვებით, ვყვიროდით და ყიყინით ერთმანეთს ვაყრუებდით.

აი ამასა ჰქვია თავბრუსდასხმა მიღწევებისაგან.

რა ვიცოდით, რა მოგველოდა დღეს საღამოთი! მაგრამ, რაც დაგვემართა, ყველაფერი ჩვენი ბრალი იყო.

ის იყო დაბრუნება დავაპირეთ, რომ სიმონმა დაიყინა, გამარჯვების აღსანიშნავად ჩაი უნდა დავლიო ამ მწვერვალზეო.

— ჩაის ადუღებას ბევრი დრო დასჭირდება და გუშინდელივით გარეთ მოგვიხდება ღამის გათევა, — ვამბობ მე შეფიქრიანებული.

— არა უშავს რა, — გვამშვიდებს სიმონი და მართლაც ზედ მწვერვალზე დადგა სპირტის სადუღარი, ჩაიდანში ჩაყარა სუფთა თოვლი და შეუდგა წყლის ადუღებას, რასაც ნახევარი საათი დასჭირდა. შემდეგ შევუდექით ჩაის სმას და დანაყრებას. თანაც თითო ჭიქა კონიაკიც დავაყოლეთ ისედაც თავბრუდასხმულებმა. ამასობაში ხუთი საათი შესრულდა. გუგლის ქოხამდე კი, სადაც ჩვენ აქედან უნდა დავეშვათ, ოთხი საათია სავალი და ისიც უცნობი გზით, რუკების შემწეობით...

მეოთხე ღამის თევა მთაში

...შუაღამეა! ისე ბნელა, რომ ერთმანეთს ვეღარ ვხედავთ, თანაც ქარი ჰქრის ისეთი ცივი, რომ გაჩერებას ვერ ვბედავთ და აქეთ-იქით უგზო-უკვლოდ დავიარებით, იქნებ როგორმე ვიპოვნოთ ქოხი. მაგრამ ამ სიბნელეში ქოხს კი არა, საკუთარ თავსაც ვეღარ ვხედავთ. დაღლილ-დაქანცულებს ძალზე გვერევა ძილი.

აქეთ-იქით ვანათებ ფარანს, ვპოულობ გასავალს კლდეებში. ვეშვებით სამივე ძირს, იქ, სადაც ქოხი გვეგულება.

ფეხი ქაღალდს დავადგი, დავწვდი და...

— ქართული გაზეთი! — შევყვირე გაოცებულმა.

მაშ ჩემს გარდა კიდევ ვიღაცა ქართველი ყოფილა ამ მთაში. თანამგზავრები ყურადღებით სინჯავენ გაზეთს.

— ეს გაზეთი იმის ნიშანია, რომ სწორე გზას ვადგევართ, — დაასკვნა სიმონმა.

— შენც მგონი მაგისთანა გაზეთი გაქვს, არა? — შემეკითხა ნაუმი.

— სწორედ ამისთანა... აი დახედეთ!

ვეძებ ჯიბეში, მაგრამ რას ვეძებ, როცა ხელში ჩემივე გაზეთი მიჭირავს. თურმე გზაში ჯიბიდან ამომვარდნია და აქ უთავბოლო ხეტიალში ისევ ამ ადგილას მოვსულვართ.

მაშინ კი ბუხლები ჩაგვეკეცა. მიმართულება დავკარგეთ და აღარ ვიცით, საით ვეძებოთ. სადღაც კლდეებში ჩამალული ქოხი.

— საით წავიდეთ! როგორ მოვიქცეთ? — ვეკითხებით უმწეოდ ერთმანეთს და ვცდილობთ ამოვეფაროთ ლოდებს. ქარი კი მატულობს და გულშემზარავად გაჰკივის. კბილების კაწკაწით ვუცდით გათენებას. ოჰ, რა მძიმე იყო ეს დაუსრულებელი წამების ღამე, ბნელი, ცივი, ქარიანი. ერთი წამით რომ თვალს დავხუჭავდი, ქარი თავს ხან აქეთ გადამიგდებდა, ხან იქით.

ამ ღამეს ერთხელ კიდევ დავდე ფიცი, საშინელი მთის ფიცი, რომ მოერჩა, გათავდა! ამიერიდან მთაში ფეხს აღარ შევადგამ. არა! არა!

— რომელი საათია? — მეკითხება სიმონი ხმის კანკალით.

ფარანი მივანათე საათს.

— სამი სრულდება.

— ბაშ თუ ქოხში მგზავრებია, მალე შეუდგებიან მწვერვალზე ასვლას... მართლაც აგერ გამოჩნდა ფარნის შუქი, რომელიც რხევით ჩვენსკენ მოემართება. ქოხი იქვე სულ ახლო ყოფილა, ჩვენ კი მთელი ღამე ვძაგძაგებდით უპატრონო ბავშვებივით...

ასეთი იყო ჩვენი შეცდომების შედეგი: გამარჯვებისაგან თავბრუდასხმა და დროს დაუზოგველობა მთის მწვერვალზე...

ასკოლა ვეტერპორნზე

ვეტერჰორნზე ასვლის პირველი ცდა

სიმაღლით ვეტერჰორნი მხოლოდ 3.708 მეტრია, მაგრამ თავისი დაქანებული და მოლიპული კედლების გამო შვეიცარიაში იგი მაინც ძნელად ასასვლელ მწვერვალად ითვლება. ამის სახელი „ვეტერჰორნ“ ნიშნავს ავდრიან მწვერვალს. ჩვენ მართლაც გავხდით იმის მოწმე, თუ რა სწრაფად და მოულოდნელად იცვლება ამინდი ამ იშვიათ მწვერვალზე. ამიტომ არის, რომ ყოველ ზაფხულს რამდენიმე უბედური შემთხვევა ხდება მასზე.

მოულოდნელი ბურანი გზას უბნევს მთასვლელს, ამასობაში ხშირად ღამე უსწრებს და უგამყოლოდ მოსიარულე ან მოლიპულ კლდეზე გადაიჩეხება, ან იყინება ქარბუქში, ან იძულებული ხდება გაატაროს ღამე ყინულში და იმის ბედი, თუ მარტო ტანჯვით გადარჩა.

ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით და მით უფრო გვიზიდავდა ვეტერჰორნის მწვერვალი.

— სიმონ, — მივუბრუნდი ჩემს თანამგზავრს, — შენ ხომ ბერნის უნივერსიტეტში სწავლობ. წადი, ინახულე შვეიცარიის ალპიური კლუბის მდივანი და კარგად გამოჰკითხე, ხომ არ არის ისეთი გზა, რომლითაც ჯერ არავინ ასულა ვეტერჰორნზე.

იმავე საღამოს დაბრუნდა სიმონი და მომიტანა ვეტერჰორნის რუკა, სადაც ალპიური კლუბის მდივანს ფანქრით აღენიშნა სამი მიმართულება, რომლითაც მწვერვალზე ჯერ ვერავინ ასულიყო. ერთი ამ გზათაგანი იყო ჩრდილოეთიდან გუგლის მყინვარით.

— ეს გზა იმითი ყოფილა მიუვალი, — გადმომცა სიმონმა მდივნის სიტყვები, — რომ გუგლის მყინვარი 40 გრადუსით არის დაქანებული და მრავალი ნაპრალებით დასერილი. საქმეს ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ფართო ნაპრალები გარდი-გარდმო ღობავენ გზას, რომლის შემოვლაში იმდენი დრო იკარგება, რომ მთასვლელები დაღამებამდე ვერ ასწრებენ მწვერვალზე ასვლასო.

— მაშ გზა მწვერვალისკენ გრძელია, სახიფათო და ჯერ უვალი?

სიმონმა ჩიბუხიდან ბოლი გამოუშვა და დასტურის ნიშნად თავი მძიმედ დამიქნია. ორივემ ჩუმად გავაბოლეთ.

— მაშ, ირაკლი, როდის წავიდეთ? — შემეკითხა სიმონი წყნარად.

— ზეგ დილით, — მოკლედ გავეცი პასუხი.

ვაუწყეთ ჩვენი გადაწყვეტილება ნაუმს, რომელმაც საბარულით ქუდი ჭერში ისროლა.

...1904 წელს 10 აგვისტოს ღამე გუგლის ქოხში გავატარეთ. ღამის ორ საათზე წამოვდექით, ჩავიცვით დალურსმული ფეხსაცმელები, ცოტათი შევნაყრდით და ჩაიც მხოლოდ თითო ჭიქა დავლიეთ (ზედმეტი ჩაის სმა აღმართში აძნელებს სვლას), ავანთეთ ფარანი და წინა საღამოთი დაზვერილი გზით შევუდექით აღმართს. გზა კლდოვანია და არც თუ ისე ძნელი სავალი.

მტრედისფრად რომ ინათა, მივადექით გუგლის დაქანებულ მყინვარს, გავიკეთეთ წრიაპები, მოვიმარჯვეთ წერაყინები და შევუდექით მოლიპულ მყინვარს.

როგორც გვითხრეს და რუკაზედაც იყო ნაჩვენები, ნაპრალები ერთი მეორეს მისდევდა, მაგრამ საბედნიეროდ თოვლით არ იყო დაფარული და ჩვენც ზოგს ვახტიებოდით, ზოგს ვორიდებით გარშემო ვუვლიდით. მაგრამ რაც უფრო ზემოთ ავდიოდით, მყინვარის დაქანება მატულობდა და ნაპრალებიც უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ამათ შემოვლაში ბევრი დრო გვეკარგებოდა და ნაშუადღევის სამ საათზე მწვერვალამდე ერთი საათის სავალი გზაღა მოსჩანდა კიდევ, თუმცა ასაღები სიმაღლე ორას მეტრზე მეტი აღარ იყო დარჩენილი.

ამ დროს სიმონმა შეგვაჩერა და მიგვითითა მწვერვალზე, რომელიც სწრაფად შავ ღრუბელში ეხვეოდა, აქამდე კი სრულიად მოკრიალებული იყო.

— ქარბუქი იწყება, — გვაფრთხილებს სიმონი, — საჩქაროდ უნდა დავბრუნდეთ ქოხში...

ნაუმი თანახმაა.

— წინ! მწვერვალისაკენ! — ვყვიროდი თავდავიწყებით და თოკით ამხანაგებს ვეწეოდი ზევითკენ.

არ ვიცი, რითი დასრულდებოდა ჩვენი დავა, რომ ამ დროს მოულოდნელად არ გაგვგონა დუდუკის გულშემზარავი ხმა.

ზემოთ მწვერვალზე ვიღაცეები იღუპებოდნენ, ან გზააბნეულნი შველას ითხოვდნენ.

ნაშინვე გავეცით პასუხი ჩვენი სასტვენით. ბევრიც ვიყვირეთ. დურბინდითაც ბეჯითად ვზვერეთ იქაურობა, მაგრამ ბურუსში ვერავინ გავარჩიეთ და ვეღარც მათი ხმა გავიგონეთ.

ქარბუქი გვაწვებოდა ზემოდან და ჩვენც ჩქარი ნაბიჯით ვეშვებოდით ქვევით.

ჯერ დალამებული არ იყო, რომ ფეთებით მივაღწიეთ ეუგლის ქოხს, სადაც გულმართლად ჩავწერეთ მთავლილ-ბის წიგნში ჩვენი უშედეგო ცდა და მარცხის მიზეზი. ვიკამ-შმეთ და დასაძინებლად დავწექით, გარეთ კი ქარბუქი გლეჯ-და იქაურობას.

შუალამისას გაიღო კარი და ტორტმანით შემოვიდა ერთი ხანშიშესული ინგლისელი. რომელსაც ზურგზე ეკიდა გა-ითოშილი ქალი; უგამყოლოდ მოსიარულე მამა-შვილი ქარ-ბუქში მოხვედრილიყვნენ. ესენი ყოფილიყვნენ, დუდუკით ბველას რომ ითხოვდნენ მწვერვალიდან.

წამოვხტით მაშინათვე, დავფაცურდით, ავაბრიალეთ რკი-ნის ღუმელი, შევდგით ჩაიდანი, დავხურეთ იმ ინგლისელს სა-მი საბანი, დავალევინეთ ცხელი ჩაი. გაყინული და ფეხძნობ-ლად მწოლიარე ქალი.კი მთელი საათი ვზილეთ თოვლით თა-ვით ფერხთამდე. უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული, როდესაც ქალმა ამოისუნთქა და თვალები ოდნავ გაახილა. „გაცოცხლ-და! გაცოცხლდა!“ — ვიძახდით აღელვებულნი...

მეორე ასვლის ცდა ვეტერჰორნზე

— რადგან ჩრდილოეთიდან ვერ ავიღეთ ვეტერჰორნი, ვცადოთ ახლა სამხრეთიდან. — მივმართე ამხანაგებს რამდე-ნიმე დღის შემდეგ.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული და 18 აგვისტოს შუადღის ორ საათზე ჩვენი სამეული ჩამოხტა მატარებლიდან სოფელ გრინვალდენში.

სოფლის თავში დაგვიხვდნენ გამყოლები. მაგრამ ჩვენ ყველას უარი ვუთხარით, რადგან ვიცოდით, რომ გასაგრძე-ლოდ მწვერვალზე ასასვლელად მათთვის ასი ფრანკი უნდა ბიგვეცა, თან მათი კვებაც ჩვენს სტუდენტურ ჯიბეს დააწვე-ბოდა, ამიტომ ჩუმად ავუარეთ გვერდი გამყოლებს.

ალპინიზმი.. რომ გრინვალდენის ნაპრალებიანი მყინ-ვარი ისე დიდლა ჩამოდის, რომ იქვე სოფელთან იწყება იმისი ბირლია ხახა.

— აგერ მაგ ნაპრალში ჩვენი ხელიხსი ჩავარდა, — გვაში-ნებს ერთი გამყოლი, — ისიც თქვენსავით უგამყოლოდ მი-დიოდა. ძლივს ამოვათრიეთ ცოცხალ-მკვდარი.

— ერთი მონადირე კიდევ, — უმატებს მეორე, — შარ-შან გადაიჩეხა ნაპრალში და დღესაც ვერ გვიპოვნია.

— აბ ორმოცი წლის წინათ, — დასძენს მესამე, — ორნი ერთად დაიღუპნენ. იმათი თავ-ფეხი ყინვარმა ამას წინათ აი ამ ალაგას გამორიყა.

— ეგ რა არის, მწვერვალზე კიდევ რამდენი იღუპება! — ნოგვაძახა პირველმა.

გვაშინებენ, მაგრამ ჩვენი სამეული ჩუმად განაგრძობს გზას. მართალია ხელმოკლე გახლდით, მაგრამ გული გულის ალაგასა გვქონდა.

საინედოდ გადავებით სამნივე ოცდაათ მეტრიანი თოკით, გავიკითეთ წრიაპები და ორ საათში გადავლახეთ გრინვალდენის მყინვარი. რომელიც მართალია ნაპრალებით იყო დასერილი, მაგრამ ამინდი მშვენიერი იყო და არც ნაპრალები სჩანდა ისეთი სახიფათო, როგორც გვაშინებდნენ.

საღამოს ხუთ საათზე შევუდექით ციცაბო კლდეებზე ასვლას. დაღამებამდე დრო ცოტაღა რჩებოდა, გლიუკშტაინის ქოხამდე კი სამი-ოთხი საათია კიდევ სავალი. მძიმე ტვირთი გვეკიდა და სიარული გვიძნელდებოდა. საღამოს 10 საათზე ძლივს მივაღწიეთ ქოხს.

კარები შიგნიდან დაკეტილი დაგვხვდა. კაკუნზე მთასვლელებმა უკმაყოფილოდ გაგვიღეს კარი და რომ მძინარე მგზავრები არ შეგვეწუხებინა (ავსტრიელი ბანკირი ორი გამყოლით), უვახშმოდ დავწექით მშიერ-მწყურვალნი.

ახალი გზით ვეტერჰორნის მწვერვალისაკენ

ღამის ორ საათზე გაისმა საათის ზარის წკრიალი და ყველანი მარდად წამოვდექით. შევდგით ჩაი, ცოტათი დავნაყრდით და ვაპირებდით იმ ავსტრიელის ჯგუფთან ერთად ასვლას მწვერვალზე, მაგრამ გამყოლებმა ისე უკმაყოფილოდ გადმოგვხედეს ღარიბ, „საწყალ" სტუდენტებს, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვეშვა წინ ეს უსულგულო უცხოელები. ერთი საათის შემდეგ, როცა ცოტათი ინათა, გავწიეთ მწვერვალისაკენ, რუკისა და კომპასის შემწეობით.

იმედი გვქონდა, რომ იმათ კვალს მოვნახავდით და მივყვებოდით, მაგრამ კვალი ქოხის იქით მოყინულ კლდეებში ბალე დავკარგეთ და ისევ რუკას დავაცქერდით.

ჯარგა გათენებული იყო, როდესაც მივადექით ნაპრალიან დასერილ გრინვალდენის ფირნის ველს. წინა ჯგუფის კვალი,

თუმცა ბევრი ვათვალიერეთ, დურბინდიც მოვიშველიეთ, ვერც აქ აღმოვაჩინეთ.

ეჭვი შემეპარა, რომ მიმართულებას ავცდით, მაგრამ თანამგზავრებს არ გავუმჟღავნე ჩემი ეჭვები. გავიკეთეთ მწვანე სათვალე და თოკით გადაბმულნი ნელ-ნელა შევუდექით ფირნის ველს (ფირნი ხორხოშელა თოვლით მოფენილი მყინვარია). წინ სიმონი მიდიოდა, რომელიც თავისი წერაყინით ყოველ ნაბიჯს ფრთხილად იკვლევდა. სადაც წერაყინი თოვლით დაფარულ ნაპრალში ჩაერჭობოდა, გზას ვუქცევდით, ან ვახტებოდით.

ერთ საათში გადავლახეთ ეს მყინვარი და მივადექით მეტად ციცაბო, შავი ბაზალტის კლდეებს, რომლებიც დაფარული იყო ისეთი თხელი ყინულით, რომ ზედ არც საფეხურები იჭრებოდა, არც ფეხი ჩერდებოდა საიმედოდ.

ჩავვარდით საგონებელში. აქ გავუზიარე ამხანაგებს ჩემი ეჭვები. გავშალეთ რუკა და დავრწმუნდით, რომ ძალიან მარჯვნივ აგვიღია გეზი. მაგრამ უკვე დილის რვა საათი სრულდებოდა, უკან დაბრუნება და გზის ძებნა მეტად დაგვაგვიანებდა და მწვერვალის აღებას ვეღარ შევძლებდით.

— შენ, როგორც ქართველი, — მომიბრუნდა სიმონი, — ჩვენზე უკეთესად ცოცავ კლდეებზე. თუ გაბედავ აქ კლდეებზე ასვლას, წაგვიძეხი და ჩვენც მოგყვებით.

ძალიან შემაფიქრიანეს. ამ კლდეზე ქართველი კი არა, მგონი ჯიხვიც ვერ ავიდოდა. ცოტა მარჯვნივ მოვნახე ისეთი ადგილი, სადაც ასვლა თითქოს შესაძლოდ მოსჩანდა. მე წინ წავედი, შუაში სიმონი ჩავიყენეთ, ბოლოში ნაუმი.

— აბა თქვენ იცით, — მივუბრუნდი თანამგზავრებს, — როგორ საიმედოდ გამაგრდებით, სანამ მე ზევით ავცოცდები თოკის სიგრძეზე.

დავიწყე მაღლა-მაღლა აცოცება. სანამ თოკი მიშვებდა. იქ მოვნახავდი ხოლმე კლდეზე შესაფერ ადგილს, საიმედოდ გავმაგრდებოდი და ვეწეოდი ამხანაგებს ხან თოკით, ხან ჯოხით. ისინიც გულადად მოცოცავდნენ. ერთ მოლიპულ ადგილას ისე გამიჭირდა, რომ მთელი სხეულით გავეკარი დაქანებულ კლდეს, ხელებით მაგრა მოვეხვიე გამოშვერილ ქვას და ამხანაგს ფეხი გავუწოდე. იმანაც მაგრად ჩამჭიდა ფეხში და ამოფოფხდა ჩემთან, შემდეგ ორივემ ერთად თოკით ამოვწიეთ ნაუმი. ასე ვიფორთხეთ და ვიბობღეთ ამ „გონჯი“, მის დღეში უვალი გზით მანამ, სანამ ერთ ადგილას მარცხი არ შეგვემთხვა.

ნაუმს ფეხი დაუსხლტა, მოწყდა მთელი სხეულით და გაექანა პირდაპირ უფსკრულისაკენ, მაგრამ გზაში კლდეს მოეგლაუჭა და თავი შეიმაგრა, თორემ ამ მოლიპულ კლდეზე ჩვენც თან ჩაგვიტანდა და მაშინ... მშვიდობით ცხრათვალა მზევ, და ჩემო დღიურო.

ზემოდან დავცქერით, როგორ გართხმულა კლდეზე ჩვენი საბრალო ამხანაგი, მაგრამ სწრაფად შველა შეუძლებელია, ძლივს ვიკიდებთ ფეხს ამ დაქანებულ მოყინულ კლდეზე.

— გაჰაგრდი, ამხანაგო — გადავყვირე ზემოდან, — ახლავე ამოგწევთ.—ამ სიტყვებით დავიწყე ნელ-ნელა ჩამოცოცება სიმონთან. მაგრამ თუ ასვლა ძნელი იყო. ჩამოსვლა ამ მოლიპულ კლდეზე საშინელება რამ იყო. სულ ცოტა ორასი მეტრის სიღრმეზე მეიძლებოდა ჩავვარდნილიყავით უფსკრულში.

ამიტომ ნელა, უდიდესი სიფრთხილით მივცოცავ სიმონთან და როგორც იქნა, ეს ხუთიოდე მეტრი ძლივს ჩამოვედი თხუთმეტ წუთში. ჩვენი ამხანაგი შიშველი ხელებით ეკიდა მოყინულ კლდეზე. სიცივისაგან სახე და ხელები მთლად გალურჯებოდა. ბოლოს კბილების ძაგძაგი აუტყდა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

— ახლავე, ამხანაგო, ახლავე, — ვამხნევებ ზემოდან. მაგრამ აჩქარება არ შემეძლო არასგზით. კარგად რომ მოვიმაგრე ფეხი. როგორც იქნა თოკით. ამოვწიეთ ამხანაგი. მაშინვე სავსე ჭიქა კონიაკი დავალევინეთ და გალურჯებული ხელები და სახე თოვლით დავუზილეთ.

ამასობაში მეც ვიგრძენი, რომ მარცხენა ფეხის თითები მეყინებოდა. ისე მეწოდა პატარა თითი, რომ სიმწარისაგან თავი ველარ შევიმაგრე და ცხარე ცრემლები დავაფრქვიე ამ მოყინულ კლდეზე.

— შენც ხომ არ მოგინდა კონიაკი? — გამეხუმრა სიმონი, მოსვა თვითონ და მეც გამომიწოდა.

ნეტავი არ დაგველია!...

აქედან ერთადერთი გზა დაგვრჩა; მხოლოდ ზევით! სახიფათო გზით დაბრუნება და ქვევით ჩასვლა შეუძლებელი გახდა. ორასამდე მთასვლელი იღუპება და სახიჩრდება ყოველ წელიწადს შვეიცარიის ალპებში, — მახსენდება სადღაც წაკითხული ცნობა... გასაგებია! გასაგები.

უკვე შუადღემ მოაწია, მწვერვალი კი არც ისე ახლოსაა. ვისაუზმეთ, ცოტათი შევისვენეთ და ისევ შევუდექით ასვლას.

სამი საათი მოგვიხდა ამისთანა დაძაბული ბრძოლა. სანამ თავს დავაღწევდით ამ სახიფათო გზას და როგორ გაგვეხარდა, როდესაც თოვლზე ადამიანის კვალი შევნიშნეთ!

მაშინ კი თავისუფლად ამოვისუნთქეთ, შევისვენეთ და მხნედ შევუდექით უკანასკნელ აღმართს, რომელიც ღრმა თოვლით იყო დაფარული და არაფერ სახიფათოს აღარ წარმოადგენდა.

ავდიოდით წელგამართულნი, ნელ-ნელა და სვენებით. ვეტერჰორნის მწვერვალი ისეთი ციცაბოა, რომ თოვლი ზედ ვეღარ ჩერდება. ყოველ ათ ნაბიჯზე ვისვენებდით. სულ-ღლივს ვიბრუნებდით.

ნეტავი არ დაგველია კონიაკი. მუხლებში ძალა გამოგველია და გული აგვიფანცქალა ამ ისედაც გათხელებულ ჰაერში. გულსა და ფილტვებს უამისოდაც დიდი ჯაფა ადგიათ ბრძოლაში, რაღა მაგარი სასმელი უნდათ.

მწვერვალამდე სულ რაღაც ოცდაოდე მეტრი გვაკლდა, როდესაც სამივე მუხლმოკვეთილნი დავეცით.

წუხელ თითქმის უძილონი გამოვედით ქოხიდან და აგერ უკვე ნაშუადღევის ხუთი საათი სრულდება. ცამეტი საათია, რაც მოვდივართ უვალი, აბნეული გზით. მაგრამ მწვერვალს როგორ გავუშვებთ! თუ ფეხები დაგვაწყდა, მკლავებში ხომ ჯერ კიდევა გვაქვს ძალა.

— წინ, მეგობრებო!

ახლა დურბინდით რომ ვინმემ შემოხედოს მწვერვალს, დაინახავს უცნაურ სურათს: სამი ადამიანი რაღაც დიდ ჭეშმარიტებასავით გართხმულან კლდეზე და მწვერვალისკენ ფოთოხვით მიდიან.

ასე ავფოფხდით ვეტერჰორნის მწვერვალზე და უეცრად დავეყარენით იმის წვეტიან თავზე. ქარი ჩადგა, ბუნება მოყუჩდა, ამინდი საუცხოოა, მაგრამ სულს მაინც ვეღარ ვითქვამთ. ვწევარ გულღმა თვალებდახუჭული. აღარაფერი მინდა, გაჰქრა ყოველი სურვილი...

— აგერ ის არის მონბლანი, — მომესმა ამ დროს სიმონის წყნარი ხმა.

თოფნაკრავივით წამოვვარდი და... ო, დიდებულო სანახაობავ! ჩვენს წინ ცამდე აზიდულა უშველებელი თეთრი მთა, სპეტაკი თოვლით დაფარული მონბლანი.

ვუცქერი, თვალს ვერ ვაშორებ ამ სიდიადეს. სად გაჰქრა დაღლილობა, დაქანცულობა? სიმონი ჯოხს იშვერს და გვეუბნება:

—აგერ ის თითივით აშვერილი მწვერვალი მატერჰორნია, რომელზედაც არა ერთი მთასვლელი იღუპება. აგერ ის ლამაზი ფწვერვალი იუნგფრაუა (პატარძალი). აგერ ეს მრგვალი მწვერვალი ეგერია — (მონადირე). ეს კიდევ, იუნგფრაუს გვერდით რომ ატუზულა, მიონხია (ბერი). აგერ ის მრვალმწვერვალიანი მთა მონტე-როზაა.

ჩრდილოეთისკენ ბოდენის გრძელი ტბის იქით გერმანია მოსჩანს. აღმოსავლეთით ტყეებით დაფარული ტიროლის მთები და ავსტრია. დასავლეთით საფრანგეთი, სამხრეთისკენ ჟენევის ტბის იქით მწვანით მოსილი იტალია. დაუვიწყარი სურათია! შეეცარია, ვით ბუნებრივი რუკა, თვალწინ გადაგვშალა მთელი თავისი სიდიადით, სივრცით და მრავალფეროვნებით.

ძირს ქოხისკენ

მზეს გავხედეთ და შევფიქრიანდით. მწვერვალიდან ხუთი საათი უნდა ქოხამდე ჩასვლას, ახლა კი უკვე ექვსი დაიწყო. მაშ ქოხს მივაღწევთ შუაღამისას? მერე, ღამე როგორ გადავალთ იმ ნაპრალებით დასერილ მყინვარზე!

ან რა გვეშველება, ღამე რომ იმ მოლიპულ კლდეებში ჩავრჩეთ.... ქართულ გაზეთს მოვახვიე კიდე, დავაწერეთ სამივემ ჩვენი გვარები, ჩავდეთ ბარათი კონიაკის ბოთლში და ზედ ვეტერჰორნის მწვერვალზე დავდეთ. ამის შემდეგ შევუდექით მწვერვალიდან ჩამოსვლას. ამხანაგებს ჩასვლა ღრმა თოვლით დაფარული ღარით ვურჩიე, რომელიც მწვერვალიდან იწყებოდა.

ორი მოსაზრებით ვარჩიე ეს გზა: მოკლე მეჩვენა და უხიფათო, მაგრამ თანდათან თოვლი ისეთი ღრმა აღმოჩნდა ამ ღარში, რომ შიგ წელამდე ვიფლობოდით და ხშირად ფეხებს ძლივს ვიღებდით.

ჯიბეებში რაც გვედო, ყველაფერი დაგვისველდა, თამბაქოცა და ასანთიც. ამ ღრმა თოვლმა ისე გაგვიძნელა გზა, რომ სრული ორი საათი მოვუნდით ჩასვლას. ჩვენ კი ნახევარი საათი ვივარაუდეთ. ამისთანა შეცდომა ხშირად სდევს მთასვლელთ. რომელნიც უგამყოლოდ დადიან მთაში.

დიდი სიფრთხილით ვეშვებოდით ქვევით, სანამ დაბნელდებოდა. მაშინ სიმონმა დაკეცილი ფარანი ამოიღო უბიდან. მშრალი ასანთი მარტო მე შემრჩენოდა, ისიც იმიტომ, რომ უბეში მედო. შიგ ორი ღერი აღმოჩნდა, აქედან ერთი უთავო.

— ჩვენი ბედი შენს ხელშია, — მომიბრუნდა სიმონი, დაიჩოქა და გააღო ფარანი, რომელსაც სამივე შემოვეხვიეთ, რომ სიოსაგან დაგვეფარა.

— ხომ არა ღელავ, ქართველო, — კვლავ მომიბრუნდა სიმონი.

— არა, რუსო, — ვუპასუხე სრული სიმშვიდით.

გავკარ ის ერთადერთი ღერი და ფრთხილად მოვუკიდე ფარანში სანთელს.

— ყოჩაღ! — შემაქო სიმონმა და გამომიწოდა ანთებული ფარანი, — აბა! გაგვიძეხ!

ვეშვებოდი ქვევით ფრთხილად, გზას აქეთ-იქით ვანათებდი, მაგრამ ისე ბნელოდა, რომ სამი-ოთხი ნაბიჯის იქით აღარაფერი ჩანდა.

ასე ნელ-ნელა ჩამოვდიოდით შუაღამემდის. ალბათ ისევ გზას ავცდით, თორემ აქამდის ქოხამდე თუ არა, მყინვარამდე მაინც უნდა ჩავსულიყავით. უზომოდ დავიქანცეთ. ოცი საათის ნასიარულებს მუხლები გვეკეცებოდა, ძილი გვერეოდა, ყურადღება გვეფანტებოდა.

წამების ღამე

და აი ერთ ადგილას, შესვენების დროს მალე ჩაჰქძინაუცებ, ჩემი ფარანით და ჯოხით რახრახით დავეშვი სადღაც სიღრმეში. მაშინათვე გამეღვიძა, ხელი ვტაცე რაღაცას და გავმაგრდი, ოღონდ ფარანი, ჩვენი გზის მანათობელი, დაიმსხვრა.

— ცოცხალი ხარ? — მომესმა ზევიდან შეშინებული ხმა.

— ფარანი დაიმსხვრა, — დავიკვნესე ქვევიდან. სიბნელეში არაფერი ჩანს, თოკი ისეა დაჭიმული, რომ ლამის სიმონიც გადმოვითრიო და მაშინ...

— ახლავე ჩამოვალთ შენთან. ხომ მაგრად დგეხარ? — მამხნევებენ ზემოდან აკანკალებული ხმით.

— რაღაცას ვებღაუჭები, არ ვიცი კლდეა, თუ ყინული.

— ნუ გეშინია, ირაკლი, ნუ გეშინია! — მაგრამ მე ვერ მოვასწარი ვერც შეშინება, ვერც ტკივილის შეგრძნება, თუმცა ჩამოვარდნის დროს თავი რამდენჯერმე მაგრად მივარტყი კლდეს.

სანამ ამხანაგები ჩამოვიდოდნენ ჩემთან, კლდეზე ხელების ფათურით მოვნახე უნაგირივით გამოშვერილი ქვა და ზედ ჩამოვჯექი. თავზე, გატეხილ ადგილებზე, თოვლის გუნდებს

ვიდგებდი და სისხლის დენას ვაჩერებდი. როგორც იქნა, ამხანაგებმაც ჩამოაწიეს. ჩემს ზემოთ შეჩერდნენ და თოკი დაამაგრეს (ჩემთან ადგილი არ იყო სამივესათვის).

ხელახლივით ჩამოვეკიდეთ კლდეზე და მეტი რაღა დაგვრჩენოდა ამ შუალამისას, — დავუწყეთ ლოდინი გათენებას. უნდა რაგორმე გავატაროთ ეს ცივი ღამე ამ ყინულოვან უფსკრულში. ვცდილობდი არ ჩამძინებოდა, მაგრამ ოცი საათის ნაწყვეტი თვალები მაძინათვე დამეხუჭა.

არ ვიცი რამდენი ხანი მეძინა. სიცივემ გამომაღვიძა. მთელი სხეულით ვძაგძაგებდი და კბილს კბილზე ვაცემინებდი.

გამოეღვიძათ ამხანაგებსაც. ისინიც ჩემს ყოფაში იყვნენ. ვეცადეთ სხეულის გასათბობად დაგველია კონიაკი, მაგრამ როცა ბოთლის ყელი პირში ჩავიდე, კინაღამ კბილები ჩავიმტვრიე ბოშაზე. ერთი წვეთიც ვერ დავლიე.

ნეტავი ადგომა და მოძრაობა მაინც შეიძლებოდეს.

ეს იყო წამების ღამე, მკაცრი, ავი, ულმობელი.

მარცხენა ფეხი ისევ მეყინებოდა. ხელებს ვარტყამდი, რომ აღმედგინა სისხლის მოძრაობა. თავზე დაჭრილი ადგილები მტკიოდა. სადაც ვიჯექი, იქ ყინული დნებოდა და მასველებდა. ამ წამებაში ვიყავ, რომ საუცხოო, არნახული, ზღაპრული სურათი გადამეშალა თვალწინ ამ ყინულოვან სამყაროში. ქარს ღრუბლები გაეფანტა, მთვარე საოცრად კაშკაშებდა, ვარაკვლავები რატომღაც ძალიან დიდი და ბრწყინვალენი ჩანდნენ. ირგვლივ სალი კლდეები, პრიალა ყინულები და სრული სიჩუმე იყო, საიდუმლოებით სავსე სიჩუმე.

თოვლის გუნდებს ვიდებ ჭრილობებზე, თვალს ვერ ვაშორებ ამ ზღაპრულ სანახაობას.

ახლა მივხვდი, რატომ მიუჩინა ხალხის ოცნებამ დევებს ბინად ეს მიუვალი მთები და კლდენი.

აგერ ჩემ წინ, სულ ახლოს, ლანდივით ვიღაცა დედაბერი ატეხილა და უძრავად მომჩერებია. მთვარის შუქზე ვხედავ, რომ ეს კლდეა, მაგრამ მაინც ასეთი მეზობლობა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს დაქანცულ, გაწამებულ მთასვლელზე. ნეტავი მალე გათენდეს, რომ შევძლოთ ამ უფსკრულიდან თავის დაღწევა.

ვლავ ფიცი დავდე გულში, რომ ამიერიდან აღარ წავალ მთაში. მორჩა! გათავდა ჩემი მთასვლელობა!

მაგრამ, როგორც კი გათენდებოდა და ცხრათვალა მზე გაანათებდა, ღამის ფიცი ყინულივით დნებოდა.

შეხვედრა უცხოელებთან

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, რომ დავინახეთ ქვევით მყინვარზე მოძრავი ფარნის შუქი და მოგვესმა ყინულზე ჯოხების კაკუნი. ვეტერჰორნის მწვერვალისკენ მოდიოდა მთასვლელთა ჯგუფი. თვალს არ ვაშორებდი მოძრავ ფარანს, რომ დამენახა, ოვრებინა ქოხისაკენ მიმართულება. ნახევარ საათში ამოვიდნენ მთასვლელები და ჩვენს ზემოთ, კლდეებზე, გადაიარეს.

ამხანაგებს ვანიშნე, არამც და არამც ხმა არ ამოეღოთ, რომ ჩვენი სამარცხვინო მდგომარეობა არ გაგვემხილა უცხოელთათვის, მაგრამ სირცხვილს მაინც ვერ გადავურჩით. მართალია, ჯერ კიდევ ბნელოდა და ჩვენც უძრავად ვისხედით, მაგრამ ვერ იქნა, ვერ გავაჩერეთ კბილების კაკუნი.

— მგლებია? — მოისმა ზემოდან ქალის შეშინებული ხმა და ჯგუფი შეჩერდა.

— რის მგლები, მადამ, რას ბრძანებთ? უკანასკნელი მგელი შვეიცარიაში ამ ორმოცი წლის წინათ მოჰკლეს, — მოისმა გამყოლის ჩახლეჩილი ხმა.

— ეი, თქვენ! ვინა ხართ? რას აკეთებთ მანდ? — გადმოგეძახეს ზემოდან გერმანულად.

ჩვენ ხმას არ ვიღებთ და ვცდილობთ კლდეში ჩამალვას.

— ვინა ხართ მანდ? არ გესმით? ჰეი! ჰეი! ცოცხლები ხართ?... — გვიყვირიან ახლა ფრანგულად.

მეტი რა გაეწყობოდა, ხმა მივეცით ქვემოდან.

— გზას ასცდით? ღამე მანდ გაატარეთ? დახმარება ხომ არ გინდათ? — მოგვაყარეს ზემოდან კითხვები.

— გმადლობთ, არაფერს ვსაჭიროებთ. ახლა თვითონ გავიკვლევთ ქოხისაკენ გზას, — ვუპასუხე უფსკრულიდან კბილების რაკუნით.

...ერთ საათში ჩავაღწიეთ ქოხამდე. სადაც სიმონმა მაშინათვე ჩაი შესდგა, ნაუმმა ჩანთებიდან საუზმე ამოალაგა, მე კი გამწარებული მარცხენა ფეხის თითებს ვიზელდი თოვლით. ისე მეწოდა, რომ კვნესას ძლივს ვიმაგრებდი.

— ეგ არაფერია, ირაკლი, — მამხნევებს სიმონი, — სამაგიეროდ ვეტერჰორნის მწვერვალი ავიღეთ, ისიც უგამყოლოდ და ახალი, უვალი გზით...

მთის რაინდი

შუადღისას გაიღო ქოხის კარი და შემოვიდა მთასვლელების ახალი ჯგუფი. წინ გამყოლი, უკან მზიდავი. შუაში თოკით გადაბმული ორი ახალგაზრდა ქალიშვილი, ძვირფას ალპურ ტანისამოსში გამოწყობილნი. ეტყობოდა დები იყვნენ. ლოყები გაწითლებიათ, გადიდებული თვალებით გულდასმით გვსიხჯავენ ჩვენ და ქოხის მოწყობილობას, მაგრამ სდუმან და არ გვეცნაურებიან. როდესაც მათ გამყოლს დავანახვეთ, რა გზით ავალწიეთ მწვერვალს, იმან ასეთი ორაზროვანი პასუხი მოგვცა:

— ვინც მაგ უვალი გზით ავა ვეტერჰორნზე, ის ჩავარდება ისტორიაში.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ყველანი დალაგდნენ, რუსულად მივმართე ჩემს თანამგზავრს:

— ნაუმ! მოდი, წავიდეთ აგერ იმ სალი კლდეებისაკენ, თოვლით და ყინულით რომ არიან დაფარულნი. შიგა და შიგ რომ შავი ადგილები მოსჩანს, იქ ალბათ ალპიურ ყვავილებს მოვნახავთ, მოვწყვიტოთ და მოვართვათ ამ ინგლისელ მზეთუნახავებს.

და აი ორი რაინდი, ალპიურ ჯოხებით შეიარაღებულნი, გამოვედით ქოხიდან უთოკოდ და გავუდექით ყინულებით მოლიპულ გზას იმ შავი კლდეებისაკენ.

ავცოცდით იმ სალ კლდეზე და მალე ერთმანეთს დავშორდით ყვავილების საძებნელად. ის მარჯვნივ წავიდა. მე მარცხნივ. მალე დავინახე, რომ ერთ ადგილას ობლად იჭყიტებოდა ხავერდისებური თეთრი ყვავილი, — ეს იყო ცნობილი ედელვაისი. ყვავილი, რომელიც იზრდება თოვლის ხაზის ზემოთ, ყინულით დაფარულ კლდეებში. ყვავილი მგოსანთა მიერ ქებული, სახელგანთქმული, რომლის პოვნა და მოწყვეტა ვაჟკაცობად ითვლება მთაში.

დავინახე. მაგრამ ისეთ მოლიპულ, დაქანებულ ადგილზე იყო, რომ ვერ იქნა, ვერ მივაწვდინე ხელი.

მაშინ გადავხტი იმ დაქანებულ კლდეზე, ვტაცე ყვავილს ხელი, მაგრამ ფეხი დამისხლტა და დავეცი მოლიპულ კლდეზე. მარჯვენა ხელში ჯოხი მიჭირავს, მარცხენაში ყვავილი. არც ერთს ვუშვებ, არც მეორეს, მივცურავ ქვევით ნელა, ძალიან ნელა. ვცდილობ, წამოვდგე, მაგრამ ისევ და ისევ ვეცემი. გავერთხე ყინულზე, ვებღაუჭები უსწორ-მასწორო ადგილებს. ცალი თვალით ვხედავ სადღაც ძირს გაშენებულ სოფელს,

რომლის სახლები აქედან პატარა კოლოფებად მოსჩანან. შიგ შუა სოფელში უნდა ჩავვარდე ჩემი ჯოხით და ყვავილით.

ვაი თავო! ვაი დედავ! რა ამბავი მოგივა შვილზე უცხო ქვეყნიდან! — ამხანაგი შორს არის, არც თოკი აქვს თან.

— ვიღუპები! მიშველე-ეთ!

მორბის ამხანაგი, გაწვა კლდეზე, გამომიწოდა თავისი გრძელი ჯოხი და... ამომიყვანა სამშვიდობოზე.

ორივენი გაფითრებულნი ვუცქერით ერთმანეთს, ხმას ვერ ვიღებთ, შიშით ენა ჩაგვივარდა.

ჩუმად დავბრუნდით ქოხში და თითო ობოლი ყვავილი მივართვით ქალებს. ოდნავი ღიმილით და თავის დახრით ჩამოგვართვეს ყვავილები, რასაც კინალამ სიცოცხლე შეევწირეთ.

იუნგფრაუ

იუნგფრაუ ითვლება ცენტრალური ალპების ერთ-ერთ მთავარ მწვერვალად. სიმაღლით იგი 4167 მეტრია.

ხუთნი მივდიოდით ამ მწვერვალზე: ჩვენ, სამი ნაცადი მთასვლელი და ორი სრულიად გამოუცდელი პოლონელი სტუდენტი, რომლებიც სიმონმა მოიპატიჟა იუნგფრაუზე ჩემს დაუკითხავად...

... იუნგფრაუს ძირში, თვალწარმტაც ხეობაში გაშენებულია სოფელი ლაუტერბრუნენი. გამყოლები აქაც დაგვიხვდნენ და გვარწმუნებდნენ თავისებურად, რომ იუნგფრაუზე ასვლა უგამყოლოდ სახიფათოაო.

— მწვერვალზე არ მივდივართ, მხოლოდ ქოხამდე გვინდა ავისეირნოთ, — ატყუებს სიმონი.

სოფლის განაპირა რესტორანში ვისადილეთ და სიმონმა აქაც გაუმეორა გამყოლებს, რომ ქოხამდე მივდივართო.

— მაშ წრიაპები რად მიგაქვთ? — შეგვეკითხა დაეპვებული შვეიცარიელი და მიმანიშნა წრიაპებზე, რომლებიც, როგორც წესია, ჩანთის ზემოდან მქონდა მიმაგრებული.

მე ვეღარ მოვითმინე და სიმართლე ვუთხარი, ერთი იმიტომ, რომ ტყუილი ვიუკადრისე და მეორეც, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი გამოთხოვება ბართან და საჭირო იყო სინამდვილის თქმა.

შვეიცარიელს ეუცხოვა ჩემი პასუხი.

— როგორ იქნება უგამყოლოდ ასვლა იუნგფრაუზე? ისიც ასე გვიან! ახლა ხომ 10 სექტემბერია. აი ამ ორი კვირის წინათ სამი ვიღაცა რუსი კინაღამ გაყინულიყო ვეტერჰორნზე. ცოცხალ-მკვდარნი ეპოვათ და ძლივს გადაერჩინათ.

ჩვენ ჩაგვეცინა და ვუპასუხეთ, რომ ის „რუსები“ ჩვენა ვართ.

შვეიცარიელი აღტაცებაში მოვიდა.

— ხება მომეცით შევსვა თქვენი საღღეგრძელო!—მოგვიჯახუნა ლუდით სავსე უშველებელი ჭიქა და „ნიშნად ღრმა პატივისცემისა“ შეუსვენებლივ დალია .უკანასკნელ წვეთამდე.

ღამე შვეიცარიელ მწყემსებთან

საღამოს ხუთ საათზე გავცილდით უკანასკნელ ხეებს (2000 მეტრი) და შევუდექით ალპიურ ველს. აქ ამხანაგებმა დაინახეს თივის ბულული და ღამის თევა აქ განიზრახეს.

— რა დროს ღამის თევაა, — გამეცინა მე. — ჯერ ხომ ხუთი საათია. სამი საათი დაგვრჩა დაღამებამდე და უეჭველად ავაღწევთ ქოხს.

მაგრამ ამხანაგებმა შორს დაიჭირეს. მოიხსნეს ჩანთები და ჩამოსხდნენ ბულულთან. გამიკვირდა, რომ სიმონიც იმათ მიემხრო.

— ქოხს დაბინდებამდე ვერ მივაღწევთ და ისევ კლდეებში მოგვიხდება ღამის თევა, — ბუტბუტებს სიმონი უკმაყოფილოდ.

ჩუმად გავუდექი გზას. უკან აღარ ვიხედები.

მალე შემომესმა სიმონის ძახილი:

— ჰეი, ჰეი, მოიცა! — და მძიმედ გამომყვნენ ყველანი.

... ერთ ადგილას დავინახე, შვეიცარიელი ისეთ დაღმართზე სთიბავდა ბალახს, რომ კაცს ეგონებოდა, ან ახლა ჩამოვარდება ან ახლაო. ახლოს რომ მივედი, მაშინ გავარჩიე, რომ თოკით იყო მიბმული კლდეზე. სალამი მივეცით ერთმანეთს.

— იუნგფრაუზე მიდიხართ?

— დიახ.

— მარტოდ? — გაიკვირვა იმან.

— მარტო არა, ამხანაგები მომდევენ. გაძყოლი კი არა გვყავს.

— არ გირჩევთ.

— ვეტერჰორნზეც მარტონი ავედით.

— ჰო, მაგრამ იუნგფრაუ ხუთასი მეტრით იმაზე მაღალია. გარდა ამისა ახლა შემოდგომაა. კლდეები თხელი ყინულით არის დაფარული. სახიფათოა.

— გმადლობთ რჩევისათვის. თქვენ ეს მითხარით, როტალის ქოხამდე რამდენია კიდევ სავალი?

— ოთხი საათი იქნება, ისიც თუ გზას არ ასცდით სიბნელეში.

დავფიქრდი და ამხანაგების მოლოდინში ჩამოვჯექი ქვაზე.

— ზევით ხომ არსად შევხვდებით მწყემსების ქოხს?

— როგორ არა, ერთი ქოხია აგერ იქ, — მიპასუხა თავაზიანად და დაუწყო ნამგალს ლესვა.

— ეს სათიბი თქვენ გეკუთვნით?

— არა, სათემოა. წრეულს აქ მე ვაბალახებ ჩემს საქონელს, მერმის უფრო მაღლა ავალ. ჩემზე მაღლა ვინც არის, ის ქვემოთ ჩავა და ასე ყოველ წლივ ვიცვლით ბინას.

— დიდი ფარა გყავთ?

— ოცი ცხვარი და ორი ძროხა.

შვეიცარიაში ეს მთელი სიმდიდრეა. კარგი ჯიშის ძროხა ათას ფრანკად ფასობს.

ამასობაში ამხანაგებიც ამოვიდნენ და მზის ჩასვლისას ავაღწიეთ მწყემსების უკანასკნელ ქოხამდე, სადაც გულცივად დაგვიხვდა ორი ბიჭი. მაგრამ ჩვენ შევპირდით ქირას და რუსული ჩაით გამასპინძლებას, ისინიც მოლბნენ.

ჩაის ვადუღებთ, თან მასპინძლებს ვესაუბრებით. ძმები არიან. უფროსი ლორენცი 16 წლისაა, გონებით შძიმე და ბეჩავი. ფრანცი თოთხმეტისაა, მაგრამ უფროსსა სჯობნის. სიტყვა პასუხსაც ის გვაძლევს. ყველაფერში მარდი და მოსწრებულია.

— რას გამოგვართმევთ ღამის თევაში? — ვეკითხები უფროს ძმას.

— ორ ფრანკს, — წამოიძახა უმცროსმა.

— ორი ფრანკი, — იმეორებს უფროსი ძმა მოძახილივით.

შვეიცარიელი მონადირე

— რასა ბრძანებ, ყმაწვილო, სასტუმრო ხომ არ არის ეს თქვენი ქოხი, — გავეხუმრე მე.

— აბა, მაშ ერთი ფრანკი იყოს, — მთანხმდება უფროსი. მაშინათვე, რის საპასუხოდ ფრანცმა ჩუმად მუჯლუგუნი წაჰკრა.

მინდა გავიგო. რას ასწავლიან შვეიცარიის სკოლებში დავეკითხები უფროს ძმას.

— ლორენც! რამდენი ხანია სწავლობ სკოლაში?
— ექვსი წელიწადი.
— გეოგრაფია ჩააბარე?
— დიახ. ნრეულს მაისში.
გამოვკითხე. შვეიცარია კარგად იცის, მეზობელი სახელმწიფოები საკმაოდ. კავკასიის შესახებ იცის, რომ იქ მთავარი ქალაქი ბაქოა, სადაც ნავთს იღებენ. თბილისი არ გაუგონია.
— თქვენ საიდანა ხართ? — მეკითხება ის თავის მხრივ.
— კავკასიიდან.
— სომეხი?
— არა, ქართველი.
ამდენი კი აღარ იცის ლორენცომ. სომხებზე ყური მოუკრავს, ქართველი კი არ გაუგონია, თუმცა ეს სახელი გერმანულად და ფრანგულადაც ვეთხარი.
იმ ღამეს სათვეზე გვეძინა. კიდევ კარგი, რომ მწყემსებმა საბნები გვათხოვეს... დილას რომ გავახილე თვალები, უკვე მზე ამოსულიყო. ხუთი საათი იყო. დავაფეთე ამხანაგები. სიმონი თავით ფეხამდე გახვეულა საბანში და კუნძივით უძრავადა წევს თივაზე. მოულოდნელად საბნის ქვემოდან გამოჩნდა ბოლი. დიახ! ბოლი თივიდან.
შეშინებულმა შევყვირე, სწრაფად გადავაძრე საბანი და რა ვიხილეთ?
სიმონი წევს თივაზე და არხეინად აბოლებს ჩიბუხს.
— შე კაი კაცო, რას დაგვაფეთე, როგორ იქნება თივაზე ჩიბუხის წევა!
სიმონს ულვაშებში ეცინება და აუჩქარებლივ დგება.
პოლონელები და ნაუმი განცვიფრებულნი უცქერიან, მე კი გულის წყრომით. ბოლოს ყველას გაგვეცინა.

როტალის ქოხი

ეს ქოხი გაშენებულია 2680 მეტრის სიმაღლეზე, ერთ ყინულოვან კლდის მეზობლად, მარადიული თოვლის ხაზთან.
ნაშუადღევის ოთხ საათზე ამოვედით ფრანცის თანხლებით, რომელმაც სამ ფრანკად ერთი პატარა გუდურა შეშა ამოგვიტანა და თან გზაც გვასწავლა.
— ფრანც! მწვერვალზე ხომ არ გამოგვყვები?
— მამა გამიჯავრდება, ჯერ პატარა ხარო, მაგრამ რის პა-

ტარა? მაისში თოთხმეტისა შევსრულდი, — თან თვალს არ აშორებს იუნგფრაუს ლამაზ მწვერვალს.

— უგამყოლოდ არ გეშინიათ? — მეკითხება ახლა ის.

— შორიდან მეშინია, ახლოს არა.

— გზა მწვერვალისაკენ აგერ იმ აღმართული კლდით მიდის და შემდეგ თოვლით დაფარული ხერხემალით მიემართება, — მასწავლის ფრანცი.

ამ სიტყვებით მარდი ბიჭი გამოგვეთხოვა, მიიღო თავისი გასამრჯელო და ქვემოთ დაეშვა.

მეც წამოვდექი ჯოხით ხელში.

— საით? — მეკითხება სიმონი გაკვირვებული, — ქვევით მიდიხარ?

— არა, ზევით, გზას დავზვერავ მწვერვალისაკენ... თუ დაღამებამდე არ დავბრუნდი, ცეცხლი დაანთე ქოხის წინ.

ზურგზე წრიპები გადავიკიდე, ერთ ჯიბეში ცოტა რამ საგზალი ჩავიდე, მეორეში ჭრილობის შესახვევები და ჯოხით ხელში შევუდექი აღმართს.

— მოიცა, ირაკლი, მარტო როგორ გაგიშვებ, — მიძახის სიმონი და თავისებურად მძიმედ მომყვება. გულმოდგინედ შევუდექით გზის დაზვერვას. ნახევარ საათში მივადექით შიშველ კლდეს, თოკით გადავებით ერთმანეთს და ერთი საათი ვიარეთ ძნელად სავალი გზით. როდესაც 3000 მეტრის სიმაღლეს ავცილდით და დავრწმუნდით, რომ სწორე გზას ვადგევართ, ცოტა შევისვენეთ და შევხედეთ მწვერვალს, რომელიც მედიდურად გადმოგვცქეროდა ზემოდან. ხელით სალამი მივეცით და პირი ქოხისკენ ვიბრუნეთ.

იუნგფრაუს მწვერვალისაკენ

ღამის სამ საათზე ყველანი გავაღვიძე. ამინდი საუცხოოა. მთვარე არა სჩანს, მაგრამ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მეგობრულად დაგვცქერის და თითქოს გვეპატიჟება მწვერვალისკენ.

პოლონელები ერთმანეთს ზურგზე შალებს ახვევენ და რაღაცას ჩურჩულებენ.

— ზურგზე მაგრად ნუ მოიკერთ, — ვასწავლე ჰენრიხს და სტანისლავს,—სხეული თავისუფლად უნდა მოძრაობდეს, თორემ კლდეებზე შეიძლება მარცხი მოგვიდეთ...—გამიგონეს, მაგრამ კვლავ რაღაცა წაიჩურჩულეს, ქოხის სამგზავრო წიგნს მიუახლოვდნენ და აი რა ჩასწერეს გერმანულად: „დღეს 12 სექტემბერს, 1904 წელს, დილის სამ საათზე მივდივართ იუნგფრაუს მწვერვალზე უგამყოლოდ. თუ ორ დღეში არ დავბრუნდით, გთხოვთ გამოგზავნოთ ჩვენს გადასარჩენად მაშველი ექსპედიცია“.

ამოვშალე ყველაფერი, რაც მაშველ ექსპედიციაზე ჩასწერეს, ავანთე ფარანი და გავუძეხი გუშინდელი გზით. წინადღით ჩვენს მიერ დაწყებული ქვის „კაცები“ ძალიან გვეხმარებოდნენ გზის პოვნაში.

რიეერაუზე მივადექით შიშველ კლდეებს, რომლებიც ყინულით იყო დაფარული. გადავებით ხუთივენი თოკით და შევუდექით აღმართს.



იუნგფრაუ

კლდის შუაგულს რომ მივაღწიეთ, ჩემს უკან მომავალმა სტანისლავმა უხერხულად აიქნია თოკი, სახეში მომახვედრა, სათვალე ჩამომივარდა და სადღაც კლდეებში წკრიალით ჩავარდა. მოვიხსენი თოკი და დავედევნე სათვალეს, ურომლისოდაც სიარული გამიძნელდებოდა. ბევრი ვეძებე, ბევრი ვაფათურე ხელები, ერთი-ორჯერ კინაღამ თან არ გადავყევი, მაგრამ ვერ იქნა. ვერ ვიპოვე ამ მოლიპულ კლდეებზე.

— თავს გვაწონებ შენი გულადობით? — მითხრა სიმონმა საყვედურით, როდესაც ჯგუფს დავუბრუნდი.

— რის გულადობა, სიმონ, — მივუგე გულნატკენმა, — უსათვალოდ ვეღარაფერს გავარჩევ. ჩადექი წინ ჩემს ადგილას და გაგვიძეხ, მწვერვალისკენ.

მრცხვენია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ თოკს აღარ გადავები, რითაც დავარღვიე უშიშროების წესები. სიმონს ხან გვერდით მივყვებოდი, ხან წინ ვუსწრებდი ამ ციცაბო ყინულიან კლდეებზე. ასე ვიარეთ შუადღემდის. გზა ვიწრო და ცოტა სახიფათო იყო: მარჯვნივ უფსკრული, მარცხნივ თოვლ-ყინულიანი დაქანება.

— იმ კლდეზე როგორღა ავალთ? — ვეკითხები სიმონს და ვუჩვენებ თითქმის შვეულ, დაკიდულ კლდეს, რომელიც ასი ნაბიჯის იქით მოსჩანს და გზას გვიღობავს მწვერვალისკენ. სიმონი შეფიქრიანდა. გავშალეთ რუკა და დავრწმუნდით, რომ სწორე გზას ვადგევართ. ან როგორ ავცდებით? გზა ერთია; — ვერც მარჯვნივ გადაუხვევთ უფსკრულში და ვერც მარცხნივ დაქანებულ ფერდობზე.

— ახლოს მივიდეთ, იქ გამოირკვევა საქმე, — ვეუბნები სიმონს, და მართლაც ვნახეთ, რომ ამ შვეულ კლდეზე ალაგ-ალაგ რკინის პალოები იყო ჩარჭობილი, მათი შემწეობით ავცოცდით ზევით...

3900 მეტრის სიმაღლეზე ერთ მომცრო ფერდობზე შევისვენეთ. აქ მოღრუბლულმა ცამ მოულოდნელად ხოშკაკალა მოგვაყარა სახეში. სახეს და თვალებს ხელებით ვიფარებდით და სულს ძლივს ვითქვამდით. დიდხანს ვისხედით თოვლში

აბუზული წიწილებივით, წამოვიხურეთ რაც გაგვაჩნდა, ვუცადეთ გამოდარებას, მაგრამ ავდარი თანდათან უარესდებოდა და ხოშკაკალას ყოველი მხრით ვვიშენდა. ველარას ვარჩევდით. თითქმის ვიხრჩობოდით.

ხიფათი

ასვლაზე აღარ ვფიქრობდით. ამ მოულოდნელ ქარბუქში თავის გადარჩენაზე უნდა გვეფიქრა მხოლოდ და ერთმანეთს თოკით ფრთხილად ვუშვებთ ქვევით. ვეჭიდებით მოყინულ ფერდობს ხელით და ფეხით, პოლონელები ველარ ბედავენ სიარულს და საჯდომებით ცურდებიან. — მთლად დაეგლიჯათ შარვლები.

საღამოს ხუთ საათზე დამზრალებმა მივაღწიეთ ქოხს, სადაც ძლივს მოვითქვით სული. რკინის ღუმელში საჩქაროდ დავანთეთ ცეცხლი და...! რა გემრიელი იყო ცხელი ჩაი! რა სიამოვნებით გავეხვიეთ საბნებში და თავი ძილს მივეცით. გადავრჩით მარცხს. მეორე დილას ნაუმი და ორივე პოლონელი გაემზადნენ ბარისაკენ.

—. მწვერვალისათვის თავს ვერ გავწირავთ. თქვენც გირჩევთ ხელი აიღოთო. ხომ ხედავთ ამინდი შეიცვალა,—გვეუბნებიან ისინი, თუმცა ამინდი დაწყნარდა და მზე მხიარულად ანათებს მოკრიალებულ ცაზე.

ბევრი გვაჯერეს, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. დავრჩით მე და სიმონი. გვეწყინა ნაუმის „ღალატი". მაგრამ ამაზე უფრო დაგვაფიქრა სანოვაგის სიმცირემ. დაგვრჩა ოთხი მოხარშული კვერცხი და პური ასე 200 გრამი თითოს. ეს უნდა ვიკმაროთ სამ დღეს.

ჩავაცილეთ ამხანაგები ქვევით და ვუსურვეთ ბარში მშვიდობით ჩასვლა. უცბად ნაუმი მოსწყდა და საშინელი ყვირილით დაგორდა თოვლიან ფერდობზე. ჯოხი ხელიდან გაუვარდა, ჭუდი მოსძვრა და საცოდავი სულ კოტრიალით დაეშვა

ორმოცი მეტრის სიმაღლიდან თავისი ბარგი-ბარხანით. კიდევ კარგი, რომ ქვევით რბილი თოვლი დახვდა და შიგ უვნებლივ ჩაეფლო.

როდესაც სამშვიდობოზე გავიდნენ, სიმონს სიცილი წასკდა, მე კი მოვიმარჯვე ჩემი ჯოხი და იმ დაქანებულ თოვლიან ფერდობზე სავარჯიშოდ რამდენჯერმე ჩავცურდი და ამოვედი.

— ეგ ყველაფერი კარგია, ძმობილო, — მომიბრუნდა სიმონი, რომელიც ზემოდან დამცქეროდა თავისი განუყრელი ჩიბუხით პირში, — მაგრამ ჯობია, დავბრუნდეთ და დილამდე უძრავად ვიწვეთ. ხომ იცი, რომ საკმელი შემოგველია. მაშ ტყუილ-უბრალოდ ნუ იხარჯები...

გადავწყვიტეთ, რომ დღეს ცარიელი ჩაით და ჩიბუხის წევით უნდა მოვინაცვლოთ ხელი. ის ოთხი კვერცხი კი თოვლში ჩავფალით ქოხის გვერდით და დასაძინებლად დავწექით. თან გულში ჩავიფიქრე, რომ ვახშამი სიზმარში მეჭამა.

მეოთხედ მწვერვალისკენ

14 ენკენისთვეს ღამის სამ საათზე წამოვდექით. ძალიან გვშიოდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ თითო კვერცხი და ცოტა პურით გვესაუზმა, დანარჩენი ორი კვერცხი და ერთი ნატეხი პური თან წავიღეთ, რომ სადმე შუაგზაში გვესაუზმა.

შუადღის ორ საათზე ნელი ნაბიჯით ავაღწიეთ 4100 მეტრის სიმაღლეს და აქ შიმშილისგან მუხლმოკეცილნი დავეცით იუნგფრაუიოხის მწვერვალზე, ამოვიღეთ ჩვენი საგზალი და უკანასკნელი ნატეხი პური ძმურად გავიყავით. ვისაუზმეთ, მაგრამ გვიანლა იყო. მუხლებს ძალა ვეღარ დავუბრუნეთ. მეტი ცდა შეუძლებელი იყო, რადგან ღამე შუაგზაში მოგვისწრებდა.

თევზებივით უმწეოდ ვეყარენით მშიერ-მწყურვალნი და ნაღვლიანად შევცქეროდით იუნგფრაუს მთავარ მწვერვალს, სა-



დამდეც რაღაც სამოცი მეტრიღა იყო დარჩენილი. ამინდი ისეთი წყნარი იყო, რომ ამ მორჩენილ მანძილს სხვა პირობებში ნახევარ საათში დავძლევდით.

სიმონი მანუგეშებს, რომ ესეც იუნგფრაუს მეორე მწვერვალად ითვლება.

— მთავარი მწვერვალი, სიმონ! მთავარი მწვერვალი უნდა ავიღოთ! — ვკვნესი მე კრიჭაშეკრული...

როდესაც მეორე დღეს ბარში ჩამოვედით, შვეიცარიელები შეგვხვდნენ ყიჟინით:

— ჰაილ რუსენ, ჰაილ!

გაუმარჯოს რუსებს, გაუმარჯოსო.

ჩვენ გულახდილად ვუამბეთ, რომ მხოლოდ იუნგფრაუ-იოხის მწვერვალს მივაღწიეთ მშივრებმა, ორი დღის უჭმელებმა.

მაშინ გადმოდგა ერთი ხანშიშესული შვეიცარიელი და ასე მოგვმართა: „ბევრი უცხოელი ამიყვანია მწვერვალებზე, ბევრი რამ განმიცდია, მაგრამ იშვიათია ის გამბედაობა და სიმტკიცე, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ". და ქუდი მაღლა ისროლა.

— მშვიდობით შვეიცარიის ალპებო, მთასვლელობის აკვანო...



ასვლა ყაზბეგზე

ორმოცი წლის ნატვრა მისრულდება

1936 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს გავემართე ყაზბეგისკენ. ავტობუსი მიჰქრის თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით, სადაც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ძველი საქართველოს ისტორიული ნაშთები და საბჭოთა მშენებლობის ნიმუშები.

საღამოს ხუთ საათზე უკვე სოფელ ყაზბეგში მივედით, მოვეწყეთ ტურისტულ ბაზის კარვებში და მეორე დღესვე გავეგზავნეთ ადგილობრივი მუზეუმის დასათვალიერებლად.

მუზეუმი მოთავსებულია ორსართულიან ქვიტკირის შენობაში, რომელიც უწინ ყაზბეგის სასახლე ყოფილა. სანამ მუზეუმში შეხვალთ, უნდა გაიაროთ ფართო ეზო, სადაც საყდრის ახლოს მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის საფლავია საუცხოო ძეგლით.

მწერალი გამოქანდაკებულია ბრინჯაოდან და ჩაფიქრებული გასცქერის თავის საყვარელ მთებს.

ვიწრო ქვის კიბით ავდივართ მუზეუმში. ერთ ოთახში გამოფენილია მოხევეთა ყოფა-ცხოვრების საგნები: საჩეჩელი და აკვანი, ხის ავეჯი და ჭურჭელი. შუა ოთახში ზის ორი გამოქანდაკებული დედაბერი და მატყლს ართავს. ისე კარგად არიან გამოყვანილი, რომ პირველი შეხედვით ვერც კი მიხვდებით, რომ ეს ქანდაკებებია და არა ცოცხალი ადამიანები.

მუზეუმის ერთი ოთახი დათმობილი აქვს მყინვარწვერზე ასვლების ისტორიას. გეოგრაფიული საზოგადოების ალპიური სექციის პირველ გამგეობაში ოდესღაც ცხრანი ვიყავით არჩეულნი. ამათგან ექვსი უკვე უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს. სამნი ღა დავრჩით „ამ სოფლად“. ვაკვირდები ჩემი ამხანაგების სურათებს, მუზეუმის კედლებს რომ ამშვენებენ.

აი სურათი ალპიური საზოგადოების თავმჯდომარის, საქართველოში მთასვლელობის ფუძემდებლის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძისა. მისი უდროო სიკვდილის შემდეგ მთასვლელობის საქმეს სათავეში ჩაუდგნენ მისი ამხანაგები: შოთა მიქელაძე, დევი მიქელაძე, გიტო გიორგიძე, პიმენ დვალი და სიმონ ჯაფარიძე, რომლებიც უდროოდ დაიღუპნენ.

სურათებს გულდასმით დავუწყე სინჯვა. ამ დროს შუა ოთახიდან შემოვიდა ორი მგზავრი. გავეცანით ერთმანეთს და შევუდექით მუზეუმის ერთად დათვალიერებას. აქ მეც პირველად ვარ, მაგრამ ზოგი რამ წაკითხული მაქვს, ზოგიც გაგონილი.

აი ეს გაცვეთილი, გახუნებული დროშა წმ. გიორგის დროშაა, უწინ ხევში დიდად პატივცემული.

ეს კი მეფე ერეკლეს წერილია გაბრიელ ყაზბეგისადმი. წერილი ასე იწყება: „ჩვენს მაგივრად ყაზიბეგიშვილ გაბრიელს. მოკითხვა მოხსენდეს. შენი ძმა ივანე გვეახლა და შენი წიგნი მოგვიტანა. რაც მოგეწერა, ყველა შევიტყეთ“, რის შემდეგ მეფე ერეკლე არიგებს, როგორი პატივით უნდა მიიღონ და საქართველოსკენ გამოისტუმრონ რუსთ ხელმწიფის ჯარი.

აი კიდევ წერილი ეტრატზე, სადაც საქართველოს მეფე სოფელ გერგეთის მცხოვრებთ სხვადასხვა შელავათებს აძლევს სამების საყდრის მოვლისათვის.

ვსინჯავთ მწერალ სანდრო ყაზბეგის აკვანს და იმისი წინაპრების სურათებს. აი, რუსი მაიორის ფორმაში გამოწყობილი გაბრიელ ყაზბეგი, რომელმაც დიდი ქონება შეიძინა რუსი ჯარების ბარგისა ან სურსათის გადაზიდვით კავკავიდან თბილისში და დიდად შეაწუხა მოხევენი ამ უჩვეულო ბეგარით.

მისი შვილი მიხეილი, მამა ჩვენი გამოჩენილი მწერლისა, კაცი — მის თანამედროვეთა აღწერით — მკაცრი და თავნება, გენერლის ბრეკეულიალა სამოსელში გამოწყობილი ცივად გადმოგვცქერის სურათიდან. აქვეა სურათები მისი შვილის, ჩვენი სახელოვანი მწერლის სანდრო ყაზბეგისა. ჯერ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, შემდეგ შვიდი წელიწადი მეცხვარედ ნამყოფი მთაში, სადაც ხევის ცხოვრებას ზედმიწევნით გაეცნო და მოგვცა მრავალი მხატვრული ნაწარმოები მოხევეთა ცხოვრებიდან.

მუზეუმის ერთი ოთახი უკავია ყაზბეგთა ეზოში ნაპოვნ საუნჯეს: სამკაულებს, სამხედრო იარაღებს, ხანჯლებს და შუბის წვერებს.

აი როგორ აგვიწერს ამ საუნჯის პოვნას ცნობილი მეცნიერი ბაიერნი, რომელმაც აწარმოვა გათხრები აქ 1878 წელს.

-ღენერალ ყაზბეგის ქვრივს (მწერალ ყაზბეგის დედას) ვთხოვე ნებართვა ეზოს გათხრისა, სადაც აკლდამები მეგულებოდა, მაგრამ ცივი უარი მივიღე.

მაშინ ერთმა ხევსურმა სოფელ ჯუთიდან მითხრა: — ჩემს ეზოშიაც არის ძველი საფლავები. თუ გინდა გასთხარე და რაც შიგ იპოვო, შენი იყოს, საფლავების ქვები კი, რაც ამოათხარო, ჩემია, — ბუხრის ასაშენებლად გამომადგებაო.

მეცნიერი დასთანხმდა ხევსურის ამ უცნაურ წინადადებას და მართლაც აღმოაჩინა იმის ეზოში ძველის ძველი საფლავი, სავსე მოკაზმულობით და იარაღით.

— ამის შემდეგ, — წერს ბაიერნი, — ხელმეორედ მივმართე ყაზბეგის ქვრივს, რომელმაც ბოლოს მომცა ნებართვა, ოღონდ იმ პირობით, რომ, რასაც საფლავებში ძვირფასს ვიპოვნიდი, იმისათვის უნდა მიმეცა“...

ახლა ეს სამკაულები ამ მუზეუმშია და ჩვენც ყურადღებით ვსინჯავთ მათ.

მუზეუმის ერთ კუთხეში დიდი ასოებით სწერია:

„ბერი იოსები ნებისა ღვთისათა აღვიდა მყინვარწვერზე, საღაც არ ასულა ჯერეთ ადამიანი, და იხილა მუნ მამა აბრამის კარავი, მოჰკვეთა ნაჭერი იმა კარავსა, ჩამოიტანა და მიართვა მიფე ერეკლესა“.

ასეთი ცნობა არის მოყვანილი იოანე ბატონიშვილის „ქალმასობაში“, სადაც მყინვარწვერის სახელით ალბათ ბეთლემის გამოქვაბული იგულისხმება.

იმ ღამეს მე მაცნობეს, რომ თბილისიდან ამხანაგი ვეღარ მოვაო. ამრიგად მე მარტო მიხდება მწვერვალზე ასვლა. ხვალ ავალ მოზამთრეთა ქოხში, რომელიც თვრამეტი კილომეტრით არის დაშორებული აქედან, იქ კი რუსი მთასვლელები არიან დაბანაკებული. მწვერვალზე ასვლას აპირებენ. იმათ ჯგუფს შევუერთდები. იმედია, უარს არ მეტყვიან.

— ჩქარა, მიდიან, — ამ სიტყვებით შემოირბინა ერთ-ერთმა თანამგზავრმა ქალმა ჩვენს კარავში დილა ადრიან.

უმალ კარავიდან გამოველ. მოედანზე გამწკრივებულა ოცამდე მგზავრი გრძელი ჯოხებით ხელში. მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელს უკავია წერაყინი, რომელიც იხმარება მყინვარებზე საფეხურების ამოსაჭრელად (წერაქვსა ჰგავს).

— სად მიდიან? — ვეკითხები.

— იქა, აი რა ჰქვიან...

— მოზამთრეთა სადგურში?

— ჰო იქა, შენც გაჰყე. გამყოლით მიდიან.

ამის თქმა და შესრულება ერთი იყო. არ გასულა ორიოდე წუთი, რომ მე ჩემი წერაყინით და გუდა-ნაბადით ჩავდექი მწკრივში.

ბანაკის უფროსი გვარიგებს:

— „გზაში სრული წესიერება და ხელმძღვანელის მორჩილება გმართებთ. ერთი მეორეს ფეხდაფეხ მიჰყევით, ერთმანეთს არ გაუსწროთ. თორემ სუნთქვა და გულისცემა გაგიძნელდებათ“ — და სხვა ამისთანები, რაც მე დიდი ხანია ვიცი და ამიტომ ცალი ყურით ვუსმენდი.

მწკრივად შევუდექით გზას და ნახევარი საათის მოგზაურობის შემდეგ მივედით სოფელ გერგეთში.

მოხევეებში პირველადა ვარ და ყურადღებით ვაკვირდები აქაურობას. შენობები ფიქალით არის აშენებული, პატარა სარკმელები აქვთ, დაბალი და ვიწრო შესავალი კარები, ბანი ბევრგან ბრტყელი და ზემოდან დატკეპნილი, რომელზედაც საკვამლე მილის მაგივრად დაუსკუპებიათ ძირგავარდნილი ქილა თუ ქოთანი.

იქვე სახლის გვერდით მიშენებულია საქონლის ბაკი თავისი პატარა ეზოთი.

ამ სოფლიდან 1811 წელს წაიმძღვარა რუსმა მეცნიერმა პაროტმა ორი მონადირე მყინვარწვერზე (ყაზბეგზე) ასასვლელად: „როდესაც თოვლის ხაზს მივბდექით, მოხევეებმა გადაჭრით გამოაცხადეს, რომ ამაზე ზევით ასვლა აღარ შეიძლება, რადგან მთა შელოცვილია და ღმერთი შერისხავს ადგილებსა-ო“, — წერს პაროტი თავის დღიურში. როდესაც ვერავითარმა დაჯერებამ ვერ გასჭრა და ვერც ოქროს ფულის ჩვენებამ მოისყიდა შემკრთალი მოხევეები, პაროტი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სოფელში. მესამე დღეს ოთხი ოსი ჯარისკაცით დაუოლალავი პაროტი კვლავ შეეცადა მწვერვალზე ასვლას და საღამოს 8 საათზე მიაღწია 4.000 მეტრის სიმაღლეს, ე. ი. ახლანდელი „იაგორას ნიშის“ ზემოთ. აქ კედლის ძირში ღამე ათიეს და მეორე დღეს, 17 ენკენისთვეს 1811 წელს, ძლიერი ქარბუქის გამო იძულებულნი გახდნენ დაბრუნებულიყვნენ სოფელში.

„სუნთქვა მიძნელდებოდა,—წერს პაროტი,—ენას ძლივს ვამოძრავებდი და ვეღარც თვალი მიკრიდა. ძლიერი ქარბუქის გამო ათ ნაბიჯზე ერთმანეთს ვეღარ ვარჩევდით. ჯარისკაცებმა დაქინებით მოითხოვეს უკან დაბრუნება, და თუმცა 1.000 მეტრიღა გვაკლდა მწვერვალამდე, იძულებული გავხდი უკან დავბრუნებულიყავ. იქ. სადაც ახლა ქვის ნიშია, ერთი ჯარისკაცი დაუგორდათ. შიშით ვუცქეროდით, როგორ ვარდებოდა ის საბრალო, მაგრამ დახეთ ჩვენს სიხარულს! ჯარისკაცი თოვლში ჩაეფლო, წამოდგა, შეიბერტყა თოვლი და ქვევიდან სიცილით შემოგვძახა:

აბა თუ ვაჟკაცები ხართ, თქვენც ასე ჩქარა ჩამოდითო“. ...ასე უშედეგოდ დამთავრდა პირველი ცდა ყაზბეგის დაპყრობისა.

მეორედ ყაზბეგზე ასვლას 1844 წელს შეეცადა რუსი მეცნიერი დოქტორი კოლენატი იმავე გერგეთის გზით, რომლითაც ჩვენ ახლა მივდივართ.

როგორც ცნობილია, ძველ დროს „ნასწავლი“ ხალხი სოფლად მხოლოდ მასწავლებელი და მღვდელი იყო. ამიტომ ყაზბეგში მისვლისას კოლენატიმ იკითხა იქაური მღვდელი და შეეკითხა რჩევას ყაზბეგზე ასვლის შესახებ.

— თუ სამ დღეს იმარხულებ და პარაკლისს გადიხდი, მაშინ ღმერთიც შეგეწევაო, — უპასუხა ხუცესმა.

მეცნიერს ამისთანა რჩევა ჭკუაში არ დაუჯდა და ხუცესს ცივად გამოეთხოვა.

1844 წლის 11 აგვისტოს სოფელ გერგეთში დაიქირავა ოთხი მონადირე: დავით წიკლაური, გრიგოლ ფიცხელაური, რადევანი და ივანე „გიგო“ (ალბათ გიგაური). ღორის ლორი რომ დამინახეს, სწერს კოლენატი, მთხოვეს, თან არ წამეღო, რადგან გერგეთში აკვეთილი ჰქონდათ ღორის ხორცის ჭამა.

ყაზბეგი.

კოლენატიმ თხოვნა შეუსრულა და მხოლოდ მაშინ გაჰ-
ყვნენ მოხევეები... „ღამე ვათიეთ სამების ეკლესიაში და შე-
ორე დღეც იქ გავატარეთ, — განაგრძობს კოლენატი. — 13
აგვისტოს მივაღწიეთ ხატის ნიშის ზემოთ 3.000 მეტრს და
ღამე იქ ვათიეთ მყინვარის მახლობლად, რომლიდან გამომ-
დინარე გიჟმაჟი ჩხერის ხმაური ძილს ძიფრთხობდა და მო-
სვენებას არ მაძლევდა. მოხევეებმა ჯოხებზე ნაბადი გადაა-
ფარეს და მეც შიგ შევძვერი. ვიღაცამ თავისი ქურქი გაიხადა
და ისიც ზედ გადამაფარა. თვითონ კი გარეთ ცეცხლი დაანთ-
ეს და წყნარი ხიმღერით ათევდნენ ზაფხულის მოკლე ღამეს.
ძილში მესმოდა გარეული ქათმების კაკანი და მგლების უსი-
ამოვნო ღმეილი. მეორე დღეს დილის 5 საათზე შევუდექით
ჩხერის (გერგეთის) მყინვარს. ბანდულებით და წრიპებით
გადავიარეთ მყინვარი და მალე გადავედით მარცხენა მორენა-
ზე. აქ შევჩერდით ერთ ადგილას, სადაც მონადირეებს ქვე-
ბისაგან საფარი მოეწყოთ ჯიხვებზე სანადიროდ. ჩემი მეგზუ-
რი ფიცხელაურის სიტყვით, რომელიც 1811 წელს ახლდა პა-
როტს ყაზბეგზე ასვლის დროს, მათ ამ ადგილას გაეთიათ ღამე“.

„თვალებზე ფერადი სათვალე გავიკეთე, მოხევეებმა
კი თოფის წამალი დაასველეს და თვალებზე წაისვეს, — წერს
კოლენატი...—ნაშუადღევს მივადექით ყინვარზე ისეთ ყინულო-
ვან ფერდობს, რომ მოხევეებმა გადაჭრით დაბრუნება მოით-
ხოვეს. მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ მე თვითონ დავიწყე
საფეხურების ჭრა, შერცხვათ და ისინიც თან მიმყვნენ“.

ნაშუადღევის ხამ საათზე მიაღწიეს „ერთ გამოშვერილ
კლდეს“. თუმცა ამინდი წყნარი იყო და სითბოც ორი გრა-
დუსი, კოლენატიმ უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მან შემდე-
გი წარწერა დააფხიკა თუთიის ბოთლს: „14 აგვისტოს 1844
წელს მოვაღწიეთ ამ ადგილს. დოქტორ კოლენატი, დავით
ნიკოლაური, რადევან ფიცხელაური, ივანე გიგო“. ბოთლი
კლდის ნაპრალში ჩადვეს, ზემოდან ქვები დააწყეს და უკან
გამობრუნდნენ.

შემდგომ მთამსვლელთა შორის აღსანიშნავია ცნობილ-
ტოპოგრაფ პასტუხოვის ასვლა 1889 წელს ჩრდილოეთის
მხრიდან სამი თანამგზავრით, რომელთაგან ორმა ვერ მიაღწია
მწვერვალს და იძულებული გახდენ უკან გაბრუნებულიყვნენ.
დარჩა პასტუხოვი და მისი თანამგზავრი გულადი ტარახოვი,
რომლებიც მხნედ შეუდგნენ გზას მწვერვალისკენ. მოულოდ-
ნელად პასტუხოვი ჩავარდა თოვლით დაფარულ ნაპრალში-

გიორგი ნიკოლაძე.

დაღუპვას გადაარჩინა ორმეტრიანმა ჯოხმა, რომელიც შემდეგ ზედმიბმული წითელი ფარჩით, ყაზბეგის მწვერვალზე დაარჭო.

ამის შემდეგ მწვერვალს ეწვია დევდორაკის გზით მასწავლებელი ქალი მარია პრეობრაჟენსკაია. ეს დაუღალავი ქალი ცხრაჯერ ავიდა ყაზბეგის მწვერვალზე მოხევეების თანხლებით. რომლებსაც ეძნელებოდათ პრეობრაჟენსკაიას გვარის გამოთქმა და ამიტომ უწოდებდენ მარი პალნას (მარია პავლოვნა)...

პირველი საბჭოთა ასვლა მყინვარწვერზე მოაწყო პროფესორმა გიორგი ნიკოლაძემ 1923 წელს. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ქარბუქში და ყინვაში ავიდა მწვერვალზე ცხრამეტი მონაწილე, მათ შორის ხუთი ქალი.

მომზადება კარგი ჰქონდათ, სურვილი დიდი. ნებისყოფა მტკიცე, და ამიტომ გაიმარჯვეს მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა.

იმავე წელს მყინვარწვერს მიაღწია პროფესორ ა. დიდებულიძის მეცნიერულმა ექსპედიციამ. ამ უკანასკნელში მონაწილეობა მიიღეს დოცენტმა იოსებ ასლანიშვილმა და ალექსანდრა ჯაფარიძემ, რომლებმაც ძას შემდეგ კავკასიონის მრავალი მწვერვალი დაიპყრეს.

ამ ექსპედიციებმა საძირკველი ჩაუყარეს მასიურ მთასვლელობას საბჭოთა საქართველოში.

1926 წელს ორჯერ ავიდა მწვერვალზე ექსპედიცია სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, აღჭურვილი სამეცნიერო იარაღებით, რომლითაც მწვერვალზე მოახდინეს სათანადო დაკვირვებანი.

1927 წელს მისივე ხელმძღვანელობით მოხდა პირველი ასვლა მწვერვალზე ზამთარში.

1931 წელს ალიოშა ჯაფარიძე აღწევს მწვერვალს ახალი, უვალი გზით აბანოსა და დევდორაკის მყინვარების გამყოლი ქედით.

1932 წელს სცადა ასვლა უვალი გველეშაპის გზით შოთა მიქელაძემ ერთი გამოუცდელი თანამგზავრით და დაიღუპა აბანოს მყინვარზე (თოკი გაუწყდათ).

დავუბრუნდეთ ჩვენს მოგზაურობას. ყაზბეგიდან გასულები მალე გავცდით სოფელ გერგეტს და დაკლაკნილი ბილიკით შევუდექით აღმართს სამების საყდრისკენ. გზაში გვხვდება ქვებით შემოღობილი მიწის ნაკვეთები, სადაც სთესია ქერი, კარტოფილი, კომბოსტო და ჭარხალი. უფრო ზემოთ სათიბი ადგილები იწყება. ეტყობა ბუნება აქ ორი კილომეტრის სიმაღლეზე მწირია და ზაფხული მოკლე. მხოლოდ მწვანით მოსილი საბალახო ადგილები ფერადი ყვავილნარებით ახარებენ მგზავრის თვალს.

10 საათზე ავაღწიეთ ხატის ტყეს, სადაც დარჩენილია ძველებური ნიში და სასაფლაო ზედ დაქუჩებული ქვებით— სიმაღლე 1.850 მეტრია.



სამების საყდარი.

ტყე აქ ნაკრძალია და ამიტომ შენახულია სამოცამდე არყის ხე, რომელიც ერთგვარ სიცოცხლეს მატებს აქაურობას.

ამის შემდეგ უკანასკნელ ხეებს შევხვდით 2.000 მეტრის სიმაღლეზე.

11 საათზე შევისვენეთ მეორე ნიშთან სამების ველზე 2.150 მეტრის სიმაღლეზე. სამების საყდრის ლამაზი შენობა თავისი სამრეკლოთი, აშენებული მეშვიდე საუკუნეში, ნახვის ღირსია, მაგრამ ჯგუფი მარჯვნივ უხვევს და მეც მივდევ მათ, თუმცა თვალი მრჩება საყდრისკენ, რომელიც, ვახუშტის თქმით, „მშვენიერ ალაგას მშვენიერი ნაშენია“. ორ საათზე მივაღწიეთ იმ უკანასკნელ ველს, რომელიც კიდევ ბალახითაა მოფენილი, და სადაც მოხევეებს ზაფხულობით საქონელი მოუდით საბალახოდ.

— ამ ველს ჰქვია საბერწე, სიმაღლე 3000 მეტრია. აქ არის ჩვენი უკანასკნელი შესვენება. ისაუზმეთ, ამხანაგებო! ნახევარი საათის შემდეგ უკან უნდა გავბრუნდეთ. — ასეთი სიტყვებით მოგვმართა ხელმძღვანელმა. ყველანი ჩამოსხდნენ, ამოალაგეს ჩანთებიდან საუზმე და მადიანად დაიწყეს ჭამა. მხოლოდ მე დამავიწყდა საუზმეც და ჩამოჯდომაც.

— განა თქვენ მოზამთრეთა ქოხამდე არ მიდიხართ? — ვეკითხები გაკვირვებული.

გამოირკვა გაუგებრობა. ესენი თურმე საბერწემდე მოდიან, მე კი მითხრეს ქოხამდეო.

ჩავვარდი საგონებელში. შუაგზამდე მოვაღწიე ამ ჩემი მძიმე ტვირთით და უკან რა გამაბრუნებს! არც მარტოდ წასვლას შევეშინდები, გზა რომ ვიცოდე.

— ჩემს ჯგუფში ხართ და წესრიგს უნდა დაემორჩილოთ. — მეუბნება ხელმძღვანელი. — მე ვარ პასუხისმგებელი. ნებას ვერ მოგცემთ ჯგუფს ჩამოშორდეთ და მარტო წახვიდეთ. გზის უცოდინარი ვერ გახვალთ უხიფათოდ ამ ნაპრალებით სავსე გერგეთის მყინვარზე.

მე ვემტკიცებ, რომ აქ გაუგებრობასა აქვს ადგილი. თვითონაც ხედავს, რომ ამოდენა ტვირთით მწვერვალისკენ ვარ მიმავალი და არა რაღაც საბერწემდე.

ტვირთი ჩამოვიხსენი. განზე ჩამოვჯექი და დავიწყე ფიქრი მექმნილ მდგომარეობაზე. ვიგონებ, რასაც სწერენ ასლანიშვილი და წულუკიძე ამ საბერწეზე. მთასვლელები აქ ათევდნენ ღამეს კარვებში და მეორე დღეს განაგრძობდნენ გზას გერგეტის მყინვარით იაგორას ნიშამდე (4000), იქ ღამეს ათევდნენ და მესამე დღეს ადიოდნენ მწვერვალზე. მაგრამ მას შემდეგ რაც 1933 წელს გერგეტის ქოხი ავაშენეთ 3700 მეტრის სიმაღლეზე, მთასვლელები პირველ დღეს პირდაპირ იმ ქოხამდე მიდიან და ღამეს იქ ათევენ. მეორე დღესაც იქ ისვენებენ და მესამე დღეს ღამის სამ საათზე მწვერვალისკენ მიდიან. რომელსაც შუადღისას აღწევენ და საღამოთი ქოხში დაბრუნებას ასწრებენ.

მეც ასე მოვიქცევი. ახლა ორი საათია. დაღამებამდე კიდევ შვიდი საათი რჩება. ქოხამდე ასვლას მოვასწრებ, ოღონდ ცოტა მაინც შევისვენო ამ მშვენიერ კორდზე და შემდგომი გზა დავუზვერო. დურბინდით ვსინჯავ დაქანებულ გერგეთის მყინვარს. რომლის გავლა აქედან მარტო მომიხდება. აქეთ-იქით აყუდებულან ყინულოვანი კედლები, მაგრამ შუაში გავლა არც თუ ისე ძნელი მოჩანს, ოღონდ ნაპრალებს უნდა ერიდოს ადამიანი.

მთასვლელები მუდამ გამოცდილი მეგზურებით გადიან ამ მყინვარზე, ხოლო მათი ტვირთი მზიდავებს მიაქვთ, ასე რომ მთასვლელები თავისუფლად მიდიან და ძალლონეს მწვერვალის ასაღებად ინახავენ. ნეტავი იმათ! ჩემთვის კი გამყოლიცა და მზიდავიც მე თვითონა ვარ.

ამ ფიქრებში ვიყავ, როდესაც შევამჩნიე, რომ მგზავრებს ერთმანეთთან მოეყარათ თავი, რაღაცაზე ჩურჩულებდნენ და ჩემსკენ იცქირებოდნენ. მე კი ზურგზე ჩანთა ავიკიდე და მოვიმარჯვე ფოლადის წერაყინი.

— მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ! — ამ სიტყვებით ჩემი თეთრი ოსური ნაბდის ქუდი მოვიხადე, გამოვემშვიდობე ჯგუფს და შევუდექი აღმართს.

გზას ავცდი

ჩანჩქერთან რომ მივედი, უკან მოვიხედე და ძალიან გამიკვირდა, როდესაც ჯგუფი ისევ იმ ადგილას დავინახე, სადაც დავტოვე. დურბინდით გავხედე. ყველანი სერზე გამწკრივებულან და ჩემსკენ იცქირებიან. მე კი საგონებელში ვარ. ბილიკი გათავდა და გზა აღარა ჩანს.

„ყინულზე ცხენის კვალს მიჰყევიო," — მახსენდება მეგზურის დარიგება და ვფიქრობ, ნეტავ რა გზით გადაჰყავთ აქედან ცხენები? რას მოვიფიქრებდი. რომ ცხენები ამ მჩქეფარე წყალში გასტოპავდნენ და, თუ ურჩობას გაბედავდნენ ან დაფრთხებოდნენ, ქვების სროლით აიძულებდნენ გასვლას, თვითონ ჩალვადარები კი აგერ ამ დაქანებულ კლდეზე გადადიან. მოფიქრების შემდეგ მეც ამ კლდეზე ავედი, მალე შევდგი ფეხი დაქანებულ ყინულზე და ისევ შევჩერდი. მგონია ახლა მარჯვნივ უნდა დავეშვა, მაგრამ ცხენი აქ ვერას გზით ვერ ჩავიდოდა. მაშ, ალბათ, აქ მარცხნივ უხვევდნენ, და მეც მარცხნივ დავიწყე ასვლა.

ნელ-ნელა ავყევი ამ დაქანებულ თოვლ-ყინულს და უკვე ვგრძნობ, რომ მიმართულებას ავცდი. მეტად შვეულ ყინულზე ავედი, სადაც ფეხს ძლივსღა ვიმაგრებ. ამ დროს მომესმა ქვევიდან სტვენა. უნდა მოვბრუნდე, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. წერაყინით გამოვკვეთე ყინულზე ფართო საფეხურები და ნელ-ნელა შემოვტრიალდი. დურბინდი მოვიმარჯვე და ქვევით გავიხედე.

სერზე გამწკრივებული ჯგუფი ისევ ჩემსკენ იცქირება. სტვენა კი უფრო ახლოდან ისმის. დურბინდით მოვათვალიერე იქაურობა და ერთ კლდეზე დავინახე ჯგუფის წინამძღოლი, რომელიც საბერწეს ზემოთ ამოსულა, სასტვენით ნიშანს მაძლევს და ჯოხზე მიმაგრებული თეთრი ხელსახოცი მარცხნივ გაუშვერია.

„მარცხნივ იარე! მარცხნივ“! — ასე გავიგე ეს ნიშანი, და ის კი თურმე მანიშნებდა:

„უკან დაბრუნდი! უკან!“

ამ ძეცდომით გაგებულმა ნიშანმა მთლად ამირია მიმართულება და კინალამ დაღუპვის პირას მიმიყვანა.

მაშ უნდა დავეშვა ამ ყინულზე, მოვუარო აგერ იმ ხახადაღებულ ნაპრალს, გავიარო იმ ვარდნილ ყინულებს შორის და შემდეგ... სულ მარცხნივ ვუხვიო.

საფეხურებს ვჭრი ფართოს და ახლო-ახლო. აქ რომ ფეხი დამისხლტეს, აგერ იმ ნაპრალში ჩავიჩეხები: ქვემოდან ოცი კაცი მიცქერის და სეირის საგნად ვერ გადავიქცევი. წერაყინი მოვიმარჯვე და თორმეტი საიმედო საფეხური გამოვჭერი. ნახევარ საათში გავიარე ყინულოვანი კედლები და მივადექი შუა მორენას. აქამდის გზის მიმართულება ცხადი იყო, მაგრამ ახლა საით წავიდე? მარცხნივ თუ მარჯვნივ? საკვირველია, რომ არც ერთ აღწერილობაში არ არის მოხსენებული ეს შუა მორენა. რომელიც ისეთი იშვიათი და ნიშანდობლივი მოვლენაა (ყინვარს ორად ჰყოფს), რომ ყოველი მთასვლელი ვალდებულია აღნიშნოს .ის თავის დღიურში. ამ შუა მორენას არ იხსენებენ ისეთი დაკვირვებული და მეცნიერი მთასვლელები, როგორც პროფესორი პარტი და დოქტორი კოლენატია.

მაგრამ იქნებ ზოგიერთმა მკითხველმა არ იცის. რას ჰქვიან მორენა? ყინულისაგან დაშლილი, კლდეებიდან ჩამოცვენილი ღორღის და ქვების გრძელი ხროვა ყინვარის ორივე ნაპირზე და ზოგჯერ ყინვარის შუაგულზეც მორენა გახლავთ. მყინვარი კი ხეობაში ნელად მოძრავ ყინულის მდინარეს წარმოადგენს. მოძრაობის დროს ის თან აითრევს თავის ნაპირებზე ჩამოცვენილ მორენებს. თუ ორი მყინვარი უერთდება ერთმანეთს და განაგრძობს გზას, მათი შენაკადის ზოლზე ყრია ეს შუა მორენა. ამიტომ ეწოდება მათ გვერდის მორენები და შუა მორენები ორი ყინვარის შენაკადის ზოლზე.

მივადექი ამ შუა მორენას და ვფიქრობ, საით გადავუხვიო: მარჯვნივ, თუ მარცხნივ. მარჯვნივ აღმართი ნაკლებია, ნაპრალებიც ვიწრო სჩანს, გულიც იქითკენ მიმიწევს.

მაგრამ ნიშანი: „მარცხნივ იარე“! თვალწინ მიდგას და მეც მარცხნივ გავუხვიე, თუმცა მთელი ჩემი მთასვლური ალღო ამისი წინააღმდეგი იყო.

ამ ადგილას უთუოდ მარჯვნივ უნდა გადაუხვიო, შუა მორენას ბოლოდან მოუარო. შემდეგ გვერდის მორენაზე გადახვიდე და იქიდან ქვაყრილზე გავლით ქოხში ახვიდე, რასაც

თითქმის საათზე მეტი დრო უნდა. მე კი მარცხნივ წავედი, ასე რომ შუა მორენა მარჯვნივ დამრჩა. თანდათან დაიწყო დიდი ყინულოვანი აღმართი მრავალი ნაპრალებით, რომლებსაც ზოგს ვახტებოდი, ზოგს მოკრძალებით გვერდზე ვუვლიდი. ერთი საათის სიარულის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მცდარი მიმართულებით მივდივარ. ამ დროს ბეთლემის კლდეებიდან სიმღერა მომესმა. გამახარა ადამიანის ხმამ. დავუწყე ძახილი. მაგრამ საღამომდე რომ მეყვირა, იმ უჩინარ მომღერალს მაინც ვერ გავაგონებდი. შემდეგ გავიგე, რომ მოზამთრეთა სადგურის თანამშრომელი ყოფილა ისეთი ყურნაკლული, რომ თუ შიგ ყურში არ ჩასძახე, ვერას გაიგებს.

ყვირილით რომ დავიღალე, განვაგრძე ზევით სვლა, თან მაგონდება აკაკის ლექსი:

„აღმართ აღმართ მივდიოდი მე ნელა“.

ბეწვის ხიდზე

•

მზე ისე მწვავედ იკბინება, რომ შევჩერდი, თბილი ტანისამოსი გავიხადე და ჩემდა საბედისწეროდ ზურგზე გადავიკიდე. მრცხვენია, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად უნდა ვთქვა, როგორ მოხდა ეს ჩემთვის დიდად სათაკილო ამბავი. ზურგზე გადაკიდებული ტანისამოსი აქეთ-იქით ირხეოდა და ყინულოვან აღმართზე სხეულის წონასწორობას მირღვევდა. და აი უცბად მოლიპულ ყინულზე დამისხლტა ფეხი და სრიალით ქვევით დავექანე. ცხადად ვხედავ ყვითელი თოვლით დაფარულ ნაპრალს.

სწრაფად და მძლავრად ჩავარჭე ყინულში წერაყინი, მაგრამ ყინული მოტყდა და მასთან ერთად ნაპრალში ჩავეარდი. ძდგომარეობა სახიფათო შეიქმნა. ფეხები ნაპრალში მაქვს და ხელებით ჯოხს ვებღაუჭები, რომელიც ნაპრალში გაიჩხირა და ბეწვის ხიდად გადამექცა.

ფართხალი და ხელ-ფეხის წარამარა ქნევა აქ არ ივარგებს. მარტო ვარ და ძირამდე რომ ჩავვარდე, კვალს ვერ მოაგნებენ ამ მოლიპულ ყინულზე. ვიდრე თავს ვუშველი, უნდა გავიგო, საით აქვს ამ ძაბრისებურ ნაპრალს სიგრძე და საით სიგანე. თვით ნაპრალს ვერ ვხედავ, — თოვლით არის დაფარული.

ყინულოვანი ნაპრალი.

წინ და უკან ვაქნევ ფეხებს, მაგრამ ნაპირებს ვერ ვწვდები. მაშ გარდიგარდმო ყოფილა ნაპრალის კედლები. და ამ მიმართულებით ნელ-ნელა ამოვიზიდე სხეული.

სამშვიდობოს რომ ამოველ, ფერი მაშინ მეცვალა. სული მოეთქვი, თოვლი შევიბერტყე და ფრთხილად ქვევით ჩავიხედე. ძირი ვერ დავუნახე, — ძალიან ბნელოდა იმ ნაპრალში.

რა სახიფათოა მარტო სიარული ამ ნაპრალებზე!

აი სად არის საჭირო ამხანაგი, რომ თოკის წვერი დროზე გადმოგიგდოს. მაგრამ რაკი ერთი გავბედე, უნდა ბოლომდე გავიდე: ამ დაქანებულ ყინულზე წინსვლა სჯობს უკან დაბრუნებას.

ფრთხილად განვაგრძე გზა და ნახევარ საათში მივადექი ყინულის ვარდნილს, სადაც ნაპრალი ნაპრალს ისე ხშირად მისდევდა, რომ ნაპრალების მახეში გავები. სხვა გზა აღარ იყო, ვეძგერე ყინულებს ჩემი ნაცადი წერაყინით. აქ ვერავინ მიშველის და არც თუ ვისმე ვთხოვ შველას. პირიქით: წერაყინს ვატრიალებ და საიმედო საფეხურებს ვჭრი.

ერთი ჩიტის ამბავი

ამ დროს დამინახეს მთასვლელებმა ქოხიდან. ჯერ ერთი გადმოდგა კლდეზე, დამისტვინა და სხვებსაც დაუწყო ძახილი. ისინიც მოცვივდნენ კლდეზე და განცვიფრებით დამიწყეს ცქერა. შევდექი და შევძახე ქართულად:

— გზა საით არის?

არ ესმით. ალბათ რუსები არიან. ახლა რუსულად დავუყვირე: რაღაცას მიყვირიან, მაგრამ მანძილი იმდენად დიდია, რომ ერთმანეთისა არა გვესმის რა.

დურბინდით შევხედე და გავარჩიე, რომ იქიდანაც ერთი მთასვლელი დურბინდით მიცქეროდა.

ხელით შევეკითხე, წინ არის გზა, თუ არა? — დურბინდში ცხადად დავინახე, რომ ხელი აქეთ-იქით გააქნია და შემდეგ დიდი წრე შემოხაზა მარცხნიდან მარჯვნივ.

ადვილი მისახვედრია, რასაც მანიშნებს. წინ გზა არა ყოფილა, უკან უნდა დავბრუნდე და ამ სახიფათო ადგილს მარჯვნივ მოვუარო.

ადვილი მისახვედრია, მაგრამ ძნელია შესრულება. ამ ნაპრალებში წინსვლა უფრო შესაძლოა, ვიდრე დაბრუნება. ამიტომ ისევ წინ მივდივარ საფეხურების ჭრით.

სვანი მონადირე.

— „შესდექ!“ — გაისმა ჰაერში სრულიად მკაფიოდ და კლდიდან დაიწყო ჩამოსვლა ერთმა მთასვლელმა, ალბათ ჩემს „გადასარჩენად“. ძალიან ვითაკილე. როდის ვთხოვე, რომ დასახმარებლად მოდიან. ხელით ვანიშნე, რომ დახმარებას არ ვსაჭიროებ, და ფრთხილად განვაგრძე გზა ნაპრალებით დასერილ ყინულზე.

— „შესდექ!“ — გაისმა ისევ ძახილი, თუ ბრძანება. გულმოსული შევდექი. ჯერ იყო და ქვევით მოგზაურები მიშლიდ-

ნენ, ახლა აქ მთასვლელები მაჩერებენ. ნაპრალთან ვდგევარ და შიგ ვიხედები. მოულოდნელად ნაპრალში, ყინულის გამოშვერილ ნაწილზე, მკვდარი ჩიტი დავინახე. სანამ ის კაცი ჩამოვა ჩემ „გადასარჩენად", მე ამ ჩიტს ამოვიტან. მანძილი თვალით გავზომე. ათი საფეხური რომ გამოვკრა, იმ ჩიტამდე ჩავალ. იმის ქვევით კი ნაპრალში ისე ბნელა, რომ ეტყობა სიღრმე დიდი უნდა ჰქონდეს. ფართოსაფეხურების ჭრით დავიწყე ნელ-ნელა ნაპრალში ჩასვლა. უცბად მომესმა ზევიდან:

— „უკან!"

სწორედ ისე, როგორც უყვირიან ეტლში შებმულ ცხენებს. ყური არ ვათხოვე. ჩავაღწიე ჩიტამდის, მაგრამ აღება გამიძნელდა: ზურგის ჩანთა ეხლება გამოშვერილ ყინულებს და მიშლის დახრას. როგორც იქნა, დავწვდი ჩიტს, ხელის გულზე დავიდე და დავაცქერდი.

საბრალოვ! როგორ გამხმარხარ და მოკუნტულხარ! ალბათ კარგ დარში ამოფრინდი ამ სიმაღლეზე, მოულოდნელად ამინდი მეიცვალა, ამოვარდა ქარბუქი და ბოლო მოუღო შენს პატარა სიცოცხლეს. ან იქნებ ქარბუქში ნაპრალში ჩაფრინდი თავის გადასარჩენად და აქ გაიყინე მოულოდნელად? აჰ! რა ძალიან მებრალები, ჩემო პატარა ჩიტუნიავ!... უბეში ჩავიდე და ფრთხილად ამოვძვერი ნაპრალიდან. მალე ის მთასვლელიც ჩამოვიდა ჩემთან. სახეზე შევატყე, რომ ქართველი იყო. გამარჯობა ვუთხარით ერთმანეთს. მას დავალებული ჰქონია წინ გამიძღვეს და „სამშვიდობოს" გამიყვანოს. გამეცინა. ვთხოვე უკან გაბრუნებულიყო და მთასვლელი კაცი არ შევერცხვინე (ზემოდან გვიცქერიან). გაუკვირდა, მაგრამ როდესაც დაჟინებით განვუმეორე, გამშორდა ნაწყენი. რამდენიმე ხნის შემდეგ მეც დავიძარ ჩემი მძიმე ტვირთით და მალე მივაღწიე კლდის ძირს, სადაც რუსები ჩამოშვებენენ და დიდი ყურადღებით დამიწყეს სინჯვა. უკვირთ, რომ მარტო ავედი, ისიც ასეთი სახიფათო გზით და ამოდენა ტვირთით. ამიხსნეს, რომ ამ გზით, მყინვარის მარჯვენა ტოტით — თავის დღეში არავინ ასულა. სამმა კაცმა გამომიწოდა ხელი. უნდათ ზურგიდან ტვირთი ჩამომართვან, რომ დაღლილს გამიადვილონ ციცაბო კლდეზე ასვლა.

რა წარმოსადგენია, რომ ჩემი ტვირთი სხვას ავკიდო! ერთი მათგანი ძალით მართმევს, მაგრამ მე უფრო მეტად გავუძალიანდი.

ეუცხოვათ, რომ ამისთანა დახმარებაზე უარს ვეუბნები.

— დღიურში ჩასწერთ, — ვეუბნები სიცილით, — რომ „დაღუპვას“ გადამარჩინეთ და შემდეგ ჩემი ტვირთიც თქვენ აგკიდეთ.

— ნაპრალში რაღად ჩახვედით? — მეკითხებიან ისინი.

ჯიბიდან ამოვიღე და გავუწოდე, რაც ვიპოვე.

— ჩიტია! ჩიტი!—იძახიან დამხდურნი და გაოცებით უცქერიან ჩიტსა და ჩიტის ბომტანს.

თ ა თ ბ ი რ ი

ძმა და მეგობარი არ მიიღებს კაცს ისე, როგორც მიმიღო ბანაკში ჩემთვის უცნობმა მთასვლელმა ვლადიმირმა. მაშინვე მიძიჩნია ადგილი ბანაკში, მიმიპატიჟა თავის კარავში და გამიმასპინძლდა ცხელი ჩაით.

ღამის 10 საათია. მთასვლელები უკვე დაწვნენ და ტკბილ ძილს მიეცნენ. ორი საათის შემდეგ ბანაკი გაიღვიძებს და შეუდგება გზას მწვერვალისკენ. ოცნი არიან მოსკოვიდან. ამ ბანაკში სამი დღეა ისვენებენ და მთის ჰაერს ეთვისებიან. მანამდე კი მთელი კვირა დაჰყვეს ქვეითა ბანაკში, სადაც ყოველდღე ვარჯიშობდნენ მთასვლური ტექნიკის ათვისებაში. საუცხოოდ არიან მომზადებულნი. ეჭვი არ არის, რომ ხვალ ყველანი მიაღწევენ მწვერვალს.

— მეც თქვენთან წამოვალ ამაღამ, — ვეუბნები ვლადიმირს მოფიქრების შემდეგ.

ვლადიმირმა გადახედა ბანაკის უფროსს, რომელმაც უნუგეშოდ თავი გააქნია.

— ერთი დღე და ღამე უნდა დაისვენოთ, რომ გათხელებულ ჰაერს შეეთვისოთ, თორემ მწვერვალს ვერ მიაღწევთ. რატომ ამოხვედით უგამყოლოდ? რატომ მზიდავი მაინც არ დაიქირავეთ მაგ მძიმე ტვირთის ამოსატანად?

— გამყოლმა ორმოცი თუმანი მთხოვა, მზიდავმა ათი. თუ ჯგუფში არ მიმიღებთ, მარტო ავალ მწვერვალზე, — ვუპასუხე წყნარად.

დაფიქრდნენ. თან ჩაისა სვამენ. ხედავენ, რომ არა ვხუმრობ. დამიწყეს გამოკითხვა:

— ალპინისტის ნიშანი რა მწვერვალისთვისა გაქვთ მიღებული?

— მწვერვალები აღებული მაქვს შვეიცარიის ალპებში, მათ შორის ცნობილი ვეტერჰორნი.

— როდის?

— ოცდაცამეტი წლის წინათ.

— გამყოლით?

— არა, გამყოლიცა და მზიდავიც, თვითონ ვიყავი. სამნი დავდიოდით, სამივე სტუდენტი.

— განა უგამყოლოდ ასწრებდით მწვერვალებზე ასვლას?

— ასვლას ვასწრებდით, მაგრამ ჩამოსვლას კი ვერა. შუაგზაში სიბნელე გვისწრებდა და სამჯერ მყინვარებში მოგვიხდა ღამის თევა... — ყურადღებით გამისინჯეს ჩაცმულობა, წერაყინი, წრიპები და მეტადრე ფეხსაცმელი.

— საუკეთესოდ ხართ გამოწყობილი. ფეხებზე ხომ თბილად გაცვიათ?

— ერთი წყვილი აბრეშუმის წინდა და ორი წყვილი შალისა.

ისევ დაფიქრდნენ. მგონი სასწორი ჩემსკენ იხრება. საფიქრებელი კი აქვთ! მე რომ ესენი გზაში შევაფერხო, შეიძლება მთელი ჯგუფის ხვალინდელი ასვლა ჩაიშალოს.

— ფეხის თითებზე ფრჩხილები ხომ დაიჭერით? — შემეკითხა მოულოდნელად ვლადიმირი.

— შიგ ძირში, რომ ფეხსაცმელში ჩამოსვლის დროს თითები არ დამიზიანდეს.

— გული? როგორ მუშაობს?

— საათივით. ექიმმა გამსინჯა. აი მოწმობა.

ამ პასუხმა გადასწყვიტა საკითხი.

— მაშ, ამხანაგო, ახლა ერთი-ორი საათი მოისვენეთ. იქნებ ცოტა მაინც გამოიძინოთ. ღამის 12 საათზე ბანაკი აიშლება. პირობა ასეთი დავდოთ: თქვენ მოჰყვებით ჩვენ ჯგუფს, მაგრამ ჯგუფის შემადგენლობაში არ შედიხართ. რადგან ჩვენი მიზანია, რომ ჯგუფი ავიდეს მწვერვალზე სრული შემადგენლობით. ვინიცობაა, თუ დაღლილობის გამო ვერ მიაღწევთ მწვერვალს, შესძლებთ თუ არა შუაგზიდან ბანაკში მარტოდ დაბრუნებას?

— შევძლებ, — ვუპასუხე მოფიქრების შემდეგ.

— მაშ ღამე მშვიდობისა!

...შევედი კარავში და ჩუმად დავწექი, რომ მძინარე მეზობლისათვის ძილი არ დამეფრთხო.

მაშ ორი საათის შემდეგ შევუდგებით მწვერვალს! ვაჯერებ ჩემ თავს, რომ მალე უნდა დავიძინო, მაგრამ ძილი, გალიიდან გაშვებული ჩიტივით გამიფრთხა.

მიხეზი? 3.700 მეტრის სიმაღლე, უზომო დაქანცულობა და... დიდი ამბის მოლოდინი.

პირაღმა დავწექი და, რაცა მქონდა ყველაფერი ზედ წავიხურე, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დავიძინე. ვბორგავ და მოუსვენრად ვტრიალებ. შუაღამე რომ შეიქნა, გამოველ ვარსკვლავების შუქზე. მოვნახე ხელმძღვანელის კარავი და გარედან ხმადაბლა შევატყობინე, რომ უკვე თორმეტი საათია. ცოტა ხნის შემდეგ შიგნით სანთელი აინთო და მოისმა ვლადიმირის ნამძინარევი ხმა:

— თერთმეტია, ამხანაგო.

— ნამდვილად თორმეტია, — ვუპასუხებ დაჯერებით, — ჩემი საათი რადიოთი მაქვს შემოწმებული.

რომელი დროით?

— თბილისისა.

— ჩვენ კი მოსკოვისა, — სიცილით მოისმის პასუხი შიგნიდან.

დაბრუნდი კარავში, ისევ დავწექი, თან ვთაკილობ: რატომ ვერ მოვისაზრე, რომ მოსკოვიდან ჩამოსულებს საათი მოსკოვის დროზე ექნებათ დაყენებული და არა თბილისზე.

...შესრულდა პირველი საათიც, მაგრამ გაღვიძების ნიშანი მაინც არ ისმის. კვლავ ავდექი, გავაღვიძე ხელმძღვანელი, რომელიც მატყობინებს, რომ ჯერ ძალიან ადრეა, სჯობია ერთი საათი კიდევ დავიძინოთო.

რაღა დამაძინებდა! ვდგევარ მარტო და ვოცნებობ.

ირგვლივ არაჩვეულებრივი სიჩუმეა. ვარსკვლავები ლაჟვარდ ცაში ისე დიდად ბრწყინავენ და ციმციმებენ, თითქოს უხარიოდეთ, რომ დედამიწას დასცქერიან. მაგრამ ასეთი აზრები ხომ „დედამიწელის“ თავის შექცევაა! ცნობილია, რომ ყოველი ვარსკვლავი უშველებელი მზეა და მასთან შედარებით ჩვენი დედამიწა ერთი ბეწვა „გოროხია“, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ „გოროხზე“ არსებობენ გონიერი არსებანი, რომლებმაც შესძლეს და ამოიცნეს სამყაროს მრავალი საიდუმლოება, გამოიანგარიშეს წონა და ზომა აგერ იმ შორეულ ვარსკვლავებისა, მათი მოძრაობა, დაშორება ჩვენგან და კიდევ ბევრი რამ. ისიც ვიცით, რომ აგერ იმ მთვარეზე, რო-

შელიც დედამიწის ნაგლეჯია, ისეთი მაღალი მთებია, რომ მათთან შედარებით, ჩვენი მწვერვალები პატარა გორაკებია.

დიახ, ბევრ საიდუმლოებას ახადა ფარდა ადამიანმა, მაგრამ კიდევ ბევრი რამ არის ამოუცნობი და მისაღწევი.

მოულოდნელმა ჯახანმა დამიფრთხო უადგილო ფიქრები. ხმაური მოისმა მწვერვალიდან, აგერ, იმ დაქანებულ მყინვარიდან. ალბათ მყინვარი ღამის სიცივისაგან შეიკუმშა, გასკდა და წარმოშვა ახალი ნაპრალი.

ვუცქერი მწვერვალს და მახსენდება კოლენატის შეცდომა. „აქედანაო, სწერს ის მთასვლელი, სულ ახლოს მოჩანდა მწვერვალი, როგორც მაგალითად, მამადავითის მთა თბილისშიო“. სწორედ რომ ასე მოჩანს მწვერვალი ჩვენი ბანაკიდან, სადაც ამ ასი წლის წინათ იყო კოლენატი, ეს ჭკვიანი მეცნიერი, მაგრამ გამოუცდელი მთასვლელი. იმან არ იცოდა, რა არის მთაში რაკურსი და თვალს როგორ ატყუებს მწვერვალის მოჩვენებითი სიახლოვე. სინამდვილეში სიმაღლე აქედან მწვერვალამდე შვეული ხაზით აღემატება ათას სამას მეტრს, თვალს კი გარდატეხის გამოისობით სამას მეტრად ეჩვენება. დიახ, მწვერვალი შორია და მაღალი, მრისხანე, თვალწარმტაცი და მიმზიდველი. ცხრა ვაჟკაცის და ერთი ქალის სიცოცხლე შეიწირა მყინვარწვერმა, მაგრამ ბოლოს მაინც ბუმბერაზმა ჭაღარა თავი მოხარა შეუპოვარი საბჭოთა ადამიანის წინ, რომელმაც თოფ-ზარბაზანიც კი აიტანა მის ამაყ თავზე და ხევს მეხივით დასჭექა ზედ მწვერვალიდან.

ღამის ორ საათზე გაისმა ნიშანი სასტვენით და მთელი ბანაკი წამოიშალა. მე დიდიხანია მზად ვარ და მგონია, რომ ახლავე შევუდგებით გზას, მაგრამ ჯერ თურმე ჩაი და საუზმე იქნება. მანამდე შევედი კარავში, სადაც ჩემი მეზობელი უკვე წამომდგარიყო და ვაზელინს ისვამდა სახეზე. ეტყობა გამოუცდელი მთასვლელია.

— ვაზელინს რად ისვამთ, ამხანაგო?

— რომ სახე არ დამისკდეს.

— ვაზელინისაგან კანი დაგეწვებათ. აი, შეხედეთ, მე ლანოლინს ვისვამ, — და გავუწოდე საცხებელი.

შავი ფერი ეუცხოვა და თავისი თეთრი ვაზელინით განაგრძობს სახის დაზელვას.

ჯიბის სარკეში ჩავიხედე. ყველაფერი რიგზეა: ზანგს დავემგავსე და ფიქრი აღარ მაქვს, — ახლა იისფერი მწვავე ხხივები ვერას დამაკლებენ, ჩემს მეზობელს კი მეორე დღეს კანი და ტუჩები დაუსკდა. ასე იცის ვაზელინმა მთაში!

ჩაის მივუჯექით. ერთი ჭიქა დავლიე და მსუბუქად ვისაუზმე. ხხვები ორ-სამ ჭიქასა სვამენ და მადიანად საუზმობენ. მინდა გავაფრთხილო, რომ ასეთი გაძღომა და ამდენი ჩაის სმა შეაწუხებთ აღმართში, მაგრამ მე ვინა მკითხავს ან უცნობს ვინ დამიჯერებს?

იაგორას ნიში

დილის ოთხ საათზე გავმწკრივდით. წინ ხელმძღვანელია, იმის შემდეგ — ხუთი ქალი, 13 კაცი და ბოლოში მე.

თოკი და წრიაპები ჯერ არ არის საჭირო. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის სინათლეც საკმარისია და ჩვენც შევუდექით თოვლით მოფენილ აღმართს. ღამის წყვდიადში ისმის მბოლოდ ჯოხების კაკუნი და მთასვლელების გახშირებული სუნთქვა.

ჰაერი არ გვყოფნის და ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო ჩქარა ვსუნთქავთ. ამისი მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ ხელმძღვანელს მივყევართ ისეთი ნაბიჯით, რომელიც, ჩემის აზრით, ამ სიმაღლისათვის და აღმართისათვის მეტად ჩქარია.

— მძიმედ იარეთ, ამხანაგებო, მძიმედ! — მიხდა ვუთხრა, მაგრამ ვერა ვბედავ, მე ხომ ხმათი სტუმარი ვარ.

ამიტომ არის, რომ ხშირად გვიხდება შეჩერება და შესვენება.

ერთ საათში გავცდით იაგორას ნიშს, რომელიც წარმოადგენს ქვების ხელოვნურ წყობას 4.000 მეტრის სიმაღლეზე.

ეს ნიში დადგა 1925 წელს მოხევე იაგორამ გზის საჩვენებლად და მას აქეთ დაერქვა იაგორას ნიში. როდესაც ამის შემდეგ იაგორა მესტუმრა თბილისში და ლაპარაკი ამ ნიშზე ჩამოვარდა, იაგორამ როგორღაც მორცხვად ჩაილაპარაკა:

— აი, იაგორას ნიშს რომ უძახიან, იქ ვათიეთ ღამე. ასეთი თავდაბალი იყო ეს ცნობილი მთასვლელი.

დილის მეშვიდე საათზე აღმართ-აღმართ სიარულით მივადექით ერთ საკვირველ კლდეს, ცნობილ „ხმაურას“, მე-

ტად მაღალ და ციცაბო კლდეს, რომელიც სიგრძით თითქმის ერთი კილომეტრია. აქედან მზიან ამინდში შხუილითა და ხმაურით, ზათქით და ხრიალით ცვივა ქვა და ხრეში, თოვლი და ყინული, წყალი და ლამი.

დილის რვა საათია. ხმაურას გავცდით და შევუდექით ალმაცერ ველს, დაფარულს თეთრი, სპეტაკი, ხორხოშელა თოვლით. სიმაღლე 4400 მეტრია. მე დიდხანს ვეღარ ვიარე და მალე ჩამოვრჩი. ჯგუფის ხელმძღვანელმა თავაზიანად მითხრა:

— აი ამხანაგო, რას ნიშნავს ბარიდან პირდაპირ მწვერვალზე ასვლა. რამდენი ხანია მოდიხართ შეუსვენებლად? ერთი დღე და ერთი ღამე? მაშ ჯობია დაბრუნდეთ ბანაკში, კარგად შეისვენოთ და ხვალ ან ზეგ სცადოთ ისევ ასვლა.

ამ სიტყვებით ჯგუფი გაუდგა გზას მწვერვალისკენ, მე კი თუმცა თავი და გული საღად მაქვს, მუხლებმა მიმტყუნეს. მაინც არ მინდა გავტყდე და სვენებით მივდევ ჯგუფს შორიახლოს. გულში მიღვივის იმედი, ეგებ ასეთი ნელი სიარულით შევძლო მწვერვალზე ასვლა.

რაც შემიძლია, ჯოხს ვებჯინები. ეგებ ხელები მიეშველონ სიარულში დაღალულ ფეხებს, რომლებიც თითქოს ღაღადებენ: „შესვენება!“ „შესვენება!“

ლამის ჩავიკეცო. მაგრამ ვკერპობ, ვჯიუტობ. არ ვტყდები. აგერ იმ წოწის ძირამდე მივაღწევ და ნახევარ საათს შევისვენებ, იქ 4.500 მეტრის სიმაღლეა და იქიდან კიდევ ხუთასი მეტრი რჩება მწვერვალამდე.

აქეთ-იქით გავიხედე. აქედან უკვე ჩანს კავკასიონის ქედი, რომლის მწვერვალები ხომალდებსა ჰგვანან, ზღვის სივრცეში ამობურთულს! უჰ, რა გადასახედი იქნება თვით მწვერვალიდან! გავიხედე სამხრეთისაკენ და სახტად დავრჩი. არარატი დავინახე ამ სიშორეზე. დიახ, არარატი სამასი კილომეტრის მანძილზე.

მე სამი წელიწადი ვცხოვრობდი სიყმაწვილეში არარატის ძირას. ყოველ დღე ვხედავდი იმის თოვლით შემოსილ სამკუთხიან მწვერვალს და სიზმარშიც კი გავარჩევ სხვა მწვერვალებისაგან. ნამდვილად არარატია, ამაყად და განდეგილად აღმართული შორეულ სამხრეთში. სხვა ამ სიმაღლის თოვლიანი მწვერვალი იმ მხარეს არ არის. ვუცქერი არარატს და ძალას ვიკრებ.

ეს მართალია, მაგრამ მე კი ჩემი დამემართა. მეტი აღარ შემიძლია! მივაღწიე 4.400 მეტრს, დავხაზე თოვლზე ქვეითკენ მიმართული ისარი და გულმოკლული დავეშვი ხმაურასკენ. ეს ამოდენა გზა ქოხამდე, თითქმის ექვსი კილომეტრი, მარტოდ უნდა გავიარო და ამით მაინც შევიქცევ თავს.

აბა, მაშ ფხიზლად ქოხისკენ.

დაღუპულის ჯოხი

1931 წელს ახალგაზრდა ინჟინერი პანჩენკო წავიდა მარტო მყინვარწვერზე. გერგეთის მყინვარით წავიდა და აღარ დაბრუნდა. შეიძრა ხევი, მოედვნენ მყინვარის თოვლიან კალთებს მთასვლელები და მოხევეები, მაგრამ დაღუპულის კვალსაც ვერ მიაგნეს, თუმცა ორი კვირა გულმოდგინედ ძებნეს. ასე უგზოუკვლოდ დაიკარგა ახალგაზრდა, გამოუცდელი მთასვლელი. უექველია სადმე ნაპრალში უნდა იყოს ჩავარდნილი... როდესაც მარტოდმარტომ ხმაურას მოვაღწიე, დავინახე მოშორებით ერთ ნაპრალზე რაღაცა უცნაური საგანი. ბოძსა ჰგავდა, თუმცა ბოძს რა უნდოდა ამ სიმაღლეზე! შევჩერდი და რადგან შორს იყო, დურბინდი მოვიშველიე.

დიახ, ნამდვილად ბოძია, რაღაცა სასწაულით ამ ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე ამოტანილი და რატომღაც ნაპრალზე დაგდებული.

მკითხველო! იცი რა არის რეფრაქცია? ეს არის გათხელებულ მთის ჰაერში სხივების ერთგვარი გარდატეხა, რომელიც იწვევს თვალში საგნის ზომების გადიდებას. შორიდან მცირე საგანი დიდად გეჩვენებათ და მოკლე რამე წაგრძელებულად.

მე ამ მოვლენას კარგად ვიცნობ, მაგრამ ამ დროს აღარ გამახსენდა და ამიტომ ამ „ბოძს“ დიდად დაინტერესებული ვუახლოვდები. გზა იმ ნაპრალისკენ „გონჯია“, მაგრამ ჩემი ნაცადი წერაყინით ნელნელა დავეშვი და რაც უფრო ვუახლოვდები, მით ეს ბოძი თანდათან წვრილდება. ბოლოს, როცა თითქმის ზედ წავადექი, აღმოჩნდა ჩვეულებრივი მთასვლელის ჯოხი, სიგრძით ორი მეტრი, ბოლოში დაჟანგებული რკინის წვეტით. ხელში ვატრიალებ და ვფიქრობ, საიდან გაჩნდა ეს ჯოხი ამ უალაგო ალაგას ზედ ნაპრალზე. ხმაურას კლდის ძირში მთასვლელები არ დადიან, რადგან „გზა“ მარცხნივ არის, მოშორებით ამ სახიფათო კლდიდან, სადაც წამ-

დაუწუმ ქვები ცვივა. ჩავიხედე ნაპრალში, ბნელოდა. ამ დროს ზემოდან წამოვიდა ხმაურით ქვების ხროვა და მეც გამოვიქეცი, ოღონდ ის ჯოხიც გამოვიტაცე.

დავდექი მაღლობზე და ყურადღებით ვსინჯავ ჯოხს. ამის პატრონს უეჭველია მარცხი შეემთხვა ამ ადგილას, თორემ ცოცხალი მთასვლელი ჯოხს როგორ დასტოვებდა! ჯოხი ხომ მთაში ჩვენი მესამე ფეხია. და უცბად გამახსენდა ის მარტოხელა მთასვლელი, ინჟინერი პანჩენკო. აი თურმე სად ასცდენია ბურუსში გზას და აგერ რომელ ნაპრალში ჩავარდნილა ის მარტოხელა მთასვლელი... აი გაკვეთილი იმათთვის, ვინც მარტო დადის მთაში!...

ჩემი წერაყინი ხმალივით გვერდზე დავიკიდე, ის ნაპოვნი ჯოხი ხელში დავიჭირე და ბანაკისკენ დავეშვი...

საღამოს ექვს საათზე დაბრუნდნენ გამარჯვებული მთასვლელებიც. მთელი ჯგუფი უკლებლივ ასულიყო მწვერვალზე შუადღის 12 საათზე, ე. ი. რვა საათის სიარულის შემდეგ. იქ დაეყოთ მხოლოდ ნახევარი საათი, რადგან ქარბუქი ამოვარდნილიყო და ყველაფერი ბურუსს მოეცვა.

ამდენი ჯაფის შემდეგ ამხანაგებმა ვერ იხილეს კავკასიონი მწვერვალიდან.

ძალიან ნაწყენები იყვნენ ამისთანა უიღბლობით. თანაც ჩქარი სიარულისაგან ზოგს თავი სტკიოდა, ზოგს გულისფრიალი და ქოშინი ასტეხოდა. მაგრამ ორგანიზაცია მაინც კარგი ჰქონდათ. მწყობრად ასულნი მწყობრადვე ჩამოვიდნენ.

ბანაკში ჩამოსვლისას ვლადიმირმა დააყენა თვრამეტი მთასვლელი მწყობრად. თვითონ კლდეზე შედგა და მიმართა მოკლე სიტყვით: მიულოცა მწვერვალზე ასვლა და ამიერიდან ალპინისტებად გახდომა.

ჯგუფი ვაშას ძახილით შეხვდა ხელმძღვანელის სიტყვას და ყველა გაეშურა თავის კარავისაკენ.

ბანაკში დამახვედრეს სასიამოვნო ამბავი: ამ საღამოს აქ მოელიან მელენტის, ჩვენს ცნობილ მთასვლელს, რომელიც ორი სტუდენტით მიდის მწვერვალზე. მაშ მეც იმათ შევუერთდები, მანამდე კი დავათვალიერებ მოზამთრეთა სადგურს, რომლის აგებაზე ამდენი ლაპარაკი იყო ჩვენ მთასვლელთა წრეებში.

მოზამთრეთა სადგური

ყურადღებით ვათვალიერებ სადგურს და ვეცნობი თანამშრომლებს. შენობის კედლები აგებულია 1933 წელს ორმაგი ფიცრისაგან. ფიცრებსა და ფიცრებს შუა ჩაყრილია ხავსი, რომელმაც ქარი და სიცივე უნდა დააკავოს, მაგრამ ფიცარი ზაფხულში გახმა, შეიკუმშა და ქარს თავისუფლად უშვებს შენობაში, რაც მეტად აწუხებთ მოზამთრეებს.

ზამთარში დღე-ღამ ღუმელი ანთია, მაგრამ ორმოც გრადუსიან სიცივეს მაინც ვერ ერევა.

შენობა შესდგებოდა ხუთი პატარა ოთახისაგან. პირველში მოთავსებული იყო სამზარეულო, მეორეში საწყობი, მესამეში მეცნიერული ხელსაწყოები, მეოთხეში რადიო, მეხუთე კი საცხოვრებელ ოთახს წარმოადგენდა.

თანამშრომლები დაწვრილებით მიხსნიან, რა მუშაობას ასრულებენ წლის განმავლობაში.

— დღეში სამჯერ ვზომავთ ჰაერის ტემპერატურას, წნევას და სინესტეს. ქარის სიძლიერეს და მიმართულებას; ცის მოღრუბლულობას და ნალექების სიდიდეს, თოვლის სისქეს და მყინვარის მოძრაობას. ვზომავთ მზის რადიაციას და კოსმიური სხივების სიძლიერეს, აგრეთვე ულტრაიისფერი სხივების რაოდენობას, რომლებსაც ასე უხვად გვიგზავნის მზე.

დღეში სამჯერ უგზავნიან რადიოთი ამინდის ცნობებს თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას, სადაც სხვა სადგურებიდანაც გადმოცემული ცნობების თანახმად ყოველ საღამოს ადგენენ ხვალისათვის მოსალოდნელ ამინდს. ამავე ცნობებს აწვდიან თბილისის აეროპორტსაც, რომელიც ამის მიხედვით უშვებს თვითმფრინავებს ექსკურსიონზე.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, გარედან მოგვესმა თვითმფრინავის ხმაური. რომელიც მოსკოვიდან თბილისში მიმავალი ყოველდღე გაზეთებს უყრის სადგურის მუშაკებს.

აგერ ახლაც ჩამოაგდო გაზეთების მთელი ბღუჯა. სადგურის გუშაგი ქუდმოგლეჯილი გარბის მყინვარისკენ და სწრაფად მოაქვს გაზეთები, რომლებსაც მუშაკები ხარბად კითხულობენ და თან რადიოთი უსმენენ მოსკოვს, რომელიც ახალ-ახალ ამბებს გადმოგვცემს.

ასე ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე აშენებულ სადგურისათვის.

ბანდულები

ბარიდან ამოსული მეგზური ზის ქოხთან და რაღაცას ცოდვილობს.

— რას აკეთებ, ძამიავ?

— ბანდულსა ვწნავ. ძირი გაუცვდა... რატომ გაგეცინა?

— მაგითი როგორ იქნება თოვლში სიარული? ან წრიაპი როგორ გინდა დაიმაგრო მაგ ფამფალა ბანდულზე?

„შე თოვლშიც კარგად დავდივარ, — მიპასუხებს დინჯად მოხევე, — მსუბუქია, ფეხი არ სხლტება. ბალახს ჩავაგებ და თბილი იქნება. ეგ თქვენი დალურსმული ფეხსაცმელი ძვირია და ლოდივით მძიმე“...

გამახსენდა. რა

ისე გავიარეთ იაგორას ნიში, ხმაურა და ფირნის ველი, რომ ერთხელაც არ შეგვისვენია.

4.500 მეტრის სიმაღლიდან დავინახეთ დეევდორაკის დაქანებული მყინვარი, რომელზედაც ამდენი რამ წამიკითხავს და გამიგონია. ეს ის მყინვარია, რომელიც არა ერთხელ მოსწყდომია ციცაბო კლდეებს, ჩავარდნილა დარიალის ხეობაში და ერთი უბედურება დაუტრიალებია სოფელში. მყინვარი, გაყინული მთის „მდინარე", სისქით და სიგანით რამდენიმე ათეული მეტრია (ხშირად ასეულიც), სიგრძით რამდენიმე კილომეტრი.

ეს ძირამდე გაყინული მდინარე ხან წინ მიიწევს და გრძელდება, თუ მოდნობა მცირეა, ხან მოკლდება, როცა მოდნობა ჭარბობს. ამავე დროს შეუმჩნეველ, გამუდმებულ მოძრაობაშია და თუ დიდი დაქანება შეხვდა, შეიძლება მოსწყდეს კიდევაც.

ქოხიდან დილის ხუთ საათზე გამოსულებმა, რვა საათზე მივაღწიეთ ციცაბო თოვლ-ყინულას, საიდანაც იწყება მყინვარწვერის წოწი. სიმაღლე 4.500 მეტრია. მაშ სამი საათის ნელი, შეუჩერებელი სიარულით გავიარეთ რვა კილომეტრის მანძილი და ავიწიეთ მაღლა 800 მეტრით. გამოდის, რომ საათში გვივლია ამ აღმართში სამი კილომეტრი, რაც კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ მანძილს ჩვეულებრივ ანდომებენ ოთხ საათსა და მეტსაც. აი რას ნიშნავს ჰაერის შეთვისება და აღმართში წესიერი, აუჩქარებელი ნაბიჯით სიარული.

მწვერვალამდე ასაღებია კიდევ 500 მეტრი სიმაღლე, ე. ი. იმაზე ნაკლები, რამდენიც უკვე ამოვიარეთ. აქედან იწყება ისეთი ციცაბო, რომლის დაქანება 30 გრადუსზე მეტია. გამძლეობა გულისა და მუხლისა ახლა არის საჭირო.

— მაშ აბა თოკით გადავებათ ერთმანეთს, — ამბობს მელენტი და უნდა მხარზე გადაკიდებული თოკი მოიხსნას.

— ცოტა ხანს შეჩერდი, — ვთხოვ მელენტის და მწვერვალზე ასასვლელ გზას ვაკვირდები.

თოვლში კარგადა ჩანს გუშინდელი ჯგუფის კვალი. „გზა" ისე დაკლაკნილად ადის, რომ ჩამოვარდნა მოსალოდნელი არ არის, მაგრამ გინდაც რომ ვინმე ჩვენთაგანი დაცურდეს და ჩამოვარდეს (საფეხურები ბეცრგან არის ჩამონგრეული), შორს ვერსად ჩაგორდება, იქვე ახლოს ჩაეფლობა თოვლში.

— განა შენ თოკის წინააღმდეგი ხარ?—მეკითხება მელენტი გაკვირვებით.

— პირიქით! თოკის მომხრე ვარ, მაგრამ თოკით სიარული ბევრი დრო უნდა, გადაბმა კი, ჩემის აზრით, ჯერ ნაადრევია, საეჭვო არაფერია,—ასე უთოკოდ შევუდექით ამ თოვლყინულა ციცაბოს და დილის ათ-საათზე მივაღწიეთ ყინულოვან უნაგირას.

უნაგირაზე

უნაგირა ეწოდება იმ პატარა ვაკეს, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან ყაზბეგის ორ მწვერვალს. სიმაღლე 4.900 მეტრია. აქედან მთავარ მწვერვალამდე 140 მეტრი სიმაღლეა დასაძლევი. ასასვლელი ისეთი მოყინული ციცაბოა, რომ ფეხებზე ათკბილიანი რკინის წრიაპები თასმებით მაგრა შევიბით და ერთმანეთს თოკით საიმედოდ გადავებით.

ხელმარჯვნივ ატუზულა დასავლეთის მწვერვალი.

— გინდა მერე ამაზედაც ავიდეთ? — მეკითხება მელენტი მაცდურად.

ნახევარ საათში მივაღწევთ მთავარ მწვერვალს და ამიტომ ყველა მხიარულ გუნებაზეა.

დევდორაკის მყინვარის დასაწყისში დავინახეთ ორი აშკერილი შავი კლდე, რომლებიც მოყვანილობით წააგავდნენ სოფლის დედაბრებს. მოკეცილები ბანზე რომ დასხდებიან ხოლმე და ერთმანეთს ართობენ ლაპარაკით.

— დავარქვათ ამ ორ კლდეს სახელად „დედაბრები“, — ვიძლევი წინადადებას, რაც ერთხმად იქნა მიღებული. ამ კლდეებს ზოგნი უწოდებენ „ვოლგიშკას“ (ქისტურად კლდეს ნიშნავს), ზოგნი „მყინვართ გუშაგებს“, ზოგნიც „დვა საბაკას“. მაშ თუ ამდენი სახელი რქმევიათ, „დედაბრებიც“ აშათი ჭირის სანაცვლო იყოს!

— ეს რაღა ბ̇თაა, უშველებელი ვეფხვივით რომ გაწოლილა? მაგას რაღა დავარქვათ? ვეფხისტყაოსანი?

— ნუ სწუხდები. — იცინის მელენტი, — ეს ცნობილი მწვერვალი „ჯიმარაია“, სიმაღლით 4.778 მეტრი.

უნაგირაზე კარგად შევისვენეთ, ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და შევუდექით მწვერვალის უკანასკნელ ციცაბოს.

შეხვედრა უცხოელებთან

ამ დროს შორს დავინახე სამი მთამსვლელი. ერთი მათგანი მწვერვალიდან ფოფხვით ჩამოდიოდა. ალბათ პირველად არის მთაში და ეშინია უფსკრულისა.

უცხოელები ჩემს თანამგზავრებს გამოელაპარაკნენ.

— ჩვენ შვეიცარიიდან ვართ... თქვენა?

თანამგზავრებმა ჩემზე მიუთითეს, როგორც უცხო ენების მცოდნეზე.

— დილა მშვიდობისა, — მეუბნებიან ისინი თავაზიანად, თან მიცქერიან მოლოდინით, გავიგე თუ არა იმათი ნათქვამი.

მე ის კილოკავიც ვიცი. რომელზედაც შვეიცარიაში მდებარე ხალხი ლაპარაკობს მთაში და მეც იმათებურად ვუპასუხებ:

— აი გწყალობდეთ მაღალი ზეცა! — და თან ზეცისკენ ავიშვირე ხელი.

ნეტავი არ მეთქვა. უცხოელი მომვარდა. იცინის. მხარზე ხელს მარტყამს და მაჯანჯღალებს გახარებული. კინაღამ უფსკრულში გადამჩეხა. ის ზევით დგას, მე ქვეშოთ და ძლივს ვიმაგრებ თავს ამ ციცაბო ყინულზე. ის უცხოელი კი ფოფხვით რომ მოდიოდა, ქალი გამოდგა კაცურ ტანისამოსში გამოწყობილი. მთაში პირველად ყოფილიყო.

ვულოცავ მწვერვალზე ასვლას. ისინი მთხოვენ, აქედან მეც დევდორაკის მყინვარით დავბრუნდე, რომ ქოხში ერთად გავატაროთ საღამო. მაგრამ მე გერგეთის ქოხში მაქვს დატოვებული ჩემი ჩანთა. ერთმანეთს გულითადად გამოვემშვიდობეთ და ორივე ჯგუფი თავთავის გზას გაუდგა: ჩვენ ზევით, ისინი — ქვევით.

რა ვნახეთ მწვერვალზე

— ესეც მწვერვალი, — ჩაილაპარაკა მელენტიმ მოულოდნელად. ვერ გავიგე, როგორ მივუახლოვდით მწვერვალს, ისე მივდიოდი ზევით, არ ვიყურებოდი. მეწყინა, რომ გათავდა ეს დაძაბული ბრძოლა. უფრო მაღლა შემეძლო ასვლა. ნეტავი კიდევ 500 მეტრი ყოფილიყო ასაღები!

მყინვარწვერი ჩამქრალი ვულკანია, რომლის მწვერვალი, სპეტაკი თოვლით მოფენილ, მოვაკებულ ადგილს წარმოადგენს, სიგრძით სამოცი ნაბიჯი, სიგანით თხუთმეტი, სადაც

ასი კაცი თავისუფლად „გაიშლის სუფრას“. ხორხოშელა თოვლით არის დაფარული. შიგ ფეხი არ იფლობა, თავისუფლად დავდივართ და აქეთ-იქით ვიხედებით.

— ეს რა არის? — შევძახეთ ერთხმად და დავუწყეთ ყურადღებით სინჯვა მწვერვალში ჩარჭობილ მრგვალ რკინის საგანს. ზომით ორი მტკაველია და ზემოდან ფისი აქვს წასმული. თოვლზე დავიჩოქე და ქვემოდან შევხედე: ლრუა.

ხელს ვაფათურებ. ბარათი ხომ არაფერია ჩვენზე წინ ასული ჯგუფისა? არა, ცარიელია.

ვერ მივხვდით ამ უცნაური საგნის დანიშნულებას, ამიტომ კითხოვე მელენტის, გადაიღოს მისი სურათი.

ძის ახლოს დავდექით სამნი, — ორი სტუდენტი და მე.

მელენტი გვიმიზნებს თავის ფოტოაპარატს, თანაც გვთხოვს, ფერადი სათვალეები შუბლზე ავიწიოთ, თორემ თვალების ბაგივრად შავი ლაქები გამოვაო.

სტუდენტებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს რჩევა. მე კი ფერადი სათვალეების აწევა ერთი წუთითაც ვერ გავბედე, ისე ბრჭყვიალებდა თოვლი.

როდესაც ეს სურათი ჩამოვიტანეთ სოფელში, იქ გავიგეთ, რომ ეს ნიშანი დაუდგამთ სამხედრო ალპინიადის მონაწილეებს და ზედ ნაჭერ-ნაჭერ სარკეები დაუმაგრებიათ ფისით. ის მრგვალი სარკე თურმე საუცხოოდ პრიალებდა მწვერვალზე, რასაც ხევის მცხოვრებნი და მგზავრნი განცვიფრებით უმზერდნენ. მაგრამ შემდგომში მთასვლელებმა თანდათან დააძვრეს „სახსოვრად“ სარკის ნაჭრები და ამიტომ ვნახეთ ჩვენ მხოლოდ ზედ დარჩენილი ფისი.

მწვერვალზე მეტი აღარაფერი ჩანს, მაგრამ ცოტა ქვემოთ მცირე დაქანების შემდეგ თოვლზე მოჩანს ადამიანის კვალი. ამ კვალმა მიგვიყვანა ფიცრულ ბუდესთან, ამირანიკით მიმაგრებულ ერთ შავ კლდესთან. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა არის ამ ბუდეში. დაქანება დიდია და იმ კლდესთან უფსკრულია. ამიტომ ამხანაგები გამაგრდნენ თოვლში და თოკით ნელ-ნელა ჩამიშვეს: მეტეოროლოგიური ყუთი აღმოჩნდა მავთულებით კლდეზე მიმაგრებული. ალბათ შიგ თერმომეტრებია, მაგრამ ყუთი თოვლით ისე არის ამოვსებული, რომ აღარაფერი ჩანს.

კლდეს მოვეჭიდე, მინდა გადავიხედო, ხომ არაფერია აქაც მიმაგრებული (დროშას ვეძებდი). გადავიხედე და სახეზე უცბად სიცივე ვიგრძენი. ალბათ გავფითრდი. ქვა შეინძრა,

ფერი მეცვალა. იმის დანახვა კი მოვასწარ, რომ წინ არაფერი იყო პირდაღებული უფსკრულის გარდა. რა დიდებული გადასახედია მწვერვალიდან; მთელი კავკასიონი მოსჩანს! რამდენი ასეული მწვერვალია, მთელი ჯარი თოვლით დაფარული მწვერვალებისა.

დაბრუნება ქოხში

ორი საათია, რაც მწვერვალზე ვართ. ამინდი ისევ მშვენიერია, მაგრამ მეტი დაყოვნება არ შეიძლება. მწვერვალიდან მეტეოსადგურამდე ოთხი-ხუთი საათის სავალია. დღამეებამდე უნდა ჩავიდეთ, რომ სიბნელემ ხმაურასთან არ მოგვისწროს.

პირველი საათია. ფრთხილად ჩამოვდივართ მწვერვალიდან თოკით გადაბმულები. საფეხურები გალხობილა მზისგან, ზოგიერთი დამდნარა და დიდი ნაბიჯების ჩამოდგმა გვჭირდება. მარჯვნივ კი დევდორაკის მყინვარს დაუღია ხახა და ხარბად შემოგვცქერის თავისი შავბნელი ნაპრალებით.

„აქედან რომ ფეხი დაგიცდეს, პირდაპირ დევდორაკის უფსკრულში ჩავარდები“, — წერია ერთი მთასვლელის დღიურში.

გადაჭარბებული შიშია! ძნელი წარმოსადგენია, რომ ცოცხალი ადამიანი დაგორდეს ამ ფერდობზე და უფსკრულამდე თავი ვერ შეიკავოს! აქ ხომ არც სალი კლდეა, არც ყინული. ირგვლივ დაქანებული თოვლია, სადაც ადამიანი, თუ მართლა დაგორდა, ხელ-ფეხს მოიხმარს და იბრძოლებს თავის გადასარჩენად. რა საჭიროა დაშინება და საფრთხის გადაჭარბება...

შუა გზაში ამხანაგს შეეხსნა წრიაპი. ყველანი მაშინვე გავჩერდით. ველით, რომ დაიმაგროს, მაგრამ ის მარცხენა ფეხიდანაც იხსნის წრიაპს და ორივეს ზურგზე იკიდებს.

— რას სჩადიხართ, ამხანაგო? სამოცი გრადუსია დაქანება!—ვაფრთხილებ მე. მაგრამ თანამგზავრი მიდის უწრიაპოდ. ის რომ დაგორდეს, ყველას თან ჩაგვიტანს თოკით გადაბმულებს.

— შეჩერდით! — ვაჩერებ ყველას და ვიხსნი თოკს.

— რას სჩადიხართ? —მეკითხება ახლა ის ამხანაგი.

როცა დარწმუნდა, რომ მე აღარა ვხუმრობ და მინდა მართლა ავეშვა თოკიდან, მაშინ შეიბა წრიაპები და ჩვენც

განვაგრძეთ ფრთხილად ჩამოსვლა. მაგრამ დახეთ! ახლა მე მომძვრა წრიაპი მარჯვენა ფეხზე (ალბათ თასმები დალბა თოვლში). დაქანება კი ამ ადგილას ისეთი დიდია, რომ ვერ შევძელ წრიაპის გაკეთება და იძულებული გავხდი ცალი წრიაპით შევლო უნაგირამდე. აქ ჩვენ დავინახეთ ორი: შავი ფრინველი, რომელსაც მოხეველები ჭკას ეძახიან. სად ამოფრენილან ამ ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე! იმ ადგილზე სხედან, სადაც უცხოელებს უსაუზმიათ. ნამცეცებსა ჭკენკავენ. ეს ფრინველები იყვნენ პირველი ცოცხალი არსებანი, რომლებიც ამ სიმაღლეზე ვნახეთ. თვით მწვერვალზე არ ჩანს სიცოცხლის არავითარი ნიშანი! იქ ყველაფერი მკვდარია.

წოწიდან სწრაფად ჩამოვედით და მხოლოდ მაშინ ავიხსენით თოკი. ერთ წამს შევჩერდით სურათების გადასაღებად. აქ 4.500 მეტრის სიმაღლეზე იწყება ფირნის ველი, რომელიც კვებავს რამდენიმე მყინვარს: დევდორაკს, მაილის, ჩათას.

ერთხელ კიდევ გადავხედე ამ იშვიათ სანახაობას. მოშორებით მოჩანს მწვერვალ ჯიმარაია კლდოვანი ტანი. აქეთ ყინულოვანი მაილი-ხოხი და გარშემო ეს მჭერმეტყველი. გულის სიღრმემდის ჩამწვდომი, თოვლ-ყინულის იდუმალი სივრცე. მშვიდობით, მთებო! ნახვამდის, მწვერვალო!

და გავიქეცით დაქანებულ ფირნის ველზე. ყველაზე უწინ მე გავრბივარ ჩემი ორმეტრიანი ჯოხით.

როცა ნაპრალები დაიწყო, იქ კი უდიდესი სიფრთხილით წავედით. ალაგ-ალაგ ვხედავ ისრის ნიშნებს, მე რომ გუშინწინ თოვლში გამოვსახე. აი ხმაურაც გვესალმება თავისი ქვის ვარდნილებით.

საღამოს ხუთ საათზე ჩამოვედით ბანაკში. ჩამოსვლას მოვუნდით მხოლოდ ოთხი საათი და ისე ჯანსაღად ვართ, რომ მე და მელენტი მაშინვე ჩავუჯექით ჭადრაკს. თან ჩაისა ვსვამ და ცოტა პურს ვატან. გამითავდა საგზალი.

სადგურის თანამშრომლები გვილოცავენ მწვერვალის აღებას.

— ძალიან ცივდა? — მეკითხება ერთი ახალგაზრდა.

— პირიქით, ისე ცხელოდა, რომ ოფლში ვიწურებოდით. მეტად შეგვაწუხა ჩვენმა საზამთრო ტანისამოსმა.

— მაგ რად ჩაიცვით აგრე თბილად?

— შეიძლება ქარბუქი ამოვარდნილიყო. მწვერვალზე ამინდი სწრაფად იცვლება.

— საშიშია გზა? — მეკითხება ისევ ახალგაზრდა. ეტყობა თვითონაც უნდა ასვლა, მაგრამ როგორღაც ვერ ბედავს.

მინდა გავამხნევო და ვუხსნი, რომ ალპიური თვალსაზრისით მყინვარწვერი „მსუბუქი“ მთა ყოფილა, მაგრამ მაინც ნუ დაგვავიწყდება, რომ მასზე ადამიანები იღუპებიან და ამიტომ...

— ქიშ! — შემომიტია ლაზიერით მელენტიმ და სიტყვა შემაწყვეტინა. ამ ლაპარაკში კინალამ ჭადრაკი წავაგე. როგორც იქნა, ყაიმით დავასრულე.

— ხვალ დილით ხომ არ წამოხვალთ ორწვერზე? — ვეკითხები თანამგზავრებს.

— არა, ვერავინ წამოვა, რადგან მეცნიერული დაკვირვებანი უნდა აწარმოონ სამივემ.

გარეთ რომ გამოვედი, კარავთან შემეფეთა დიდი თეთრი ძაღლი. ვიღაცას ამოუყვანია ამ სიმაღლეზე, რომ გაიგოს, როგორ მოქმედებს ძაღლზე გათხელებული ჰაერი. მივუალერსე და ლუკმა პური გადავუგდე. მომელაქუცა. რა ვიცოდი, რა ამბავს მიმზადებდა ეს ძაღლი ხვალ დილით.

ქვევით, ბარისკენ

მეორე დღეს გამეღვიძა ნაშუაღამევს. კარავიდან გამოველ, მიმოვიხედე. ირგვლივ თოვლი და დუმილია. ვარსკვლავები კაშკაშებენ და მთვარე დიდად ბრიალებს. მოკრიალებულ ცაზე არც ერთი ღრუბელი არ ჩანს.

დროა, ავიკიდო ჩემი გუდა-ნაბადი და გზას გავუდგე ქვევით, სოფლისაკენ. მაგრამ! ჰოი, მწვერვალნო, მთანო, მყინვარნო! თუმცა ხართ უნდო, ცივი და მიუკარებელი. მაგრამ დიადნი, მომხიბლავნი და ჯადოსნური! ძალუმად იზიდავთ ადამიანს ცივ სამყაროში, სადაც მას ელის დამარცხება ან გამარჯვება. მოვდივარ, მთაო! ერთხელ! კიდევ ერთხელ!

საჩქაროდ ვბრუნდები კარავში. წავალ მარტო ორწვერზე (4.600). გზა არა ყოფილა ძნელი, დარიც მშვენიერია. ღამის ორი საათია. დილის რვა საათზე მწვერვალზე ვიქნები. შუადღემდე დავბრუნდები და საღამომდე სოფელში ჩავალ. აბა მაშ კარგად დავნაყრდე. მაგრამ.... ეს რა ამბავია? პური! რა იქნა ჩემი პური, ჩანთასთან რომ მედო! და ამ დროს იმ გუშინდელმა ძაღლმა შემოიხედა კარავში კუდის ქნევით.

— ოჰ, ბროლია! ბროლია! ეს შენი ოინებია! — გულმოსულმა ჯოხსა ვტაცე ხელი. ძაღლი აუჩქარებლივ გამშორდა,

მე კი დავრჩი ულუკმაპურად. მშიერი როგორ ავალ მწვერვალზე!...

მტრედისფრად რომ ინათა, ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და გავედექი გზას ქვემოთ, ბარისკენ. მაგრამ ამას მაინც ვიზამ, რომ ჩვეული გზით არ ჩავალ ბარში.

დავეშვი პირდაპირ მყინვარის მარცხენა ტოტზე, რომელზედაც გუშინ დურბინდით დავზვერე მიმართულება და ნაპრალების წყობა. შევნიშნე, რომ მყინვარის შუაში დიდი შავი ქვა იდო. იმ ქვას რომ მივალწევ, მერე მარცხნივ უნდა გადავუხვიო. შემდეგ ქვემოთ დავეშვა და შუა მორენის ბოლოში გადავიდე.

იქიდან?... იქიდან კვლავ გამოვნახავ გზას. მაგრამ რაც კარგად ჩანდა დურბინდით ზემოდან, ყველაფერი აირია, როგორც კი ფეხი შევდგი ნაპრალებით სავსე მყინვარზე. ის შავი დიდი ქვა ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერ იქნა, ვერ ვიპოვე.

— აბა, ახლა ჩემო ნაცადო წერაყინო, გამიძეხ წინ!

ფრთხილად ვაბიჯებ წინ. სადაც თოვლით დაფარულ ნაპრალსა ვგრძნობ, უწინ წერაყინით ვსინჯავ. ორგან ჩამეფლო წერაყინი. მაშ აქ თოვლის უნდობი ხიდია, — გარს მოვუაროთ. აქ ნაპრალი ვიწროა, — გადავახტეთ. აქ განიერია, ისევ მოვუაროთ. ამასობაში მზე შუბის წვერზე ამოვიდა და ამ პირდაპირი „მოკლე“ გზით უფრო მეტი დრო მოვანდომე, ვიდრე მყინვარის გარშემოვლით. მარტოხელა მოსიარულეს მარცხი რომ მომსვლოდა, არავის დავენანებოდი და მართალიც იქნებოდა... მარტოდ სიარული დაუშვებელია.

ლუკმა პურის ამბავი

იმ ალაგას, სადაც შუა მორენა თავდება, ქვაზე ჩამოვჯექი და პურის ქერქის ნატეხი, ჯიბეში რომ ჩამრჩენოდა, ჩავდე წყალში დასალბობად; კარგი ორი ლუკმა გამოვიდოდა. ეს უნდა მეყოს, სანამ ბარში ჩავალ. ჩავდე დასალბობად მყინვა-

რის წყალში და კვლავ შევხედე მყინვარწვერს. რა ლამაზად აშუქებს დილის მზე სპეტაკი თოვლით დაფარულ მწვერვალს! რა დიადია ბუნება! რა ჭიანჭველასავით პატარა მოჩანს ადამიანი, მაგრამ თავისი მხნეობით მაინც იმორჩილებს მთის სიდიადეს.

ოცნებამ გამიტაცა, და როცა გონს მოვედი, ბედმა ცივი წყალი გადამასხა. ჩემი პური ყინვარის ჩანჩქერს წაეღო. რას გავუშვებდი?! გამოვეკიდე, ვიპოვე, ვტაცე ხელი, მაგრამ ისე გათხუპნულიყო ლამში, რომ გულდაწყვეტილი გავშორდი. ახია ჩემზე! ახი!

გამახსენდა დავით გურამიშვილი. ლეკების ტყვეობიდან რომ გაიპარა, ბოსტანში ორი კიტრი „მიითვისა", უბეში ჩაიდო და წყალზე რომ დაიხარა პირის დასაბანად, კიტრები უბიდან ამოუვარდა და მდინარემ თავქვე წაილო.

— ახია ჩემზე, ახი! — მივდივარ და მივბურტყუნებ, — რა დროს ოცნება იყო მშიერ კუჭზე! აბა, თან ფრთხილად! დურბინდი და ჯოხი მოვიმარჯვოთ. მარცხნივ და მარჯვნივ ყინულების ნაპრალებია!.

ცთუნება

გაველ სამშვიდობოს და იქ, სადაც ბილიკი იწყება, შემხვდა ორი ახალგაზრდა მოგზაური, მოსკოველი სტუდენტები. მკითხეს, საიდან მოვდივარ მარტოხელა. ვუამბე მწვერვალზე ასვლა, ჯოხისა და ჩიტის პოვნა, შემდეგ მარტო ჩამოსვლა.

— სახიფათოა? — მეკითხებიან ცნობისმოყვარეობით.

— მაგ თქვენი ჯოხებით და ფეხსაცმელებით სახიფათოა. — ვუპასუხე დაჯერებით და ვუჩვენე ლურსმებით დაჭედილი ჩემი ფეხსაცმელი, ათკბილიანი წრიაპები და ფოლადის წერაყინი საიმედო შინდის ტარით. იმათ კი ხელში ეჭირათ ბამბუკის ჯოხები, რომელთაც რკინის წვეტები მოვარდნოდათ და

ძაღლების მოსაგერებლად თუ ივარგებდენ. ფეხზე რეზინის ძირებიანი ტუფლები ეცვათ.

— რა გგონიათ, შევძლებთ ამ მყინვარზე შევდგათ ფეხი და ცოტაზე მაინც გავიაროთ? — მეკითხებიან მოლოდინით.

ბევრი ვუშალე, ვერ დავაჯერე, მაინც დაიწყეს ცოცვა მყინვარზე. შევჩერდი და გულისწყრომით ვუცქერი. ეს ხომ ბედის უაზრო ცთუნებაა! ნაპრალში რომ ჩავარდენ, თოკიც არა მაქვს, რომ ამოვიყვანო. ფეხები უსხლტებათ, ერთმანეთს ებღაუჭებიან, უწვეტო ჯოხებით ყინულზე ვერა მაგრდებიან.

— დაიღუპებით! დაბრუნდით! — ვუყვირი შეშინებული.

დაბრუნდნენ და ბარისკენ დაეშვნენ. მეც ნელ-ნელა მივდივარ ჩემი მძიმე ჩანთით.

ბუნება ცოცხლდება

5.000 მეტრის სიმაღლეზე ვნახეთ ორი ჭილყვავი. 4.300 მეტრზე ხავსის მსგავსი თეთრფოთლებიანი ყვავილი. 4.000 მეტრზე გაყინული ჩიტი და ცოცხალ-მკვდარი. მაგარკანიანი დიდი ბუზი. 3.300 მეტრზე პირველი ბალახი. მე არ მინახავს, მაგრამ დანამდვილებით ამბობენ, რომ მგელი და ჯიხვიც ამ სიმაღლეს აღწევსო.

გამოვედი მარადიული თოვლის სამყაროდან, ბუნება თანდათან ცოცხლდება. გზაში ორი მწყემსი შემხვდა, ახალგაზრდა ბიჭები არიან, ცხენებს მიერეკებიან საძოვრიდან ბარისაკენ. რომ გაიგეს მწვერვალიდან მოვდივარ, ჩემი მძიმე ტვირთი თავაზიანად ჩამომართვეს და ცხენს აჰკიდეს. თავისუფლად ამოვისუნთქე და ლაპარაკით მივყვები. ღამე აქ უძინიათ და მგლის ყმუილს მოსვენება არ მიუცია.

— მარტო როგორ დადიხარ მთაში? — მეკითხებიან მწყემსები.

— მთებში მივლია, მოწყობილობაც კარგი მაქვს.

— გზები გონჯია, შენ კი უცხო ხარ.

შუაგზაში გავშორდით ერთმანეთს. იმათ ცხვარში გადაუხვიეს, მე ავიკიდე ისევ ჩემი ჩანთა და დალმართზე დავეშვი.

ბარს ვუბრუნდები. ბალახებში ყვავილები მხიარულად იჭყიტებიან, თითქოს მესალმებიან. თვითონ ბალახიც უფრო მაღალი და ნოყიერია. 2.400 მეტრზე დაიწყო ბუჩქებიც, დაბალი, მიწაზე გართხმული, რომ ზამთრის სიცივეს და ქარიშხალს როგორმე გაუძლონ. ბოტანიკოსები ამ მცენარეს დეკას უძახიან. უცბად წინ ოფოფი ამიფრინდა. გამეხარდა, რომ ვნახე ბარის ფრინველი ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე. ამ სიმაღლეზე დაიწყო ხეების სამფლობელოც. ერთი დაბალი ხის ქვეშ ჩამოვჯექი ჩრდილში.

მწერები მხიარულად ჭრიჭინებენ, ფერად-ფერადი პეპლები ნაზად ფრენენ. შორი-ახლოდან მოისმის რომელიღაც ფრინველის წყნარი ღუღუნი. სიცოცხლე დუღს და გადმოდის ხუთ დღეს მყინვარებზე ნამყოფს მსიამოვნებს მშობლიურ ბარში მშვიდობით დაბრუნება.

ჯიხვი

ბევრი რამ ვნახე და გამოვცადე, მაგრამ ერთი რამ დარდად ჩამყვა გულში. ისე ვბრუნდები ბარში, რომ ჯიხვი ვერ ვნახე მთაში.

ამ დროს შემხვდნენ სამების წყაროდან მომავალი ბიჭები.

— ბიჭებო! აქ ჯიხვები სად იცის? — შევეკითხე მათ.

— აგერ იქა, ძია, იმ მთაში ვნახეთ ამას წინათ მთელი ჯოგი. ბარე თორმეტი იქნებოდა. პატარეებიც ერიათ.

...ვუახლოვდები სოფელ ყაზბეგს და ვფიქრობ ჯიხვებზე. აგერ. ჩვენი ბანაკიც გამოჩნდა. ქალები და ვაჟები ბურთს თამაშობენ მოედანზე და უცბად, ბურთს ხელი უშვეს და გამოექანენ ზევით, საიდანაც მე ჩამოვდივარ, თან რაღაცას ყვირიან და ხელებს აქნევენ.

— ჯიხვი! — ვიყვირე და დურბინდი ჯიბიდან ამოვიტაცე-მაგრამ ჯიხვს რა უნდა ასე ახლო, ისიც შუადღისას!

— ვაშა-ა!—ისმის ყვირილი და მგზავრები მორბიან ჩემსკენ. ისე ახლო არიან, რომ უკვე ვამჩნევ ნაცნობებს, მაგრამ ვერ გამიგია, სად მირბიან და რასა ჰყვირიან? ნუთუ ჯიხვი დაინახეს! მაგრამ რის ჯიხვი, რა ჯიხვი! თურმე მე ვყოფილვარ ეს ჯიხვი.

მილოცავენ მწვერვალის აღებას, ხელს მართმევენ, მხარზე მარტყავენ, უკვირთ რომ მარტო დავდიოდი და უხიფათოდ გადავრჩი. გაბრუებული თვალებს ვახამხამებ და არ მესმის, საიდან გაიგეს, რომ მარტო დავდიოდი ან საიდან იციან, რომ მწვერვალზე ავედი? მე ხომ ეს არის მოვედი და ჯერ სიტყვაც არ მითქვამს ამათთვის! თურმე ის მოსკოველი სტუდენტები, ჩემზე უწინ რომ ჩამოვიდნენ, აქ შეჩერებულან და უამბიათ ჩემი თავგადასავალი. მე ვარწმუნებ დამხდურებს, რომ აქ არაფერი სირთულე არ არის, საჭიროა მხოლოდ კარგი მომზადება, გამძლეობა, გამბედაობა და სიფრთხილე, უპირველეს ყოვლისა კი მტკიცე ნებისყოფა. მაშინ ყველა თქვენგანი მიაღწევს მწვერვალს...

პიონერთა ოლიმპიადა

გამგზავრება

„საქართველოს ალპიური კლუბი ავალებს ემხანაგ ერეკლე ლუკაშვილს უხელმძღვანელოს ბავშვების ალპინიადას მწვერვალ ალაგიოზზე“.

ასეთი დავალება მივიღე 1937 წლის 25 აგვისტოს.

ალაგიოზი მდებარეობს ლენინაკანსა და ერევანს შორის; მისი სიმაღლე 4100 მეტრია.

საღამოს შევკრიბეთ ექსპედიციის მონაწილენი თბილისის პიონერთა ბაღში. გავეცანით ერთმანეთს. რვა ქალია 14—15 წლისა და შვიდი ვაჟი ამავე ასაკისა.

ალპინიადა მოწყობილია სახალხო განათლების თბილისის განყოფილების მიერ.

— ეს არის ჩვენი ალპინიადის უფროსი, — აცნობს ჩემ თავს ექსპედიციის მომწყობი.

ყველანი სხედან მაგიდის ირგვლივ დიდი ხის ქვეშ. მთვარე მკრთალად ანათებს და არ მაძლევს საშუალებას კარგად გავარჩიო ისინი, რომელთა მწვერვალზე აყვანას მანდობენ მშობლები, მასწავლებლები, ფიზკულტურის კომიტეტი და საქართველოს ალპიური კლუბი.

— გთხოვთ ადგეთ, — მივმართე ბავშვებს. ისინი მყისვე წამოდგნენ და მხედრულად რიგში გამწკრივდნენ.

ყურადღებით ვათვალიერებ ჩემს ახალგაზრდა თანამგზავრებს. ზოგიერთი თითქმის ბავშვია.

— რამდენი წლისა ხარ, პატარა ბიჭო? — მივუბრუნდი ყველაზე პატარას.

— თოთხმეტი წლისა ვარ. — მომიგო მარდად პატარამ.

— მცირეწლოვანნი არიან მწვერვალის ასაღებად, — გავუზიარე ჩემი მოსაზრება ჩემს მოადგილეს.

— ყველამ გაიარა საექიმო შემოწმება, ასი ბავშვიდან ეს თხუთმეტი შევარჩიეთ, — მარწმუნებს მოადგილე.

— კი, მაგრამ მწვერვალი ოთხი ათასი მეტრის სიმაღლისაა!

...ბავშვები ყურს უგდებენ ჩვენს თათბირს და ალბათ ბევრს უფანცქალებს შიშით გული, რომ რომელიმე მათგანი არ გამოვთიშო ექსპედიციიდან, რომელზედაც ამდენი ხანია ოცნებობენ და მსჯელობენ.

— ყმაწვილებო!.. იცით, რა არის მთასვლელობაში ყველაზე მეტად საჭირო? — შევეკითხე ახალგაზრდებს და მსწრაფლ მივიღე პასუხი აქეთ-იქიდან.

— წესიერება. მორჩილება. წესრიგი.

ავუხსენი ბავშვებს ის სიძნელეები, რომლებიც მოგველის მწვერვალზე ასვლის დროს.

— ერთის გაუფრთხილებლობამ შეიძლება საფრთხეში ჩააყენოს მთელი ექსპედიცია, — ვუმარტავ ახალგაზრდებს რუსულად და ქართულად, რადგან შემადგენლობით ჯგუფში არიან ქართველები, სომხები, ორი რუსი და ერთი აზერბაიჯანელი გოგონა...

მეორე დღეს ექსპედიცია მთელი შემადგენლობით და გამცილებლებით თბილისის რკინიგზის სადგურზე შეიკრიბა.

...მატარებელმა დაუსტვინა და დაიძრა საბჭოთა საქართველოს მოძმე სომხეთის რესპუბლიკისკენ.

ნეტავ თუ მშვიდობით გათავდება ბავშვების მაღალმთიანი ექსპედიცია, რომელიც პირველად ეწყობა საბჭოთა კავშირში?

გული დარდით მაქვს სავსე, მაგრამ ბავშვებთან არას ვამხელ, პირიქით, ვეხუმრები და ვამხნევებ ზოგიერთებს, რომლებსაც მშობლებთან გამომშვიდობების დროს თვალში ცრემლი მოერიათ.

— აბა, ბავშვებო, ერთი თქვენებური სიმღერა!

და მგზავრებით სავსე ვაგონში გაისმა ბავშვების მწყობრი სიმღერა.

ლენინაკანი

გარიჟრაჟზე მივედით ლენინაკანში. სადგურიდან 40 კილომეტრის დაშორებით კარგად მოსჩანს ოთხმწვერვალიანი ალაგიოზი. დურბინდი მოვიმარჯვე და ყურადღებით გავცქერი ამ ჩემთვისაც უცნობ მწვერვალს. ალაგ-ალაგ თოვლით

დაფარული მწვერვალები მზის სხივებზე აფერადდნენ. აქ დიდებსაც შეაფიქრიანებს გოროზი მწვერვალი, საჭიროა ბავშვებს გული გავუმაგრო, რომ გზის სიძნელე გავუადვილო. და მეც მოვუყევი ამ მთის ამბავს, თან ჯოხით ვუჩვენებ შორეულ მწვერვალს. ბავშვები სულგანაბულნი მიგდებენ ყურს.

— მრავალი ათასეული საუკუნის წინ, — ვუამბობ ბავშვებს, — როდესაც ჩვენი დედამიწის ქერქი განიცდიდა ძლიერ შეკუმშვას, ახლანდელი კავკასია მთლად დაფარული იყო ზღვით. შავი და კასპის ზღვები ერთ დიდი ზღვად იყვნენ შეერთებულნი, მაგრამ ვულკანების მოქმედება გაძლიერდა და წარმოიშვა ეს ცეცხლმფრქვევი მთაც, ალაგიოზი, რომელიც აფრქვევდა დედამიწის წიაღიდან ქვებსა და ლოდებს, ლავასა და ცეცხლს. ეს გამდნარი „წიაღვარი" ეცემოდა დიდი სიმაღლიდან ასი კილომეტრის ირგვლივ. ვარდებოდა ტბაში; სადაც სწრაფად ცივდებოდა და ნაჩვრეტებში წყალი უჯდებოდა. ამიტომ არის ეს ამონახეთქი წიაღვარი, ახლა ტუფად წოდებული. ასეთი მჩატე, მსუბუქი და დაჩვრეტილი. ამ ტუფს ვხმარობთ ახლა როგორც საუკეთესო საღმშენებლო მასალას.

ამ სიტყვებით გავუწოდე ბავშვებს მუშტის ოდენა ტუფის ნატეხი, რომელიც სადგურზე ვიპოვე.

— უი რა მსუბუქია!

— რამდენი ნაჩვრეტი ჰქონია!

— რა მაგარი და მჩატეა!

გაისმის აქეთ-იქიდან ჟივილ-ხივილი.

და სწორედ ამ დროს მოვიდა ამ ქვებით დატვირთული მატარებელი და ჩვენ წინ დაბარებულივით გაჩერდა. ქვები მიაქვთ თბილისში, ერევანში, მოსკოვში და სხვა შორეულ ადგილებში.

— უფროსო! შეიძლება სამახსოვროდ პატარა ქვები ავიღოთ?

მიიღეს თუ არა თანხმობა, ბავშვები მიესივნენ ვაგონებს. და მუშტის ოდენა ქვის ნატეხები ზოგმა ჯიბეში ჩაიდო, ზოგმა სამგზავრო აბგაში.

—მაშ ვულკანსაცა ვნახავთ?

— ვნახავთ ჩამქრალი ვულკანის კრატერს.

— ო. რა კარგია! — ახმაურდნენ ბავშვები. — რა კარგი!

— მაშ ყველამ დღიური აწარმოეთ. ჩასწერეთ, რაც გზაში საყურადღებოს ნახავთ, — ვარიგებ ბავშვებს, — თან აღნიშნეთ მანძილები და სიმაღლე, ასახეთ ბუნება, მთა და ბარი. ეცადეთ მხატვრულად ასწეროთ თქვენი განცდა და თავგადა-

სავალი. გულდასმით ასწერეთ მოსახლეობა, რომლებსაც გზა და გზა შეხვდებით. ძველებური ციხე-სიმაგრეებიც. როცა მწვერვალისაკენ წავალთ, ჩასწერეთ, რა მცენარეებს შეხვდებით იმ მაღალ მიდამოებში. ფრინველებიც არ დაივიწყოთ.

— ნადირებიც არიან მაღლა? — მეკითხებიან გოგოები შიშით.

— ჰგლები იქნებიან. მაგრამ არა მგონია, რომ ამ შუა ზაფხულში დავინახოთ.

ლენინაკანის სასტუმროში ყველა ოთახი დაკავებული აღმოჩნდა. ჩვენ კი დიდიან-პატარიანად, თვრამეტნი ვართ და ორი ოთახი მაინც გვჭირდება. შეწუხდა სასტუმროს გამგე, რომ წესიერად ვერ უხვდება თბილისელების ექსპედიციას. როგორც იქნა ერთი ოთახი გაანთავისუფლეს შვიდი საწოლით. ორ-ორს თითო საწოლი მივუჩინე. დაქანცული ბავშვები მაშინათვე ჩაწვნენ, დიდებმა კი იატაკზე დავიგეთ ლოგინები.

გზა და გზა

დილის ოთხ საათზე გავაღვიძე ბავშვები და მსუბუქი საუზმის შემდეგ გავემგზავრეთ ლენინაკანის რკინიგზის სადგურისაკენ. ქუჩებში ამ დილა ადრიან თითქმის არავინ გვხვდება.

— აი. ბავშვებო, მიაქციეთ ყურადღება. ეს ის ქალაქია, რომელიც დაანგრია ძლიერმა მიწის ძვრამ. სახლები, რომელიც არ იყო ნაშენი მკვიდრად, დაინგრა და ბევრი ხალხი დაიტანა ქვეშ, მაგრამ პარტიის და ხელისუფლების დახმარებით, ხედავთ, რა კარგი ქვიტკირის შენობები აუგიათ!

— რა ძალისა იყო მიწის ძვრა? — მეკითხება ფრიადოსანი ოფელია, რომელიც გამოირჩევა თავისი ცნობისმოყვარეობით.

— რვა ბალისა იყო. ყველაზე ძლიერი მიწის ძვრა კი რამდენ ბალიანია? ხომ იცით?

— თორმეტ ბალიანი, — მიპასუხა სამმა ერთად, — მაშინ ყველაფერი ინგრევა და მიწის ზედაპირიც კი სკდება.

— შეხეთ, — ვუჩვენებ ახალ შენობაზე, — კედლებს ტუფით აშენებენ.

— ესა, უფროსო? ეს რაღა არის? — მეკითხება ისევ ოფელია.

შევჩერდით და ვუცქერით გაკვირებულნი. ვიღაცა აშენებს კედელს შეშით. ნაჭრებს მჭიდროდ ალაგებს ერთი მეორეზე და ზედ კირის ხსნარს ასხამს.

— მაგას რას აშენებთ? — ვეკითხები კალატოზს.

— საცდელ სახლს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დავალებით.

ბავშვები ყურადღებით უცქერიან ამ ჩვენთვის უჩვეულო მშენებლობას. მაგრამ დროა მივაშუროთ რკინიგზის სადგურს. მატარებელი გადის დილის ექვს საათზე. ახლა კი უკვე ექვსი დაიწყო. აგერ ამოვიდა კაშკაშა მზეც და შორს დავინახეთ ოთხი მწვერვალი ერთად, რომლებიც ლამაზად ბრწყინავდნენ მზის შუქზე. ეს იყო ალაგიოზი.

— მოვდივართ! მოვდივაართ! — ახმაურდნენ ბავშვები და ჯოხები შეათამაშეს.

...ერთი საათის შემდეგ მატარებელი გაჩერდა არტიკში, სადაც სტეხენ იმ ცნობილ ტუფის ქვას.

არტიკიდან გავიარეთ ფეხით სამი კილომეტრი და გავჩერდით სოფელ ხარიჯაში. ჩვენი მნე დატრიალდა სახედრების საშოვნელად. სამი სახედარი გვჭირდება ჩვენი საგზლის და მოწყობილობის წასაღებად. დღეს საღამოთი უნდა მივაღწიოთ ალაგიოზის მაღალმთიან მეტეოსადგურს. რომელიც აქედან დაშორებულია 25 კილომეტრით. შესვენებით ბავშვები ამ მანძილს გაივლიან რვა-ცხრა საათში. თუ სახედრები დროზე ვიშოვეთ, მეტეოსადგურში საღამომდე მივალთ.

სახედრების მოყვანამდე, დავბანაკდით ძველი საყდრის ეზოში. ყურადღებით ვსინჯავთ ამ ვეებერთელა საყდარს და გვიკვირს. რატომ დასჭირდა პატარა სოფელს ასეთი დიდი საყდარი. რომელიც სიდიდით არ ჩამოუვარდება თბილისის სიონის ტაძარს.

— ოფელია! აბა ერთი წაიკითხე. რა სწერია სომხურად ამ ჩრდილოეთის კედელზე. წამიკითხე და გადამითარგმნე.

— კარგად არა სჩანს, უფროსო. ძალიან მაღლა არის დაწერილი.

მივაშველე ჩემი დურბინდი და ოფელიამ გადამითარგმნა შემდეგი შინაარსის წარწერა:

„ღვთის შეწევნითა მე, ზაქარე მანდატურთ უხუცესმა, ამირსპასალარმა სომხეთისამ (ჰაიოც) და საქართველოისამ (ვრაცოც), ძემან დიდი სარგისისამ. ესე საყდარი წმინდისა ღვთისმშობლისა აღვაშენე თამარ მეფის სადიდებლად“...

— აბა სადა სწერია თამარი? — ვეკითხები აღელვებული. ბავშვი მითითებს ერთ სიტყვაზე.

თუ ბავშვმა სწორად ამოიკითხა, ეს საყდარი აუშენებია ჩვენს ცნობილ სარდალს ზაქარია მხარგრძელს თამარ მეფის დროს. შავი თლილი ქვით არის ნაშენი.

საყდრის წინ დიდი შენობაა გრძელი ქვის საჯდომებით, ეგრეთწოდებული „ერთა საბჭო, სადაც დასხიან ბრძენ კაცნი, პეიტარობით სახელდებულნი, ოდეს ასტყდის ერში დიდ საქმეები. დიდ არჩევანი“... აქვე მიდგმულია მცირე საყდარი გრიგოლ განმანათლებელის სახელზე, აშენებული მეშვიდე საუკუნეში.

...საღამოს შვიდ საათზე ძლივს ვიშოვეთ ორი სახედარი. საჩქაროდ ავკიდეთ ბარგი და გავუდექით გზას. გვიან არის, მაგრამ აქ ამ საყდრის ნანგრევებში ხომ არ დავრჩებით! ღამურები ხომ არა ვართ?

კიდევ კარგი, რომ ბავშვებმა დაისვენეს და გამოიძინეს საყდრის ჩრდილში. აქედან იწყება მაღალმთიანი რაიონი. გზა გათავდა, ბილიკიღა მიდის აღმართ-აღმართ.

მზე უკვე ესვენებოდა, ჩვენ რომ გავუდექით გზას. ნელა მივდივართ. საათში გავდივართ სამ კილომეტრს. მეტი ბავშვებს არ შეუძლიათ.

ღამის ათ საათზე მივადექით მწყემსების ბინას, სადაც ერთი დიდი ოთახი დაგვითმეს. მასში მოთავსებული თონე ჯერ კიდევ თბილია. დავლაგდით, როგორც შეგვეძლო, მარტო ფეხსაცმელი გავიხადეთ და ის იყო ძილისთვის გავემზადეთ, რომ უცბად ძაღლებმა ასტეხეს საშინელი ყეფა და მწყემსებმა „ჰაი-ჰაის“ ყვირილი. მგელი დაეცა ცხვრის ფარას. მაგრამ ვერაფერი გააწყო და თავს ძლივს უშველა გაქცევით.

ხიფათი

მეორე დღეს დავემშვიდობეთ ჩვენს მასპინძელ მწყემსებს, მადლობის ნიშნად ვაჩუქეთ ფარანი „ღამურა“ და გავუდექით გზას მეტეო-სადგურისკენ.

უკვე საღამოვდებოდა, როდესაც ის ბილიკი, რომელზედაც მთელი დღე მივდიოდით, გათავდა. დაიწყო უგზო-უკელო მთა-გორიანი არე-მარე.

რუკითა და კომპასით ვიკვლევ მიმართულებას. ალაგიოზის მეტეო-სადგური სადღაც ამ მთებში უნდა იყოს. სადაც

არის უნდა ნავადგეთ ღამისსათევ ბინას, მაგრამ ყოველი მოლოდინის გარეშე ცა უცბად შავი სუდარით დაიბურა, ატყდა ჭექა-ქუხილი და დაგვაყარა კენჭების ოდენა სეტყვა. ძლივს მოვასწარით კარვების გაშლა. ბუნების ბნელმა ძალებმა აიხსნეს აღვირი, თარეშობენ ამ კლდეში და ღრეში, ეხეთქებიან მთებს. კლდენი ბანს ეუბნებიან. ხანდახან ისე მძლავრად დაიჭექებს, გეგონებათ, ცა დაინგრაო. მეხი სადღაც ახლო დაეცა. მეშინია ჩვენც არ დაგვეცეს, ბევრი რკინეულობა გვაქვს. სეტყვას მოყვა კოკისპირული წვიმა. მთიდან წამოვიდა ზათქით და ღრიალით მთელი ნიაღვარი, რომელიც წალეკვას უქადის ჩვენს მესამე კარავს. იქ ხუთი ბავშვია!

გავვარდი გარეთ, მივვარდი კარავს, წამოვშალე ბავშვები, ისინი ვერ გრძნობდნენ საშიშროებას, მოვიტაცეთ კარავი და სირბილით გავიქეცით მაღლობზე. აქ ბავშვებს კარავი გადავაფარე, ორი ბავშვი კი იღლიებ ქვეშ ამოვიფარე. გავიძერ საჩქაროდ ჩემი დაბამბული სათბური და თავზე გადავახურე. ბავშვებს და მეც სეტყვით დასერილ სახიდან სისხლი გვდის. ბავშვები აცახცახდნენ შიშით და სიცივით. უძლურნი ვართ ამ გაშმაგებულ სტიქიონთან ბრძოლაში. ესღა დაგვრჩენია, თვალი ვადევნოთ ამ აზვირთებულ ნიაღვარს, რომელსაც ღრიანცელით და რახა-რუხით მოაქვს ქვები და ლოდები. არ გასულა რამდენიმე წუთი და ის ადგილი, სადაც უწინ ბავშვების კარავი იდგა, ნიაღვარმა დაფარა და ახლა ჩვენ გვემუქრება. მაგრამ გასაქცევი ადგილი აღარსად არის. ამ პატარა მაღლობზე ისე ვართ, როგორც კუნძულზე აბობოქრებულ ზღვაში.

მთამ ხუმრობა არ იცის, არც შებრალება.

ბავშვებს მსუბუქად აცვიათ. რა ეშველებათ, ეს თავსხმა რომ ღამეც გაგრძელდეს?...

ამ დროს მოგვესმა ზემოდან სროლა, სტვენა და ყვირილი. მორბიან ჩვენსკენ ფარნით ვიღაცეები. ვინ არიან? ან რატომ ისვრიან თოფებს? რასა ყვირიან? რა უნდათ ჩემი ბავშვებისგან?...

— ვინა ხართ? — შევყვირე რაც ძალი და ღონე მქონდა. მოგვიახლოვდნენ. მეტეოსადგურის უფროსია და მისი თანამშრომელი.

ზემოდან. დურბინდით დავუნახივართ, რომ დაღუპვის პირას ვართ და გამოეშურნენ გადასარჩენად. თან გზაში ნიშანს გვაძლევდნენ სროლით და ყვირილით, რომ მოდიოდნენ მოსაშველებლად.

დაღამდა. ბნელა. არაფერი სჩანს.

დამხვდურები წაგვიძღვნენ ფარნით ხელში და მალე მიგვიყვანეს მეტეოსადგურში. მაშინვე დაანთეს ცეცხლი, აგვიდუღეს ჩაი. დაგვიგეს იატაკზე თავისი ლოგინები.

— ოფელია! — გადავძახე უფროს გოგონას, — გაიხადეთ სველი ტანისამოსი. გაწურეთ, დაკიდეთ ღუმელთან და ორ-ორი ჩაწექით ლოგინში. კარგად გამოიძინეთ, ხვალ დილით მივდივართ მწვერვალზე. მაგრამ განა შეიძლება ხვალ დილით ბავშვების ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე აყვანა? ამათ ხომ ერთი დღე მაინც სჭირდებათ დასასვენებლად? მაგრამ რა ვქნა, რომ საკონტროლო ვადა გადის. დანიშნულ დროზე თუ არ დავბრუნდით თბილისში. შეშინდებიან იქ ამათი მომლოდინენი. თან საგზალიც გველევა.

მეტი გამოსავალი არ არის.ხვალ ცოტა მოგვიანებით წავალთ მწვერვალისაკენ.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘ

„ისეთი მშვიდი, წყნარი, ნარნარი
გათენდა ამ დღეს ლამაზი დილა,
რომ თვით მთებისა რისხვა და ზარი
ამ დილის მადლსა დაემორჩილა“...

— ადექით! ადექით! — ვაღვიძებ ბავშვებს. გოგოები ინაზებიან, მაგრამ დახანება არ შეიძლება. დღეს უნდა ავიდეთ მწვერვალზე. რომელიც დაშორებულია მეტეოსადგურიდან ხუთი კილომეტრით. სიმაღლე ასაღებია რვაასი მეტრი.

მეტეოსადგურის უფროსი. რომელიც ორჯერ უკვე ნამყოფია მწვერვალზე, დაგვთანხმდა წამოგვყვეს, როგორც გზის მცოდნე.

გულიდან მომეშვა, თავისუფლად ამოვისუნთქე.

— რომელი მწვერვალი გინდათ აიღოთ? — მეკითხება ის და თან ყურადღებით უცქერის მცირეწლოვან ბავშვებს.

— დასავლეთისა.—ვუპასუხე უყოყმანოდ.—უმაღლესი!

გასვლის წინ ყველანი გავამწკრივე ერთი მეორის მიყოლებით და ყველას მივაკუთვნე რიგითი ნომერი. ნომერი ნომერს უნდა მისდევდეს. არც გასწრება შეიძლება, არც მწყობრიდან გამოსვლა.

პირველ ნომრად დავაყენე ჩემი კარგი გამგონე და დამხმარე წესრიგში 14 წლის ოფელია.

მას მოჰყვებიან ირა და ლენა, ნინა და სედა, მილი, ზინა და ამალია. შემდეგ მოდიან ვაჟები: გოგი და გურგენი, ოთარი, აბრამი და ლიოვა. ექსპედიციის პოლიტიკური ხელმძღვანელი ბოლოში მოდის, რომ დაეხმაროს ჩამორჩენილებს.

წინ მივდივართ ნელი ნაბიჯით მეტეოსადგურის უფროსი და მე.

მსუბუქად მივდივართ. ჩანთებში მცირე საუზმე გვაქვს, მათარებში წყალი, ხელში წვეტიანი ჯოხები.

დიდებს რიგ-რიგობით მოაქვთ ფარჩის წითელი დროშა, რომელიც ჯერ შეკეცილია და გაიხსნება მხოლოდ მწვერვალზე.

ტემპერატურა 17 გრადუსია. ცა გუშინდელი რისხვის შემდეგ მოკრიალებულა. ბარომეტრი უჩვენებს 502 მილიმეტრს. ვგონებ, ამინდი არ შეიცვალოს.

გოგოების ლაპარაკი შემომესმა. შევაჩერე ჯგუფი.

— ასვლის დროს ლაპარაკი არ შეიძლება, — ვაფრთხილებ განმეორებით ბავშვებს.—ამ გათხელებულ ჰაერში სუნთქვა ისეც გაძნელებულია.

ჩუმად მივდივართ. ისმის მხოლოდ ჩვენი ჯოხების რაკუნი. როცა 3.500 მეტრის სიმაღლეზე აქა-იქ დაჩრდილულ ადგილებში დაიწყო თოვლის ზონა, შევაჩერე ჯგუფი შესასვენებლად. ბავშვებმა ამ შუა ზაფხულში გუნდაობა დაიწყეს. ერთი-ორი გუნდა მეც მითავაზეს. გოგიმ დაგვიმიზნა თავისი ფოტო. ჯგუფი გამწკრივდა თოვლზე და გოგიმ დააჩხაკუნა თავისი „ლეიკა“.

აქ ცოტა დავნაყრდით, სედას ხელიდან თოვლი გავაგდებინე, უნდოდა შეეჭამა, და კვლავ შევუდექით აღმართს, რომლის დაქანება 30 გრადუსზე მეტი არ იქნება. მაგრამ ბავშვებისათვის ესეც საკმარისია, მეტადრე იქ, სადაც მრავლად ყრია წვეტიანი ქვები და ლოდები. ქვებს ხან გვერდს ვუვლით, ხან ზედ ვახტებით. ერთ ადგილას ჯგუფი შევაჩერე დასასვენებლად და წავედი წინ „გზის“ დასაზვერად. მივდივარ უხმოდ და... კინაღამ ფეხი დავადგი ლოდებს შუა მძინარე მგელს, რომელიც შეშინებული წამოხტა და დაეშვა ქვევითკენ. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ უნებლიეთ სიცილი წამსკდა. მგლის შესაშინებლად რამდენჯერმე ძლიერად შევძახე და მგელი უფრო სწრაფად გაიქცა კუდამოძუებული. ეს ამბავი ბავშვებს არ გავუმხილე... მიზეზი გასაგებია. ალტიმეტრი მიჩვენებს 3.700 მეტრის სიმაღლეს. მწვერვალამ-

დე ჯერ კიდევ ოთხასი მეტრია. თუ არაფერი მოხდა, ორ საათში ვიქნებით იქ.

ყველაფერი წესიერად მიდის, გზა სახიფათო არ არის, ოღონდ მარჯვნივ ჩვენგან აყუდებულან ციცაბო კლდეები, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება. ჩვენი „გზა“ მარცხნივ მიდის, თანაბარი აღმართით.

უცბად მოხდა მოულოდნელი ამბავი!

ორმა ყველაზე დიდმა ბიჭმა მიატოვა ჯგუფი და სირბილით გაექანა მარჯვნივ, იმ ციცაბო კლდეებისკენ. უნდათ ამვრნენ მწვერვალზე ამ „მოკლე“ და სახიფათო გზით.

ეს იყო წესრიგის ისეთი უხეში დარღვევა და ამასთანავე ისეთი სახიფათო, რომ განრისხებულმა ვუბრძანე, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ ჯგუფში.

მაგრამ იმათ თურმე გადაუწყვეტიათ, რომ პირველნი უნდა ავიდნენ მწვერვალზე, უნდა დაასწრონ ჯგუფს და ამით თავი „ისახელონ“ ამხანაგებში.

გოგი გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. ბიჭები მაიმუნებივით ცოცავენ იმ დაკიდულ კლდეებზე. არც თოკი აქვთ თან, არც წერაყინი.

შევაჩერე ჯგუფი და შიშით ვუცქერი ყმაწვილებს, რომლებიც არ გრძნობენ არც პასუხისმგებლობას, არც საფრთხეს, რომელსაც ისინი უქმნიან ჯგუფსა და თავის თავს. ფეხი რომ დაუცდეთ, პირდაპირ უფსკრულში ჩავარდებიან.

ვუყვირი და ვუსტვენ, რაც ძალი და ღონე მაქვს, მაგრამ იმათ უფრო მარჯვნივ გადაუხვიეს და მალე თვალიდან მოგვეფარენ.

ჩვენ ხომ დავარიგეთ გამოსვლის წინ ყველანი, რომ ამ მწვერვალზე ორი წლის წინათ დაიღუპა ორი მთასვლელი. მეც, პოლიტხელიც, მუდამ ვარიგებდით ბავშვებს დაეცვათ სრული წესრიგი, ერთი გოჯითაც არ გასცილებოდნენ ჯგუფს და ეს რა მოხდა ასე მოულოდნელად?!...

ბავშვებმა გამიზიარეს, რომ იმ ორ ბიჭს დაუდვიათ სანაძლეო, ვინ უფრო მალე ავიდოდა მწვერვალზე. გულდაწყვეტილნი, გულჩათხრობილნი განვაგრძობთ სვლას მწვერვალისკენ, რომელსაც მივაღწიეთ ნაშუადღევის ხუთ საათზე.

ალაგიოზის მწვერვალზე

ის ორი „დეზერტირი“ უკვე გველოდება მწვერვალზე. ჩვენც ავედით მთელი ჩვენი შემადგენლობით.

— ვა'მა-ა-ა! გაუმარჯოს მწვერვალს! — გაისმა ბავშვების შეძახილები და ყვირილი, ჟრიამული და ერთმანეთის ხვევნა-კოცნა. სედას სიხარულისგან ცრემლებიც კი წამოსცვივდა.

მაშინათვე გავშალეთ ჩვენი წითელი დროშა.

ექსპედიციის უფროსმა მიულოცა ბავშვებს გამარჯვება. სედამ რუსულად წარმოთქვა სიტყვა, სადაც გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიას და ხელისუფლებას. ნინამ ქართულად ილაპარაკა, მილიმ აზერბაიჯანულად, ოფელიამ სომხურად. იმისი ხმა ზარივით წკრიალებს. სომხური არ მესმის, მაგრამ იმისი შეძახილი: „კეცე სტალინ! კეცე!“ ყველასათვის ერთნაირად გასაგებია. ვმღერით მწყობრად და ვიღებთ საერთო სურათს. ის ორი ბიჭი დარცხვენილად განზე დგას. ჩვენ არც ვუცქერით. არც ველაპარაკებით მათ.



ჩვენი დუმილით იგრძნეს, რა სამარცხვინო საქციელი ჩაიდინეს და რა საფრთხეში ჩააყენეს მთელი ექსპედიცია...

— აბა ახლა ტაში! — წამოიძახა ილომ და აახმაურა თავისი განუყრელი სალამური.

ფარჩის დროშა შრიალებს მწვერვალის თავზე, თითქოს ესეც ტაშს უკრავდეს და ხარობდეს ბავშვების ცეკვით.

...— არარატი! — შესძახეს ბავშვებმა აღტაცებით, როდესაც გაიხედეს აღმოსავლეთისკენ. — რა ლამაზია! რა მშვენიერი! რა ახლოა!

— არა, ბავშვებო! — ვიცინი მე, — აქედან არარატამდე ას კილომეტრზე მეტია. ეგ მხოლოდ მოწმენდილ ცაზე გეჩვენებათ აგრე ახლო.

— რა სიმაღლისაა? — მეკითხებიან აქეთ-იქიდან.

— ხუთი ათას ას სამოცი მეტრია.

— ის რაღა მდინარეა, იმის ძირში რომ გადის ამწვანებულ მინდვრებში?

— აი ეგ არის არეზი, რომელიც მიედინება კასპის ზღვისკენ. ეგ მდინარეა ახლა ჩვენი საზღვარი ირანთან და ოსმალეთთან.

— მაშ მდინარის იქით უცხოეთია? საზღვარგარეთი? აბა მეც მათხოვეთ თქვენი დურბინდი. მეც! მეც! — გაისმის ბავშვების ჟივილ-ხივილი.

— ჩვენი მხარე სჯობია, — ამბობს დაბეჯითებით ოფეღია, — იქით უდაბური ქვეყანა ყოფილა.

— ჩვენთან მრავალი არხია გაყვანილი, რომლითაც ირწყვის მინდორ-ველი, იქ კი, ეტყობათ, ჯერ არც შესდგომიან ამ საქმეს, — ამბობს პოლიტხელი დამაჯერებლად.

— უი, რამდენი ტბა ყოფილა ჩვენთან! — წამოიძახა ნინამ.

— აგერ ის ტბა არის ყარაგელი, აქეთკენ ბაკუგელია, იქით ტანიშგელი. აი ამ ტბაში, რომელიც ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ზაფხულობით ბუდობენ გარეული იხვები და ბატები. თევზებიც ბევრია. ამაზე მაღლა ფრინველები კავკასიაში არა გვხვდება.

... ალაგიოზის მწვერვალზე თოვლი ზაფხულში ცოტაა. ქარი არ აჩერებს. პიტალო კლდეზე დიდი ასოებით არის ამოკვეთილი რუსულად: **Пастухов 1891.**

ამ ცნობილმა ტოპოგრაფმა და მთასვლელმა, რომელმაც დაიპყრო ყაზბეგი, იალბუზი და ბოლოს ალაგიოზიც, აქედან აწარმოვა ტოპოგრაფიული აზომვა არე-მარესი.

— ახლაც ცოცხალია? — მეკითხებიან ბავშვები.

— არა, დაიღუპა იალბუზზე მეორედ ასვლისას. სისხლი წასკდა ყელიდან.

— ვაი საწყალი! — იძახიან ბავშვები და გაშტერებით აცქერდებიან კლდეზე წარწერას.

— აბა, უმაწვილებო, დახატეთ თქვენს დღიურებში, რასაც აქედან ხედავთ: ეს ოთხივე მწვერვალი, კრატერი, ტბები და ის ლამაზი არარატი თავისი ორი მწვერვალით.

... ბავშვები გულმოდგინედ შეუდგნენ ხატვას და ხაზვას. კომპასით ვუჩვენებ ოთხივე მხარის მიმართულებას, რომ სწორედ აღნიშნონ ნახატზე ჩრდილოეთი და სამხრეთი.

— რატომ არის, რომ აქ კლდე დამსკდარა და თითქო შედუღებულა? — მეკითხება ცნობისმოყვარე ოფელია.

— ალბათ მეხი დაეცა ამ ადგილას, დახეთქა და დაამდუღრა, — ვუხსნი მე, რასაც ოფელია მაშინვე იწერს და იხატავს თავის დღიურში.

მწვერვალზე დავყავით მთელი საათი. მოვაწერეთ გრძელ ქაღალდზე ჩვენი გვარები, ჩავდეთ კონსერვის კოლოფში, დავადეთ ზემოდან ქვა და სრულ ექვს საათზე დავიწყეთ ჩამოსვლა.

— ხომ არაფერი დაგრჩათ მწვერვალზე? — შევაჩერე ბავშვები შეკითხვით.

— უი! — იყვირა ორმა „დეზერტირმა“, სწრაფად შებრუნდნენ მწვერვალზე და მალე დაბრუნდნენ დროშით ხელში.

— ეს ძვირფასი დროშა იქ როგორ დაგავიწყდათ? — გვისაყვედურეს იმათ. ჩვენ იმათზე მწყრალად ვართ, მაგრამ აქ კი სიცილი ვერ შევიკავეთ.

— ეგ დროშა მწვერვალზე უნდა დარჩეს ჩვენი გამარჯვების ნიშნად. წადით და ისევ დაამაგრეთ მწვერვალზე!...

„დეზერტირები“ მორჩილად გაბრუნდნენ და მალე დაგვეწივნენ. ცდილობენ სრული წესრიგი დაიცვან. სხვებსაც კი აძლევენ შენიშვნას, როცა ვინმე არღვევს წესრიგს.

საღამოს რვა საათზე ჩავედით მეტეოსადგურში, დავიბანეთ ხელ-პირი ტბის პირას, გულმოდგინედ დავათვალიერეთ

მეტეოსადგური და მეგობრული მუსაიფი გავაბით მეცნიერ-მუშაკებთან, რომლებიც ასე გულთბილად შეგვხვდნენ და თავისი ლოგინიც კი დაგვითმეს, თვითონ კი ნაბდები წაიხურეს ამ ცივ ღამეში.

დაღლილ ბავშვებს მალე ტკბილად ჩაეძინათ.

რადიოგრამით ვაცნობე თბილისს, რომ ექსპედიციამ მთელი შემადგენლობით მიაღწია მწვერვალს და უვნებლივ დაბრუნდა მეტეოსადგურში.

დაბრუნება

მეორე დღეს 31 აგვისტოს დავემშვიდობეთ მეტეოსადგურის თანამშრომლებს, რომლებიც გვაცილებენ ტბამდე და აქ ტბის პირას ემშვიდობებიან ბავშვებს.

ბავშვები ეხვევიან მეტეოსადგურის უფროსს და რადიომუშაკს „არსენას“.

— რატომ ეძახით არსენას? — ვეუბნები ჩუმად ბავშვებს. — მაგ ამხანაგის სახელი რუბენია.

— არა, არა, უფროსო! არსენაა! არსენა!

— რომელი არსენა? — ვეკითხები გაკვირვებული.

— კინოში რომ უჩვენებენ არსენა ყაჩაღს. აბა შეხედეთ, განა არა ჰგავს?

შევხედე და გამეცინა. პირწავარდნილი არსენაა.

მეორე დღეს დავბრუნდით თბილისში, რკინიგზის სადგურზე შეგვხვდნენ თაიგულებით და მისალმებებით. მშობლებმა გულში ჩაიკრეს თავისი პატარა გმირები და გაიტაცეს სადგურიდან ავტომანქანებით...

მასობრივი ასვლა მწვერვალზე

მზადება

„გთხოვთ, როგორც უხუცეს მთასვლელს, მონაწილეობა მიიღოთ მასობრივ ასვლაში მყინვარწვერზე“.

ასეთი ბარათი მივიღე საქართველოს ალპიურ კლუბიდან 1948 წლის 10 სექტემბერს.

ეს მასობრივი ალპინიადა, რომელიც მიძღვნილია პროფესორ გიორგი ნიკოლაძის მიერ ამ 25 წლის წინათ მოწყობილ ყაზბეგზე პირველი საბჭოთა ასვლისადმი, მეც მიზიდავს და მინდა ამ მოხუცობის დროს მესამედ შევდგა ფეხი მყინვარწვერზე.

მეორე დღეს შესამოწმებლად მივედით ფიზკულტურის კაბინეტში, სადაც აგვწონეს და აგვზომეს, სისხლის წნევა და მაჯის ცემა შეგვიმოწმეს, გულის ცემა გაგვისინჯეს. ჩემი შემოწმების ნიშნულები ექიმებმა ერთმანეთს გაუწოდეს და ლათინურად რაღაცა ჩაილაპარაკეს.

„ნუთუ?.. ნუთუ დამიწუნეს მაჯის ან გულისცემა?“—ახლა კი ნამდვილად ამიჩქროლდა გული.

— რამდენი წლისა ხართ? — მეკითხებიან ექიმები.

— სამოცდახუთისა, — გულახდილად ვუპასუხე საექიმო კომისიას.

— საკვირველია! პირდაპირ საკვირველი! — ამბობენ ექიმები და თვალს თვალში მიყრიან.

— დასკვნა როგორია, ექიმო! დასკვნა! — შევძახე სასოწარკვეთილმა.

— შეგიძლიათ ახვიდეთ მწვერვალზე და მშვიდობით ჩამოხვიდეთ. გული ოცი წლის ჭაბუკისა გქონიათ, — იღიმებიან ექიმები და რაღაცას სწერენ ჩემს პირად ფურცელში.

გამოვედი გახარებული. ამხანაგები მილოცავენ... ერთხანს სპორტის დარბაზში შევჩერდი და ცქერით ვერ ვძღები. ჩვენი ახალგაზრდობა: ვაჟები და ქალები ვარჯიშობენ ძელებზე, ხტომასა და სირბილში.

გამგზავრება

თვრამეტი ავტომანქანა გვიცდის თბილისის კიროვის სახელობის ამწვანებულ ბაღში, სადაც მოთავსებულია საქართველოს ალპიური კლუბი. მრავალ მონაწილეს მოუყრია აქ თავი, ბევრს აღელვება ეტყობა. კლუბის აივანზე დგას ალპიური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მზრუნველობით ადევნებს თვალყურს ახალგაზრდობის გამგზავრებას.

მასთან აივანზე დგას ჩვენი ქვეყნის მთასვლელთა ძველი თაობა, მათ შორის სპორტის დამსახურებული ოსტატები სანდრო, სოსო და ალექსანდრა. იქვე შევნიშნე კაკო, მარო, მელენტი, ვანო, დავითი, გივი, მიტო, ოთარი... მეც მათ შევუერთდი ჩემი წერაყინით და ზურგჩანთით.

ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრობა ხუთი ათასი მეტრის სიმაღლის მწვერვალზე პირველი ამბავია მსოფლიოში. ექვსასი კაცი უნდა ავიდეს ყაზბეგზე.

—ჩასხედით მანქანებში! — გაისმა სანდროს მკაფიო ბრძანება და ჩვენც მივაშურეთ ჩვენთვის წინასწარ განკუთვნილ მანქანებს. უმალ წამოვიკიდე ჩემი ზურგჩანთა, მოვიმარჯვე წერაყინი და მინდა ძველ მთასვლელებთან დავიკავო ადგილი, მაგრამ კინორეჟისორი მაჩერებს და მეპატიჟება თავის მანქანაში. წინა მანქანაზე დავიკავეთ ადგილი და გავემგზავრეთ საქართველოს სამხედრო გზისკენ.

— მარცხნივ შეუხვიეთ! მარცხნივ! — ვუყვირი შოფერს ზემოდან, როდესაც ვერის ბაღს გავცდით.

კინორეჟისორმა ლადომ თავი გამოყო კაბინიდან და გამომძახა:

— ჯერ თბილისის ქუჩებს უნდა შემოვუაროთ.

მიჰქრის ჩვენი მანქანა. უკან მოგვყვება მრავალი ავტომანქანა მთასვლელებით სავსე, მხიარული ყიჟინით და სიმღერით. რომ აყრუებენ დედაქალაქის ქუჩებს და განცვიფრებაში მოჰყავთ გამვლელ-გამომვლელნი. ალბათ არ იციან, ვინა ვართ, ან რატომ ფრიალებენ მანქანებზე წითელი დროშები. მაგრამ ჩვენი აწეული წერაყინების დანახვაზე მალე ერკვევიან და ისინიც აღტაცებით გვესალმებიან, რაღაცას გვიყვირიან, გამარჯვებას გვისურვებენ.

ასეთი ყიჟინით გავუარეთ „კომუნისტის“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციების შენობებს, სადაც აივნიდან მომარჯვებული ფოტოაპარატებით გვიღებენ სურათს და გვისურვებენ ბედნიერ მგზავრობას.

ჩავუქროლეთ მთავრობის სასახლეს, შემოვუარეთ ლენინის სახელობის ფართო მოედანს და ახლა კი პირი ვიბრუნეთ საქართველოს სამხედრო გზისკენ. შორიდან გვესალმება ყაზბეგი თავისი მარადთოვლიანი მწვერვალით. იგი ხომ შესანიშნავად მოჩანს თბილისიდან კარგ ამინდში.

— სალამი, ხევის ლამაზო პატარძალო!

— მოვდივართ შენთან! მოვდივართ!

ისმის აქეთ-იქიდან მხიარული შეძახილი.

გავცილდით მცხეთას თუ არა, ბებრის ციხესთან კინორეჟისორმა შეაჩერა მანქანა. ის და კინოოპერატორი ოთარი ავიდნენ ციხის ნანგრევებზე და იქიდან გადაიღეს მთასვლელებით სავსე ავტომანქანების მწკრივი.



ათი საათის მგზავრობის შემდეგ გავიარეთ 160 კილომეტრი და საღამოს 7 საათზე ჩავედით სოფელ ყაზბეგში, რომელიც მდებარეობს 1700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. 17 სექტემბერია, მაგრამ აქ საგრძნობლად გრილა. მაშინვე შევუდექით კარვების გაშლას და შიგ საძილე ტომრების დალაგებას. ჩემს მეზობლად კარავში მოთავსდა „ახალგაზრდა კომუ-

ნისტის" გამსვლელი რედაქცია, რომელსაც იქვე მივაწოდეთ წერილები. რედაქტორი ბეჯითად შეუდგა მათ განხილვა-შესწორებას და პირველი ნომერი გამოუშვა მეორე დღესვე.

მეორე დღეს გამოვიდა ყაზბეგის რაიონის გაზეთიც „ახალი სხივი", სადაც სოსო ასლანიშვილმა დაწვრილებით აღნიშნა მასობრივი ასვლის მიზანი და მნიშვნელობა.

ლაშქრობის მონაწილეთა შორის ხუთი. კორესპონდენტია, მოვლინებული მოსკოვის და თბილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან, რომლებიც ბეჯითად იწერენ რაღაცას თავიანთ განუყრელ დღიურებში.

ბეთლემის გამოქვაბული

მეორე დღეს დავათვალიერეთ ყაზბეგის მუზეუმი, რომელიც მე უკვე რამოდენიმეჯერ მაქვს ნახული.

ჩემს ყურადღებას აქ სხვა რამე იპყრობს. ამას წინათ ექსპედიცია ალექსანდრას ხელმძღვანელობით ავიდა ბეთლემის ძველის-ძველ გამოქვაბულში, რომელიც ასე მხატვრულად აღწერა ილია ჭავჭავაძემ პოემა „განდეგილში".

— რა სიმაღლეზეა ეს ლეგენდარული გამოქვაბული? — ვეკითხებით ალექსანდრას.

— 4000 მეტრი იქნება ზღვის დონიდან. რკინის ჯაჭვია გამოქვაბულიდან გადმოკიდული. იმ ჯაჭვით ავცოცდით და შევედით გამოქვაბულში, — გვიამბობს ალექსანდრა და ჩვენც ვუსმენთ სულგანაბულნი.

ალექსანდრა, მელენტი, სოსო და მე მივდივართ მუზეუმის დირექტორთან და ვთხოვთ გვაჩვენოს იმ გამოქვაბულიდან ჩამოტანილი ძველი ნივთები, რომელიც მუზეუმში ინახება.

დირექტორი თავაზიანად გვიღებს კარს და ჩვენც ყურადღებით ვსინჯავთ ძველისძველ ნივთებს. აი ძველებური ყაიდის მცირე ზომის ხის ჯვარი და საზიარებელი კოვზი, დროშა ზედგამოსახული წმინდა გიორგით, შანდლები და... ერეკლე მეფის დროის თეთრი ფულები. ეტყობა, უკანასკნელად ვიღაცა ასულა ერეკლე მეფის დროს და დაუტოვებია გამოქვაბულში ეს ფულები.

იქნებ ეს ის ბერი იოსებია. რომელიც ბატონიშვილ იოანეს აქვს მოხსენებული თავის კალმასობაში?

„ავიდა ბერი იოსები მყინვარწვერზე და ჩამოიტანა იქიდან წმინდა კარავის ნაჭერიო".

აქ ალბათ იგულისხმება მყინვარწვერის კალთაზე მდებარე ბეთლემის გამოქვაბული, სადაც ტრაპეზზე მართლაც იყო გადაფარებული ეი ეს ფარჩის ტილო, რომელსაც ჩვენ ახლა გულმოდგინედ ვათვალიერებთ. რატომღაც ხმადაბლა ვლაპარაკობთ, თითქოს გვეშინოდეს, რომ ჩვენს თვალწინ არ გაქრენ ეს ძველი დროის ნაშთები.

— ხომ არაფერი დაგრჩათ გამოქვაბულში? — ვეკითხები ალექსანდრას.

— ტრაპეზის ქვა და ჯაჭვი,—ხმადაბლა გვიპასუხებს ალექსანდრა.

— არის თქმულება, რომ ძველ დროში მტრის შემოსევის დროს იქ ინახავდნენ საქართველოს განძეულობას. იატაკქვეშ ხომ არ არის გადამალული რამე?

— იატაკი მოფენილია ქვის ფიქალებით, მათი აწევა ჩვენ ვერ შევძელით.

— ფეხს რომ არტყამდით იატაკს, ყრუდ ხომ არ ისმოდა ქვევიდან რაიმე ხმაური? — არ ვეშვებით ალექსანდრას.

— არ ვიცი, არ მიცდია...

ბანაკში

ხუთი დღე დავრჩით ბანაკში. ველოდებით სხვა რაიონებიდან ლაშქრობის მონაწილეებს. პირველად მოვიდა ყაზბეგის რაიონის ახალგაზრდობა. შემდეგ დუშეთის, თიანეთის და სხვა მეზობელ რაიონებიდან.

ექვსასამდე მონაწილე შევიკრიბენით. მათ შორის სამოცდაათი ქალი.

დილით ტანვარჯიშია. შემდეგ პირის ბანა აზვირთებულ თერგში. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები პერანგსაც კი იხდიან და ტანზე ცივ წყალს ისხამენ. კინოოპერატორი გულმოდგინედ იღებს ამ არაჩვეულებრივ სურათს.

ტანვარჯიშის შემდეგ ვსაუზმობთ ნოყიერი საჭმლით. მზარეულები ორ უშველებელ ქვაბში ხარშავენ დილიდან საღამომდე ბოზბაშს და ფაფას. ჩაი და შოკოლადიც უხვად გვაქვს.

აქა-იქ იმართება ცეკვა და სიმღერა.

— გთხოვთ გაიპარსოთ სახე, — მომმართა კინორეჟისორმა, — უნდა გადაგიღოთ კინოში.

მე უარზე ვარ. უკვე მესამე დღეა სახეს აღარ ვიპარსავ,

რომ დავიფარო სახე ასკლის დროს მწვავე სხივების მოქმედებისაგან. მაგრამ ვინ გადაურჩება კინორეჟისორს?

გადამეღვეს ჯერ ცალკე, მერე, როგორც უხუცესი მონაწილე, ახალგაზრდა 17 წლის კომკავშირელ ირინესთან.

გადაღების შემდეგ ვბრუნდები კარავში და განვაგრძობ დღიურის წერას. საწერი კი ბევრი მაქვს. გული ხარობს ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდების ცქერით...

მეორე დღეს გავეცანით ყაზბეგის სოფლის მეურნეობას. ხევში უმთავრესად მესაქონლეობას მისდევენ. რაიონის ხელმძღვანელობის თაოსნობით შენდება თერგზე ელექტროსადგური დარიალის ხეობის იმ ვიწრო ადგილას, სადაც უძველეს დროში ჩვენმა წინაპრებმა ააგეს სახელმწიფოს დასაცავად დარიალის ციხე-სიმაგრე. ელსადგური გაანათებს მოხევის ბინას და ბოსელს (დიახ, ბოსელს), ქუჩებს და ფერმებს.

მეტეოსადგურში

1948 წლის 23 სექტემბერს დილის 8 საათზე გავმწკრივდით წასასვლელად. ყველაზე წინ მთასვლელების ძველი თაობა დგას.

ლაშქრობის ხელმძღვანელობამ ერთი ცხენი „მოგვამაგრა“ ჩვენი ბარგის წასაღებად.

—ძველი თაობა გთხოვთ მეორე ცხენს, ამხანაგო სანდრო,— მივმართე ლაშქრობის უფროსს უიმედო თხოვნით. მაგრამ სანდრომ საიდანღაც გააჩინა მეორე ცხენიც, რომელიც დავტვირთეთ ჩვენი ზურგჩანთებით და საძილე ტომრებით. ერთი ასეული გაემართა დევდორაკის გზით, ოთხი ასეული გერგეთის გზით. წინ მივდივართ ძველი თაობა: სპორტის დამსახურებული ოსტატები ალექსანდრა და სოსო, უხუცესი მთასვლელი ერეკლე, ორივე მარო და ვანო. ჩვენ წინ ფრიალებს ლაშქრობის წითელი დროშა, რომელიც მიაქვს ყველაზე მაღალ ფიზკულტურელს. სამ მეკავშირეს მიაქვს რადიომოწყობილობა.

ჩვენს შემდეგ მიდიან ზოოვეტინსტიტუტის სტუდენტები, რომლებსაც მაღალმთიან პირობებში საცდელად მოჰყავთ ძაღლი. მოაქვთ გალიით ზღვის თეთრი თაგვები და იღლიის ქვეშ კურდღლის ორი ბაჭია, რომლებსაც ყურები დაუცქვეტიათ და გაკვირვებით აქეთ-იქით იცქირებიან.

ხუთასამდე მონაწილე მწკრივად მისდევს ერთი მეორეს. ყველას ჰკიდია მძიმე ზურგჩანთები, სადაც ულაგიათ ხუთი დღის საგზალი, კარვები, წრიაპები და სხვა მოწყობილობა.

ასე მწკრივად შევუდექით სამების აღმართს, სადაც 2200 მეტრის სიმაღლეზე ცოტა შევისვენეთ და განვაგრძეთ გზა ბილიკით, რომელიც მიიკლაკნება ჯერ კიდევ ბალახით მოსილ საძოვრებს შორის, რომლის შემდეგ სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე დაიწყო შიშველი კლდოვანი ადგილები.

ნაშუადღევის სამ საათზე მივაღწიეთ საბერწეს 3300 მეტრის სიმაღლეზე, საიდანაც ნახევარი საათის შესვენების შემდეგ, შევუდექით გერგეთის დაქანებულ მყინვარს. კინოოპერატორი დაწინაურდა, ამაგრებს ყინულის ნაპრალთან თავის სამფეხა იარაღს, გულმოდგინედ ატრიალებს ხელსაწყოს ტარს და იღებს ამ იშვიათ სურათს; გაშლილ დროშას, დაკლაკნილი ზოლით მიმავალ ხუთას მთასვლელს, — ძველსა და ახალ თაობას.

ამინდი საუცხოოა, ნაპრალები კარგად სჩანან, წინ ნაცადი მთასვლელები მიდიან და ეს ნაპრალებით სავსე, დაქანებული გერგეთის მყინვარი, სიგანით ნახევარ კილომეტრზე მეტი, ყველამ მშვიდობით გადავიარეთ...

საღამოს 7 საათზე მივაღწიეთ მეტეოსადგურს, სადაც ყველაზე დიდი ოთახი დაგვითმეს ძველ მთასვლელებს. ახალგაზრდები კი მოთავსდნენ გარეთ, კარვებში. საწყლებს ძალიან ცუდი ამინდი დაუხვდათ აქ 3700 მეტრის სიმაღლეზე; ქარბუქი გლეჯს იქაურობას.

კარვების კალთებს ამაგრებენ ქვების ლოდებით, რომელიც იქ მრავლად ყრია გარშემო.

გავშალეთ იატაკზე საძილე ტომრები და ისე მჭიდროდ ეწევართ ყველანი, რომ არ შეგვიძლია გვერდი ვიბრუნოთ. როგორც იქნა გათენდა და ჩვენც წამოვიშალეთ. მივაშურეთ იქვე სადგურის მეზობლად მოჩუხჩუხე მთის ჩანჩქერებს, მაგრამ შეხეთ ჩვენს ბედს! ჩანჩქერი ღამით გაყინულიყო და ამოდენა ხალხი ხახამშრალი დავრჩით.

მაგრამ აი ცხრათვალა მზემ გამოანათა, ყინული ნელ-ნელა გალხვა, წყალი წკრიალით წამოვიდა და გვეშველა ამოდენა ხალხს, ჰიანჭველებივით რომ ვფუსფუსებთ იმ უშველებელ ლოდებს შორის. სხვებმა არ მოუცადეს ყინულის გალხობას და ხორხოშელა თოვლით დაიბანეს ხელ-პირი.

ავადუღეთ ჩაიდნები და გული ვიჯერეთ ჩაით. აქ 3700 მეტრის სიმაღლეზე წყალი 90 გრადუსზე დუღს. ცნობილია, რომ წყლის დუღილის ტემპერატურა ზღვის დონეზე 100 გრადუსია და შემდეგ ყოველ სამასი მეტრის სიმაღლეზე იკლებს თითო გრადუსს.

მთელი დღე ვისვენებთ და ვეჩვევით გათხელებულ ჰაერს. კონსერვებს შევექცევით და ძალ-ღონეს ვიკრებთ ხვალინდელი იერიშისთვის.

ვათვალიერებ ამ მაღალმთიან მეტეოსადგურის ქვიტკირის შენობას, რომელიც ომის წინათ ააგეს უწინდელი ფიცრული სადგურის ნაცვლად. თორმეტი ოთახია. ექვსი მოზამთრეთა საცხოვრებლად. ამდენივე სამეცნიერო ხელსაწყოებისათვის განკუთვნილი. სადაც ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტლივ აწარმოებენ მეცნიერულ დაკვირვებებს. ირგვლივ შემოვუარე შენობას და ერთ ადგილას შევჩერდი.

— ეს ძაღლი მწვერვალზე გინდათ აიყვანოთ? — ვეკითხები ახალგაზრდას.

— დიახ, მწვერვალზე გვინდა ვაწარმოოთ მასზე დაკვირვება.

— ეგ ბაჭიებიც? — და მივუთითე კურდღლებზე, რომლებიც ქალ-ვაჟს ეპირა ხელში და უბეში იხუტებდნენ, რომ როგორმე გაუთბოთ.

—დიახ, ამხანაგო, ესენიც მწვერვალზე უნდა ავიყვანოთ,— თავაზიანად მიხსნის სტუდენტი.

საბრალო კურდღლები გამალებით სუნთქავენ. არ ყოფნით ჟანგბადი ამ სიმაღლეზე.

— მაგ ზღვის თაგვებს სძინავთ?

— არა. სამივე მოკვდა. ვერ აიტანეს ასეთი დიდი სიმაღლე.

დილის სრულ სამ საათზე დაიძრა ჩვენი მცირე ჯგუფი. წინ მიხვევ ლევანი ბიდის, გეზის ზედმიწევნით მცოდნე (ორმოცჯერ არის მწვერვალზე ნამყოფი!). მას კვალდაკვალ მივდევთ მთასვლელების ძველი თაობა.

ალექსანდრას მისდევს ნატო, ქლუხორის ექსპედიციის უფროსი 1946 წელს.

— გახსოვს, ნატო, — ვეკითხები გზაში, — მე და შენ როგ ავდიოდით სოფრუჯუზე, მიმართულებას ავცდით და ფოფხვით მოგვიხდა მწვერვალზე ასვლა იმ ციცაბო კლდეებზე.



— მახსოვს, ერეკლე, შენ კიდეც ამბობდი: ო, რა ძალიან მიშლის ხელს ეს წერაყინიო.

ალპიური კლუბის დირექტორი ამხანაგი ალექსი წუხელ ამოვიდა ქვევიდან და თითქმის შეუსვენებლივ მიდის.

გავიარეთ იაგორას ნიში და გათენებისას გავცდით კლდიან ხმაურას, რომელიც ამ სისხამ დილაზე მდუმარედ მიყუჩებულა.

— მოდიან! — გაისმა ამ დროს ლევანის ხმა.

შევჩერდით. მივიხედეთ უკან, საიდანაც მოისმოდა წერაყინის რაკუნი. შორს ჩვენგან ვიღაცა მხნედ მოაბიჯებს. დერბინდი მოვიმარჯვე.

კაკო, კი არ მოდის, აპობს ჰაერს თავისი განიერი მკერდით.

— აბა მხნედ წინ, თორემ ლამის დაგვეწიოს. — გაისმა ლევანის ხმა. მაგრამ მე არ მინდა აჩქარება. სიარული მთაში უნდა იყოს თანაბარი და აუჩქარებელი, გულისცემასთან შეფარდებული.

ჩვენი ჯგუფი წავიდა წინ. მე და ვანო ნელ-ნელა ჩამოვრჩით, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? ჩვენც ავალთ. მხო-

ლოდ ცოტა მოგვიანებით. მალე კაკო და სხვებიც წამოგვეწივნენ. ცხრა საათზე მივუახლოვდით მწვერვალის ფუძეს (4500), სადაც გაჩიმულია თოვლის ფართო ველი. აქედან დავინახეთ, როგორ მარჯვედ ამოდიოდა დევდორაკის მხრიდან ჩვენი მეხუთე ასეული მოხევე ვახტანგის მეთაურობით. შევარდენის ქოხიდან მოდიან. ზოგიერთებს თხილამურებიც თან მოაქვს. თუმცა რისთვის?

მაინც დაიმაგრეს ფეხებზე, ამ თოვლიან ველზე ცოტათი აქეთ-იქით გასრიალდნენ და თავის ჭია გაახარეს.

გაგვეხარდა ორი ჯგუფის შეხვედრა. ცოტა შევისვენეთ და შევუდექით თოვლ-ყინულით დაფარულ აღმართს. არაჩვეულებრივი სანახაობაა! მრავალზე მრავალი მონაწილე მიაბიჯებს ზევით სანატრელ მწვერვალისკენ. ხუთასი კაცი ერთად!

გამაგრდი, მყინვარწვერო! ამისთანა „მარცხი" თავის დღეში არ გაგიცდია არც შენ და არც რომელიმე სხვა მწვერვალს.

სვენებ-სვენებით ავდივართ. თერთმეტ საათზე უნაგირაზე ვართ (4900). ამინდი აცივდა და მწვერვალი ნისლით დაიფარა. ქარი ამოვარდა.

— ჩვენი ჯგუფიდან ყველა უნდა ავიდეს, — გვამხნევებს ლევანი.

მაგრამ ჩვენ გამხნევება არ გვჭირდება. აუჩქარებლივ, ყოველი ოცი ნაბიჯის შემდეგ მცირე შესვენებით ვიწევთ თანდათან ზევით. მაღლა აღარ ვიხედებით. წოწი მეტად ციცაბოა და სახიფათო.

ხუთასი კაცი მწვერვალზე

— მომილოცნია, ერეკლე! — მომესმა ზემოდან, — ოცი მეტრიღა დაგრჩა!

ავიხედე... ალექსანდრაა. მწვერვალიდან ჩამოდის სახეგაბრწყინებული. ვულოცავ გამარჯვებას და ვაცქერდები იმის სახეს, რომელსაც მშვენის მრავალი უბედურებისაგან ნაადრევად გაჭაღარავებული თმა.

— ფრთხილად, ალექსანდრა! ძაღლმა არ გიკბინოს! — ვეხუმრები და ვუჩვენებ ძაღლზე, რომელიც თოკით მოჰყავს სტუდენტს. მას თან მოსდევს ქალ-ვაჟი კურდღლებით იღლიის ქვეშ. საბრალო ცხოველები თევზებივით უხმოდ აღებენ და

ჰკუმავენ პირს. ჰაერი არ ჰყოფნით. შეშინებული თვალებით იცქირებიან. არ ესმით, სად არიან და რა ხდება იმათ თავზე, ან რატომ უჭირთ ასე სუნთქვა. გული აჩქარებით უცემთ. კბილები დაკრეჭილი აქვთ. ო! რა ძალიან მეცოდებით, ჩვენო პატარა კურდღლებო!.. მწვერვალს ვუახლოვდებით. აი ჩემს წინ მწვერვალს მიაღწია ერთმა ახალგაზრდამ.

— ნომერი ორას ოცი!—ისმის კოტეს ხმა მწვერვალიდან. ვიღაცა იწერს წიგნაკში მთასვლელის ნომერს.

— ლუკაშვილი! — წამოიძახა უცბად კოტემ, ზეზე წამოდგა და ხელი გამომიწოდა.

მე ნომერი არა მაქვს. გვარით ჩამწერეს იმ სამახსოვრო წიგნაკში. გარს მეხვევიან, მილოცავენ. უხარიათ, რომ მოხუცი კაცი მწვერვალზე ავედი.

მწვერვალზე დაუდგამთ ლამაზად გამოკვეთილი ლენინის და სტალინის ქანდაკებანი. ზედ მხიარულად დაფრიალებს

ალისფერი დროშა. რა ლამაზია!. რა თვალწარმტაცი სურათია. ერუანტელმა დამიარა... მივუახლოვდი დროშას და, როგორც სხვებმა, ნიშნად გამარჯვებისა, გარს შემოვუარე.

მიტინგი მწვერვალზე

„ლაპარაკობს ყაზბეგი. ლაპარაკობს ყაზბეგი! სიმაღლე ხუთი ათას ორმოცდაორი მეტრი, — ისმის მიკროფონში ალპინიადის უფროსის მკაფიო ხმა. — მწვერვალზე ავიდა 502 მთასვლელი.

ჩვენი მხურვალე სალამი და გულითადი მადლობა მშრომელთა ბელადს, ჩვენს მიღწევათა ორგანიზატორს, ფიზკულტურის მეგობარს და მფარველს დიდ სტალინს!...



— ვაშაა, — გაისმა მწვერვალზე მრავალრიცხოვან მონაწილეთა შეძახილი. მაღლა ვწევთ წერაყინებს, ამ ყინვაში ქუდებს თავიდან ვიგლეჯთ და აღტაცებით მაღლა ვისვრით.

ოთარი მარდად ატრიალებს კინოაპარატის ტარს.

დიადი და დაუვიწყარია ეს წამები!

არ გვინდა დაშლა, მაგრამ გაისმა ბრძანება:

— ძირს, ბანაკისკენ!

და ჩვენც ძალაუნებურად ვტოვებთ მწვერვალს.

ერთხელ კიდევ შევხედე ლენინის და სტალინის ქანდაკებებს, რომელთა თავზეც ამაყად ფრიალებს ამ ქარბუქში წითელი დროშა.

ნეტავი მოწმენდილი ამინდი ყოფილიყო, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ეხილათ ის არაჩვეულებრივი ზღაპრული სურათი, რომელიც მოსჩანს მწვერვალიდან კარგ ამინდში.

მაშ ასე, მწვერვალზე ავიდა ხუთას ორი მონაწილე. ამათში სამოცდაშვიდი ქალია. მათ შორის არიან პირველი საბჭოთა მთასვლელნი: ალექსანდრა და მარო.

დაბრუნება

ორ საათზე დავიწყეთ ჩამოსვლა მწვერვალიდან. ბანაკამდე ხუთი საათია სასიარულო. გზა უკვე გაკვლეულია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივა.

— თამარ!.. ფეხი არ შესდგა მაგ მოყვითალო თოვლზე, — ვაფრთხილებ ჩვიდმეტი წლის გოგონას, — მანდ ნაპრალია, თხელი თოვლით დაფარული. ამ მოყინულ ციცაბოზე ფეხს პირდაპირ ნუ დგამ, ალმაცერად ჩადი, რომ ფეხი არ დაგიცურდეს, პირით ნუ სუნთქავ!

ქალიშვილი მიაჩერდა ჩემს მათარას.

— ძია!.. წყალი გაქვთ მათარაში?..

გავუწოდე ალუმინის მათარა. მაგრამ დახეთ ჩვენს ბედს... მათარა წყლით სავსე მაქვს, წვეთიც არ დამილევია, მაგრამ შიგ წყალი პირამდე გაყინულა. ქალს კი ძალზე სწყურია.

— თოვლი არ ჭამო! — გავაფრთხილე ქალი, როცა ხელით მოხვეტა თოვლი, — ცოტა მოიცა.

წავიძრე ხელთათმანი მარცხენა ხელიდან, მოვავლე მათარას ყელში და ცოტა ხნის შემდეგ, როცა ლითონი გათბა, რამდენიმე წვეთი დავალევინე ქალს. ეს დაინახეს სხვებმა, გარს შემომეხვივნენ, ხელებით გაათბეს მათარა და უკანასკნელ წვეთამდე დაცალეს.

საღამოს შვიდ საათზე მივაღწიეთ მეტეოსადგურს, სადაც გველოდებოდა სოსო ძაშველი ჯგუფით.

სანამ მე ავავსებდი ჩემს დაცარიელებულ მათარას მყინვარიდან მოჩუხჩუხე ანკარა წყლით, ვიღაცა დაწინაურდა და ახარა დამხდურებს ჩვენი ჯგუფის დაბრუნება.

სოსო კარებში დამიხვდა ფინჯნით ხელში და ჯგუფის სახელით მომილოცა მშვიდობით ასვლა და ჩამოსვლა. გამომიწოდა ფინჯანი, სიამოვნებით ჩამოვართვი, ცხელი ჩაი მეგონა, რომელიც შეციებულისათვის მართლაც და მისწრება იქნებოდა.

— ოჰ! ეს რა არის?! — დავიღრიჯე უნებურად, როდესაც ორიოდე წვეთი მწარე სასმელი შევსვი.

— შენი სადღეგრძელოა, ერეკლე, — იცინის სოსო, — შესვი, შეგერგოს, ჩვენო მოხუცო.

შევსვი და ფეხები შევათამაშე.

— ტაში! — იგრიალეს დამხდურებმა და ხელად გაჩაღდა ლხინი...

ბადავრჩი რისხვას

დილა ადრიან წამოვიკიდე ჩემი ჩანთა, მოვიმარჯვე წერაყინი და დავეშვი ბარისკენ.

არ მეგონა, თუ შეამჩნევდნენ, რომ ხუთას კაცს ერთი ვინმე გამოაკლდა.

გერგეთის მყინვარი ძალზე დასერილია ნაპრალებით, რომლის სიღრმე ორმოც მეტრამდე აღწევს. აქ ჩავარდნა სახიფათოა.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მივდივარ და, როცა სამშვიდობოს გავედი, სადაც საბერწე იწყება, ჩამოვჯექ მაღლობზე, ამოვიღე ჩემი დღიური და შევუდექი მყინვარწვერის გადახატვას, რომელიც აქედან, სამი ათასი მეტრის სიმაღლიდან, მშვენივრად მოსჩანს მოკრიალებულ ცაზე. ისე გავერთე ხატვით, რომ ვერ შევამჩნიე, როგორ წამომადგა თავზე ვიღაცის ლანდი.

— შენ აქ რა გინდა მარტო! — დაიკივლა სანდრომ.

გაკვირვებული წამოვდექ, ვერ გამიგია, საიდან გაჩნდა აქ ლაშქრობის უფროსი?.. თურმე გაუგია ჩემი მარტო წამოსვლა და დამდევნებია „გადასარჩენად“.

თავის გასამართლებელი არაფერი მაქვს. სრულიად არაფერი!

— რატომ წამოხველ მარტო? — არ მეშვება სანდრო. ვფიქრობ და არ ვიცი, რა პასუხი გავცე. ხომ ვერ ვეტყვი, რომ მინდა ერთხელ კიდევ ამ სიბერეში გამოვცადო ჩემი თავი და დავტკბე ბუნების სიდიადით.

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო სანდრო, რომ დავარღვიე წესრიგი. მაგრამ საიდან გაიგეთ ჩემი წამოსვლა?

— დურბინდში დაგინახეთ, ნაპრალზე რომ ხტებოდი... ეგ რა დაგიხატავს დღიურში?.. მწვერვალი?.. ლამაზია!.. ერთი ეს მითხარი, მყინვარზე რომ ჩამოდიოდი, რატომ ხაზავდი ყინულზე ისრებს და აწერდი წერაყინით ნაპრალებთან ე. ლ.?

— მარცხი რომ მომსვლოდა, მიხვდებოდით, რომელ ნაპრალში ჩავვარდი...

სანდროს გაეცინა. მგონი გადავრჩი შერისხვას.

— მაშ თუ მიდიხარ, ჩვენზე ადრე ჩახვალ სოფელში. აცნობე ჩვენებს, რომ ლაშქარი ჩამოვა ნაშუადღევის სამ საათზე.

ამ სიტყვებით სანდრო გაბრუნდა ზევით და ნელ-ნელა შეუდგა ყინვარს.

ვუახლოვდები ბარს და ბუნება თანდათან ცოცხლდება.

სოფელ გერგეთის ცოტა ზემოთ ძველი სასაფლაოა, სადაც ხელუხლებლად დაცულია პატარა, ლამაზი ჭალა. ჩამოვჯექი ხის ქვეშ, მივწექ ჩრდილში და ვიცქირები ცაში, სადაც ღრუბლები ნელ-ნელა მოძრაობენ მწვერვალების ზემოთ.

ირგვლივ დუმილია. სიჩუმე დაარღვია საიდანღაც მოფრენილმა ჩიტმა. ხეზე შემოჯდა და თითქოს გაიძახის:

— ვ'იცი, ვიცი, ვიცი-ი!

დურბინდით შევხედე ხის კენწეროს. პატარა ჩიტია, რომელსაც მესკიას უწოდებენ. ფრთხილად ვუცქერი, რომ არ დავაფრთხო გარეული ფრინველი.

რა იცი, ჩემო ჩიტუნია?... ნუთუ შენ უკვე იცი, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ დაამყარა მსოფლიო რეკორდი მთასვლელობაში?.. რომ მწვერვალზე ერთდროულად ავიდა ხუთასი ახალგაზრდა!... იცი, თუ არა ეს სასიხარულო ამბავი?..

— ვიცი... ვიცი... ვიცი-ი!

ჭიკჭიკებს დამაჯერებლად ბარიდან ამოფრენილი მახარობელი, გულის გამხარებელი...

— მაშ თუ იცი, წადი და სხვებსაც ახარე!..

ფრრ!..

ჩიტი აფრინდა და შურდულივით გაექანა სოფლისკენ.

და მეც თან მივყევი ჩემი გუდა-ნაბადით.

...სწორედ სამ საათზე გამოჩნდა ლაშქარი სამების დაღმართზე. ხუთასი მთასვლელი მოდის გამარჯვებული. მთელი სოფელი გამოეფინა შესახვედრად.

წითელი დროშა ამაყად ფრიალებს. კინოოპერატორი და ფოტოგრაფები იღებენ ამ არაჩვეულებრივ სურათს. მოხუცე-

ბი. ქალები და ბავშვები გაშტერებით უცქერიან ამ უამრავ ლაშქარს. ხუთასი ერთად!.

ამისთანა ამბავი არ ახსოვთ ღრმად მოხუცებულებსაც კი.

— ვაშა!.. ვაშა-ა! — გაისმის შეძახილები და ტაშის ცემა.

— თქვენი გამარჯვებისა, ახალგაზრდებო!.. იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ!..

შეხვედრა დედაქალაქში

მცხეთას ვუახლოვდებით.. წინ მიგვიძღვის ლაშქრობის ხელმძღვანელობა თავისი მსუბუქი მანქანით. მას მივყვებით ჩვენ ავტობუსებით და საბარგო მანქანებით. გვეჩქარება! სალამოს ცხრა საათზე მიგველიან თბილისში.

მცხეთაში ჩოგვიწყვეს დიდი შეხვედრა. მუსიკა უკრავს გამარჯვების მარშს.

ისმის მოლოცვის სიტყვები და შეძახილები.

უცბად გაისმა მოტოციკლების ხმა, რომლებიც დედაქალაქმა გამოაგზავნა ჩვენს შესახვედრად.

მათ განგებ აახმაურეს მანქანები, რომ გაძლიერებული ხმაურით აღნიშნონ ჩვენი გამარჯვება.

გაისმა ბრძანება და მოტოციკლების რაზმი დაწინაურდა.

შეძახილებით და სიმღერით შევედით დედაქალაქში, სადაც ლენინის სახელობის მოედანზე მუსიკით და ვაშას ძახილით გვხვდება მრავალზე მრავალი ხალხი და სპორტის ორგანიზაციები თავისი ფერადი დროშებით.

მოედანი დღესავით განათებულია. ჩვენი მანქანები გამწკრივდნენ ტრიბუნის წინ, სადაც იმყოფებიან პარტიის და მთავრობის წარმომადგენელნი.

გადმოვედით მანქანებიდან და გავმწკრივდით ტრიბუნის წინ.

გაისმა მარში და ვაშა. ახმაურდა მთელი მოედანი. ალექსანდრას და მაროს მიართვეს თაიგულები და მიიწვიეს ტრიბუნაზე:

ტრიბუნაზე მიგვიწვიეს მე და სოსოც.

აღელვებულნი ავდივართ.

ამხანაგი ნიკო აცნობს ჩემს თავს ხელმძღვანელ ამხანაგებს.

— აი ეს არის ჩვენი უხუცესი მთასვლელი, სამოცდათხი წლისა. ორმოცდახუთი წელიწადია მწვერვალებზე დადის.

— შესწორება, ამხანაგო ნიკო. მე უკვე სამოცდახუთი წლისა ვარ.

— მე კი სამოცდაოთხისა მეგონეთ.

— სამოცდაოთხისა შარშან ვიყავი, მას შემდეგ ერთი წლით გავიზარდე, — და ყველას გვეცინება.

დავყურებ ზემოდან ელექტრონით გაშუქებულ ჩვენს ახალგაზრდობას და მიხარიან. სულით და გულით მიხარიან, რომ მოვესწარი ამ დიდებულ დროს!...

საზეიმო სხდომა

უნივერსიტეტის დიდი დარბაზი გაჭედილია ხალხით. კედლები შემკულია საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელთა სურათებით, რომლებიც ასე უდროოდ მოსწყდნენ წუთისოფელს და ახლა თითქოს ცოცხალნი დაჰყურებენ ახალგაზრდა მთასვლელებს.

აი პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, რომელიც ასე უდროოდ გაგვშორდა, მაგრამ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ბევრი რამ მოასწრო მეცნიერებისა და მთასვლელობის დარგში.

აი თეთნულდზე უდროოდ დაღუპულ სიმონ ჯაფარიძის სურათი. მის გვერდით მისი ძმის ალიოშა ჯაფარიძის სურათია, ამ მთების ჯადოქარის, რომელიც ოდესღაც სიცილით გვეუბნებოდა:

— რა დაგრჩენიათ იმ მწვერვალებზე. ასე რომ თავპირს იმტვრევთ?..

მაგრამ როდესაც სიმონი და პიმენი დაიღუპნენ. მაშინ ალიოშაც ჩაება მთასვლელთა ფერხულში. ვუცქერი იმის ვაჟკაცურ სახეს და მაგონდება ძველი ამბები.

— გახსოვს, ალიოშა, — მივმართე ერთხელ მაცდური კითხვით, — გახსოვს, რომ ჩვენ გვიძახდი გიჟებს, და ახლა კი ჩვენზე უარესი დაგემართა.

— საბუთი მაჩვენე, ერეკლე! წერილობითი საბუთი, რომ მე მაგისი მსგავსი რამე ოდესმე მეთქვას.

და ორივეს გულიანად გაგვეცინა.

— ის როგორღა იყო, ალიოშა, ფეხზე რომ ოთხი წყვილი თბილი წინდა ჩაიცვი პამირზე ასვლისას და ფეხები მაინც მოგეყინა.

— ახლა ეგ გამახსენე... სწორედ იმიტომ მომეყინა, რომ ამდენმა წინდებმა ფეხზე მომიჭირეს, სისხლის მოძრაობა შეაფერხეს და ფეხები ისე მომეყინა, რომ ვერც კი ვიგრძენი.

— მერე, ალიოშა! მერე!

— მომაჭრეს ფეხებზე ათივე თითი.
— ახლა როგორ დადიხარ?
— მერცხალივით.

და აი ახლა უსიტყვოდ დაგვცქერის ზემოდან მერცხალივით მარდი და აოწვივით გულადი ვაჟკაცი, უგზო-უკვლოდ დაკარგული მრისხანე უშბის რომელიღაც ნაპრალში.

სიმონ ჯაფარიძე.

ეს უბედურება მოხდა 1945 წელს შემოდგომის ქარბუქში, როდესაც სამი ნაცადი მთასვლელი ამყარებდა მსოფლიო რეკორდს. არ დასცალდათ. უშბას მრისხანე მწვერვალზე დარჩნენ იმ ქარიშხალში.

... ალიოშას სურათის გვერდით შოთა მიქელაძის სურათია, რომელმაც 1932 წელს განიცადა მარცხი მყინვარებზე.

ერთ დღეს სოსოს ბინაზე მიიპრა აღელვებული მიქელი და, შინ რომ ვერ ნახა, დაუტოვა ფანქრით ნაწერი ბარათი:

„შოთას საქმე შავად არის. უშველეთ! აღარ დაბრუნდა მწვერვალიდან“...

ალიოშა ჯაფარიძე.

შინაარსი

ასვლები აღპებზე

	გვ.
ჩვენი ჯგუფი .	7
ასვლა შტოკჰორნზე	8
ჩვენი მოწყობილობა	9
გამგზავრება	10
ღამის თევა მთაში	11
ჩემი გადარჩენა	12
ალპიური ქოხი .	14
დოზენჰორნის მწვერვალზე	15
მეორე ღამის თევა მთაში	17

ასვლა ვეტერჰორნზე

ვეტერჰორნზე ასვლის პირველი ცდა	21
მეორე ასვლის ცდა ვეტერჰორნზე	23
ახალი გზით ვეტერჰორნის მწვერვალისაკენ	24
ჩავარდნა .	26
ძირს ქოხისაკენ	28
წამების ღამე . .	29
შეხვედრა უცხოელებთან	31
მთის რაინდი	32
იუნგფრაუ	33
ღამე შვეიცარიელ მწყემსებთან	34
როტალის ქოხში . .	37
იუნგფრაუს მწვერვალისაკენ	38
ხიფათი . .	41
მეორედ მწვერვალისაკენ	42

ასვლა ყაზბეგზე

ორმოცი წლის ნატვრა მისრულდება	47
გზას ავცდი	57
ბეწვის ხიდზე	59
ერთი ჩიტის ამბავი	61
თათბირი	64
უძილო ღამე	66
ოაგორას ნიში	68
დაღუპულის ოჯახი	70
ჩოზამთრეთა სადგური	72

ბანდულები . . 73
მეორედ მწვერვალისაკენ 74
უნაგირაზე . 76
შეხვედრა უცხოელებთან 77
რა ვნახეთ მწვერვალზე 77
დაბრუნება ქოხში 79
ქვევით, ბარისკენ 81
ლუკმა პურის ამბავი 82
ცთუნება 83
ბუნება ცოცხლდება 84
ჯიხვი 85

პიონერთა აღპინიადა

გამგზავრება 89
ლენინაკანი 90
გზადაგზა 92
ხიფათი 94
იერიში . 96
ალაგიოზის მწვერვალზე 99
დაბრუნება 102

მასობრივი ასვლა მწვერვალზე

მზადება 105
გამგზავრება 106
ბეთლემის გამოქვაბული 108
ბანაკში 109
მეტეოსადგურში . 110
ხუთასი კაცი მწვერვალზე 114
მიტინგი მწვერვალზე 116
დაბრუნება 117
გადავრჩი რისხვას 118
შეხვედრა დედაქალაქში 120
საზეიმო სხდომა 121